

## კუჩმას ახალი თანამდებობა
A5



## ჯონათან კოენი: "აფხაზები ყველაფერს ხვდებიან, მაგრამ მაინც რუსეთი ურჩევნიათ"
A8



## ნაკრები იცვლება და ივსება
B5

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ოთხშაბათი, 2 თებერვალი, 2005 წელი. №23 (883)

ფასი 50 თეთრი

## პოლიტიკა

### პარლამენტის საგაზაფხულო სესია ოფიციალურად გაიხსნა



ბიუროს სხდომათა ოთახში ვიცე-სპიკერ მიხეილ მაჭავარიანის მიერ მაგიდაზე ჩაქუჩის დარტყმით, გუშინ ოფიციალურად გაიხსნა საქართველოს პარლამენტის საგაზაფხულო სესია. გორში მომხდარი ტერაქტის მსხვერპლთ დეპუტატებმა წუთიერი დუმილით მიაგეს პატივი.

A2

## საზოგადოება

### სამოქალაქო სავალდებულო სამსახური - ჯარში წასვლის ალტერნატივა



A6

## ეკონომიკა

### საგადასახადო განმარტებები

"ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის" პასუხები მკითხველთა შეკითხვებზე.

A4

იურიდიული ოფისი „გაპი" და გაზეთი "24 საათი"

ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება.

A7

## ამინდი

| | 2/2 | 3/2 |
|---|---|---|
| თბილისი | 9 | 5 |
| ქუთაისი | 12 | 10 |
| ბათუმი | 13 | 12 |
| სოხუმი | 9 | 9 |
| ფოთი | 12 | 12 |
| თელავი | 7 | 2 |
| ზუგდიდი | 12 | 11 |
| გორი | 6 | 1 |
| ახმეტა | 6 | 3 |
| ჭიათურა | 8 | 4 |
| გაგრა | 8 | 8 |
| სამტრედია | 12 | 11 |

**უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში**

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8169 |
| ევრო | 2.3690 |
| გირვანქა სტერლ. | 3.4180 |
| რუბლი | 0.0650 |


| A | | B | |
|---|---|---|---|
| ამბები | A2 | რევიუ | B2 |
| პოლიტიკა | A3 | რევიუ | B3 |
| ეკონომიკა | A4 | სპორტი | B4 |
| უცხოეთი | A5 | სპორტი | B5 |
| საზოგადოება | A6 | ევროისტორია | B6 |
| სამართალი | A7 | სხვადასხვა | B7 |
| პროექტი | A8 | სხვადასხვა | B8 |


# ტერაქტი გორში



ვასილ გულეურის ფოტო

ვასილ გულეური
*გორი*

*შიდა ქართლის სამხარეო პოლიციის შენობის წინ მძლავრი აფეთქება 13 საათსა და 30 წუთზე მოხდა. აფეთქების შედეგად დაიღუპა სამი და დაიჭრა 23 ადამიანი. დაიმსხვრა აფეთქების ადგილას მდგომი ათეულობით ავტომანქანა.*

თვითმხილველთა თქმით, პოლიციის შენობასთან გაჩერდა თეთრი ფერის ავტომანქანა, სავარაუდოდ, ჟიგულის მარკის, საიდანაც ორი პიროვნება გადმოვიდა. მოგვიანებით, ისინი ჩასხდნენ სხვა ავტომანქანაში და წავიდნენ, ცოტა ხნის შემდეგ კი აფეთქების ხმა გაისმა. აფეთქების ძალა იმდენად დიდი იყო, რომ დაახლოებით 300-400 მეტრის რადიუსით მდებარე შენობების მინები მთლიანად ჩაიმსხვრა.

აფეთქება შსს-ს სამხარეო სამმართველოს უფროსის, ალეკო სუხიტაშვილი კაბინეტის ფანჯარასთან მოხდა. თავად სუხიტაშვილი აფეთქებისას კაბინეტში არ იმყოფებოდა, მან შენობა ტერაქტამდე რამდენიმე წუთით ადრე დატოვა.

შემთხვევიდან ცოტა ხნის შემდეგ გორში ჩავიდა თავდაცვის მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი, რომელმაც მომხდარს ტერაქტის კვალიფიკაცია მისცა. **"საქმე შემთხვევით მოვლენას არ ეხება, იგი სერიოზული ძალების მიერაა ორგანიზებული. საკმაოდ დიდი აფეთქება მოხდა. ექსპერტები დაადგენენ, რა სახის ნივთიერება აფეთქდა.**

გაგრძელება A3 გვერდზე

# სამი ქალაქის თეორია

## მოემზადეთ, თბილისი იცვლება

მაია ჭალაგანიძე



*მძიმე მემკვიდრეობა, რაც ახალ ხელისუფლებას ერგო, მარტო კორუმპირებული პოლიტიკური კლასი, ცარიელი ბიუჯეტი და ქვეყნის განადგურებული ინფრასტრუქტურა არ არის. ამ ხელისუფლებას მემკვიდრეობად, პირველ რიგში, ერგო უფლებაშელახული ადამიანები, რომელთაც აწ უკვე გადაგდებული ხელისუფლება ჰპარავდა ხელფასს, პენსიას, დახმარებას, ელექტროენერგიას, სოციალური, ჯანდაცვის, მიწისძვრის ლიკვიდაციისა და კომუნალური პროგრამებისთვის განკუთვნილ ფულს და კანალიზაციიდანაც მიირთმევდა, თუ რამეს ნახავდა. სანაცვლოდ "შენდებოდა" კერძო ფირმები, რომელთაც პირდაპირ ხელისუფლებაშიც ჰყავდათ პატრონები და პირდაპირ მერიაშიც. იმდენი მიირთვეს, რომ იუნესკო-მ საერთოდ აიღო ხელი ჩვენი კულტურული მემკვიდრეობის დაცვაზე იმ მიზეზით, რომ თავად არ გვენაღვლებოდა არც ისტორია და არც კულტურა. ზურაბ ჭიაბერაშვილი თავისი არაპოპულარული განცხადებების გამო მერად ბევრს არც დღეს მოსწონს, მაგრამ როგორც ჩანს, ის ჯერ არ ინტეგრირდა იმ სტრუქტურაში, რომლის დანგრევაც ასე ენერგიულად დაიწყო მაშინ, როდესაც იგი ძველი, მოშლილი, დაბერებული, მოუვლელი, მაგრამ ულამაზესი ქალაქის მერად დაინიშნა. ქვემოთ გაეცნობით ქალაქის სტრატეგიული განვითარების გეგმას, რომლისთვისაც შეიძლება, ბევრი მზად არ აღმოჩნდეს, რადგან ეს თბილისს რადიკალურად უცვლის სტრუქტურას, ფუნქციას და შეიძლება, მტკვარიც აღმა წავიდეს...*

გაგრძელება B1 გვერდზე




იხილეთ B3 გვერდზე

## "ნებაყოფლობითი" დეპრივატიზაცია

ეთერ მამულაშვილი

*ხელისუფლება ერთხელ უკვე გაყიდულ სახელმწიფო ქონებას მორიგი პრივატიზებისთვის ამზადებს. ამისათვის კი აქციების საკონტროლო პაკეტებს "ნებაყოფლობით შემოწირულობის" სახით იბრუნებს მათგან, ვინც ეს ქონება სახელმწიფოსგან ერთხელ უკვე იყიდა. მიუხედავად იმისა, რომ პარლამენტმა რამდენიმე თვის წინათ უარი თქვა იმ კანონის მიღებაზე, რომელიც სახელმწიფო ქონების დეპრივატიზაციას გულისხმობდა, ამას ხელი არ შეუშლია აღმასრულებელი ხელისუფლებისათვის ამ პროცესის დასაწყებად. ახალმა ხელისუფლებამ გამოსავალს იოლად მიაგნო და ჩამორთმეული თუ წართმეული ქონება, როგორც ნაჩუქარი, ისე გააფორმა. ის ფაქტი, რომ ქონების ყოფილი მესაკუთრეები ამის გამო არ ხმაურობენ, ცხადყოფს, რომ ხელისუფლებამ დეპრივატიზაციის პროცესში ამ პირებზე არსებული კომპრომატები ჩართო.*

გაგრძელება A3 გვერდზე

## ორი არმია

### ერთი გვჭირდება და ერთს მივეჩვიეთ

კობა ლიკლიკაძე
*"რადიო თავისუფლება" სპეციალურად "24 საათისთვის"*

*1 თებერვალს საქართველოში გამოცხადდა ახალი ქართულ-ამერიკული სამხედრო პროგრამის დაწყება, რომელმაც 3000-მდე ქართველი სამხედრო მოსამსახურე უნდა გაწვრთნას. სამშაბათს დილიდან სამხედრო უნიფორმაში გამოწყობილი ცნობილი მომღერლები და ტელეჟურნალისტები თბილისის მოსახლეობაში სპეციალურ ბროშურებს არიგებდნენ და ახალგაზრდებს ამ პროგრამაში მონაწილეობისკენ მოუწოდებდნენ. მსგავს პატივს მოკლებული აღმოჩნდა საყოველთაო სამხედრო გაწვევის საგაზაფხულო კამპანია, რომელმაც, ასევე, 1 თებერვალს აიღო სტარტი.*

წარმოიდგინეთ, რომ თქვენ ხართ ცნობილი მომღერალი ლელა წურწუმია, ანდა ცნობილი ტელეწამყვანი ინგა გრიგოლია და სამხედრო ფორმაში ჩაცმული პროპაგანდას უწევთ ისეთ სამხედრო ნაწილში სამსახურს, სადაც ჯარისკაცი თვეში 5 ლარის ოდენობის ჯამაგირს იღებს, მოკლებულია ელემენტარულ საყოფაცხოვრებო პირობებს და არ იცის, თუ რისთვის მსახურობს. რა თქმა უნდა, ასეთი რამ ძნელი წარმოსადგენია. ძალიან არ უნდა სცემდე პატივს ადამიანი საკუთარ თავს, რომ სხვას ურჩიო იქ წასვლა სამხედრო ვალის მოსახდელად, სადაც არც ერთ შენს ახლობელს არ გაიმეტებ გასაშვებად.

მაგრამ სულ სხვაა, როდესაც მოსახლეობაში არიგებ სარეკლამო ბროშურებს, რომელშიც 35 წლამდე ასაკის ადამიანებს ეპატიჟები "ახალ ამერიკულ პროგრამაში", სადაც სამხედრო მოსამსახურეს სთავაზობენ: მაღალ ანაზღაურებას (350 ლარიდან ზემოთ), სრულფასოვან კვებას, უფასო სამედიცინო მომსახურებას, თანამედროვე აღჭურვილობას, შემდომ სამხედრო განათლებას, უცხო ენების შესწავლას და აძლევენ "სოციალური და სამართლებრივი დაცვის გარანტიას".

"აგიტ ჯგუფები", რომლებიც საქართველოს თავადცვის სამინისტრომ ცნობილი მომღერლების, ტელეჟურნალისტებისა და თავად ქართველი "კომანდოსებისგან" დააკომპლექტა, ამ მისიას

გაგრძელება A2 გვერდზე

# ტერაქტი მშვიდობის პასუხად

## საქართველოს პრეზიდენტი ტერაქტს კვალიფიკაციას აძლევს

სოფო ბუკია

**"ეს არის ტერაქტი სახელმწიფოს მიერ არჩეული სამშვიდობო კურსის წინააღმდეგ,"** - გუშინ გორში პოლიციის სამხარეო ადმინისტრაციის შენობასთან მომხდარ აფეთქებას საქართველოს პრეზიდენტი ასეთ კვალიფიკაციას აძლევს და საზოგადოებას ტერაქტის ორგანიზატორებისა და შემსრულებლების გამოვლენას ჰპირდება.

სააკაშვილის განცხადებით, ტერაქტის შემსრულებლები და ორგანიზატორები ქართველი ხალხისა და საქართველოს ხელისუფლების დაშინებას ისახავდნენ მიზნად. პრეზიდენტი ყველა პოლიტიკურ პარტიას და საზოგადოებას გაერთიანებას და თანადგომას სთხოვს.

**"ასეთ საზარელ დროს ყველა ერი იცდება იმით, თუ რა რეაქცია ექნება მას. თუ ჩვენ დავიწყებთ წუწუნს, თუ ჩვენ შეგვეშინდება და მოვყვებით ურთიერთგადაბრალებას, მაშინ ჩათვალეთ, რომ ამ აფეთქების ორგანიზატორებმა საწადელს მიაღწიეს. ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ უნდა მივცეთ მათ უფლება, თავიანთი გეგმა თავს მოგვახვიონ და დროზე ადრე გადაგვადგმევინონ რაიმე მკვეთრი ნაბიჯი,"** - განაცხადა გუშინ პრეზიდენტმა საგანგებოდ მოწვეულ უშიშროების საბჭოს სხდომაზე.

მისი თქმით, დიდი ზეწოლის მიუხედავად, საქართველო არჩეულ კურსზე უარს არ იტყვის და დემოკრატიისა და თავისუფლებისკენ სვლას გააგრძელებს.

**"ჩვენ მუხლებზე ვერავინ დაგვაჩოქებს,"** - განაცხადა სააკაშვილმა და ტერაქტის შედეგად დაღუპულთა ოჯახებს სამძიმარი გამოუცხადა.

უშიშროების საბჭოს სხდომა დახურულ კარს მიღმა გუშინ გვიან ღამემდე გაგრძელდა.

როგორც უშიშროების საბჭოს სხდომის შემდეგ საგარეო საქმეთა მინისტრმა განაცხადა, ტერაქტი, სავარაუდოდ, საქართველოს საზღვრებს გარეთ დაიგეგმა.

გორში განხორციელებულ ტერაქტს სალომე ზურაბიშვილი პრეზიდენტის მიერ გასულ კვირას სტრასბურგში გაცხადებულ სამშვიდობო ინიციატივას უკავშირებს, რომელიც ქართულ-ოსური კონფლიქტის დარეგულირებას ისახავს მიზნად.

ამასთანავე, სალომე ზურაბიშვილს აუცილებლად მიაჩნია რუსეთ-საქართველოს სახელმწიფო საზღვრის განსაკუთრებულად და გაძლიერებულად დაცვა.

მინისტრის თქმით, ხუთშაბათს იგი საქართველოს მეგობარი ქვეყნების წარმომადგენლებს შეხვდება, რომლებსაც საზღვრის აღნიშნული მონაკვეთის დაცვის მონიტორინგში დახმარებას სთხოვს.

# ფოტო-რეპორტაჟები რადიო მწვანე ტალღის სტუდიიდან

რადიო „მწვანე ტალღის" ეთერში FM 107.4 ყოველ სამშაბათს და შაბათს 11-დან 12 საათამდე უსმინეთ გადაცემას დიდის სასამართლო. გავასამართლოთ სხვადასხვა მოვლენები, ისტორიული პირები და ლიტერატურული პერსონაჟები. გამოიტანეთ თქვენი ვერდიქტი, რადგანაც 12 ნაფიცი მსმენელი იქნებით თქვენ.

## "დოქტორ ფაუსტის" სასამართლო პროცესი



ბრალდებული: დოქტორ ფაუსტი

ბრალმდებელი: დავით ლუკა გოგიბედაშვილი,ლიტერატორი: „დოქტორ ფაუსტს ბრალი ედება [illegible] და ურწმუნოებაში".

ადვოკატი: რატი ამაღლობელი,ლიტერატორი: „მეფისტოფელთან გარიგება არ იყო ფაუსტის არჩევანი. მის შემეცნების წადილს გამოეხმაურა მეფისტოფელი,რომელიც ფაუსტს არ გამოუძახია".

ბრალდება: რწმენის გარეშე შემეცნება უმეცრებაა.

ბრალმდებლის მოთხოვნა: ფაუსტს მიუსაჯოს რწმენასთან ზიარება

ვერდიქტი: ნაფიც მსაჯულთა გადაწყვეტილებით,ფაუსტი გამართლებულია სასჯელისაგან (7 ხმა 5-ის წინააღმდეგ).

12 ნაფიცი მსაჯული :

1. დათო (არ დაისაჯოს)
2. ლაშა ბუღაძე (არ დაისაჯოს)
3. გიორგი [illegible] (დაისაჯოს)
4. ანა [illegible] (დაისაჯოს)
5. თამთა [illegible] (არ დაისაჯოს)
6. [illegible] (არ დაისაჯოს)
7. [illegible] (არ დაისაჯოს)
8. ნათია (დაისაჯოს)
9. თამთა [illegible] (დაისაჯოს)
10. გიორგი [illegible] (არ დაისაჯოს)
11. [illegible] (დაისაჯოს)
12. [illegible] (არ დაისაჯოს)

# ორი არმია

პირველი გვერდიდან

1 თებერვალს ყოველგვარი სინდისის ქენჯნის გარეშე და ერთგვარი აზარტითაც ასრულებდნენ. ეფექტიც შესანიშნავი იყო, ადამიანები ინტერესით ეცნობოდნენ სააგიტაციო ბროშურებს და არ მალავდნენ, რომ სიამოვნებით იმსახურებდნენ ელიტურ ქვედანაყოფებში, ამერიკელი ინსტრუქტორების ხელმძღვანელობით.

თუმცა ძნელი სათქმელია, თუ ამ მოქალაქეებიდან რამდენ პროცენტს აქვს შანსი მოხვდეს ახალ ქართულ-ამერიკულ პროგრამაში, სადაც შერჩევის უმკაცრესი კრიტერიუმი არსებობს. თანაც, როგორც ჩვენთან საუბარში საქართველოს გენერალური შტაბის უფროსის მოადგილემ, პოლკოვნიკმა ლევან ნიკოლეიშვილმა აღნიშნა, პროგრამაში მონაწილე კონტინგენტის ძირითადი ნაწილი თითქმის დაკომპლექტებულია და ე.წ. კარანტინიც გაუვლიათ.

**"მაგრამ ჩვენ გვინდა დამატებით მივიზიდოთ ძალები, რომლებიც შეავსებენ კავშირგაბმულობის, საინჟინრო და დაზვერვის ქვედანაყოფებს, როგორც პირველ, ისე მეორე ბრიგადაში,"** - განაცხადა ჩვენთან საუბარში ლევან ნიკოლეიშვილმა.

სხვათა შორის, წინა, "წვრთნისა და აღჭურვის პროგრამით" თუ ვიმსჯელებთ, საქართველოს სამხედრო უწყებას, ყოველგვარი სანახაობებისა და სააგიტაციო ბარათების გარეშეც არ გასჭირვებია პროფესიული სამხედრო ნაწილების დაკომპლექტება. არ გასჭირვებია ახალი "სტაბილურობის შენარჩუნების ოპერაციების პროგრამის ფარგლებში" ბატალიონების დაკომპლექტება თავდაცვის სამინისტროს ყოფილ ხელმძღვანელობასაც. საქართველოს ხელისუფლებას ყოველთვის უჭირდა და უჭირს მოქალაქეთა გაწვევა საყოველთაო სავალდებულო სამსახურში, სადაც ჯარისკაცს ხუთლარიანი ხელფასი და არასრულფასოვანი კვება აქვს. ამიტომაც არავის გახსენებია დაებეჭდა სააგიტაციო ბროშურა მოწოდებით: მიაკითხეთ გამწვევ პუნქტებს და ჩაეწერეთ სამხედრო სავალდებულო სამსახურში. ხელისუფლება აშკარად გაორებულია და ეს გასაგებიცაა, რადგან საქართველოში არსებობს ორი ჯარი: ის, რომელიც ჩვენ გვჭირდება და ის, რომელსაც მივეჩვიეთ.

# პარლამენტის საგაზაფხულო სესია ოფიციალურად გაიხსნა

გიორგი ასანიშვილი

*ბიუროს სხდომათა ოთახში ვიცე-სპიკერ მიხეილ მაჭავარიანის მიერ მაგიდაზე ჩაქუჩის დარტყმით, გუშინ ოფიციალურად გაიხსნა საქართველოს პარლამენტის საგაზაფხულო სესია. გორში მომხდარი ტერაქტის მსხვერპლთ დეპუტატებმა წუთიერი დუმილით მიაგეს პატივი.*



*დეპუტატებს რამდენიმე დღეში ლატარიების შესახებ მოუწევთ მსჯელობა.*

8-11 თებერვლისთვის დაგეგმილი პლენარული სხდომების დღის წესრიგი საკმაოდ მწირია: 15 საკითხს, პლუს მთავრობის მიერ შემოტანილი ამდენივე კანონპროექტი. მიხეილ მაჭავარიანი შიშობს, რომ პარლამენტი მათ ორ დღეში "მოინელებს" და უსაქმოდ დარჩება. ამიტომ, პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე კომიტეტის ხელმძღვანელებისგან ახალი კანონპროექტების წარმოდგენას ელოდება.

ვიცე-სპიკერის მოწოდებას უმალ ეხმაურება იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე გიგა ბოკერია, რომელიც საგაზაფხულო სესიის პლენარული სხდომების პირველ კვირაში "თბილისის შესახებ" კანონში ცვლილებების პროექტის შემოტანის "პირობას დებს", ახლო მომავალში კი - თვითმმართველობასთან დაკავშირებულ კანონპროექტს "შესთავაზებს" კოლეგებს.

ამ უკანასკნელ თემას რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტის თავმჯდომარე ედვარდ სურმანიძეც ეხმაურება. მისი განცხადებით, **"ორ და სამსაფეხურიანი თვითმმართველობა საქართველოს სინამდვილეში არ ამართლებს და ამიტომ, ახალი კანონის მიღებაა საჭირო".**

მაია ნადირაძის აზრით, ვინაიდან ბუნებრივი რესურსების შემოსავალი ადგილობრივ ბიუჯეტებში რჩება, შეიძლება მოხდეს ისე, რომ ზოგიერთ რაიონში, მაგალითად, ბორჯომში, ძეგლები დაიდგას, სხვაგან კი სიღატაკე მეფობდეს. **"ამას შეიძლება დიდი არეულობები მოჰყვეს,"** - შიშობს ფრაქცია "ნაციონალური მოძრაობა-დემოკრატების" თავმჯდომარე.

საგაზაფხულო სესიის სტარტზე, სავარაუდოდ, მწვავე დებატები გაიმართება ლატარიებისა და აზარტული თამაშობების მოწყობის შესახებ კანონპროექტთან დაკავშირებითაც. დეპუტატებს, ასევე, უჭირთ დადგენილების მიღება "მუდმივმოქმედი საპარლამენტო და საპარლამენტთაშორისო დელეგაციების შექმნის შესახებ". მიზეზი საკმაოდ მიწიერია: პრესტიჟულ დელეგაციებში ყოფნა და საზღვარგარეთ ხშირი მივლინებები ისეთი ცდუნებაა, რომლის დაძლევა კვოტირების პრინციპითაც კი ვერ ხერხდება. საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე კოტე გაბაშვილი ითხოვს, რომ, თუ უახლოეს მომავალში შეთანხმება ვერ მოხერხდება, დელეგაციების დასაკომპლექტებლად დანიშვნის წესი იქნეს გამოყენებული.

ასევე პრობლემად არის ქცეული პარლამენტის რეგლამენტში ცვლილებების შეტანა, რომელიც დეპუტატის მიერ კომიტეტისა და პლენარული სხდომების არასაპატიო მიზეზით გაცდენისთვის პასუხისმგებლობის ზომის განსაზღვრას შეეხება. საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის თავმჯდომარე ხათუნა გოგორიშვილი არ მალავს, რომ ამასთან დაკავშირებით ზოგიერთ პარლამენტარს მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება გააჩნია.

8-11 თებერვლის პლენარული სხდომების დღის საკითხში შესულია რეგლამენტში შესატანი კიდევ ერთი ცვლილების პროექტი. ბესო ჯუღელის საკანონმდებლო ინიციატივის მოწონების შემთხვევაში, მაჟორიტარი დეპუტატებისთვის გაუქმდება პარტიული პრინციპით ფრაქციაში გაერთიანების ვალდებულება. მისგან გათავისუფლების შემდეგ კი, მაჟორიტარების ნაწილმა, გამორიცხული არ არის ( თუნდაც განაწყენების ან ამბიციების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში), საპარლამენტო უმრავლესობას ზურგი აქციოს.

# კრიმინალები 400 ათას დოლარს აბრუნებენ

*საქართველო საერთაშორისი აფერისტებისგან კუთვნილ 400 ათას დოლარს იბრუნებს და ამას სხვებთან ერთად მედიასაც უნდა უმადლოდეს. ქართული ნავიგაციიდან ფინანსური მაქინაციების გზით გატანილი ფულის დაბრუნების შესახებ რამდენიმე დღის წინათ გახდა ცნობილი. ვინ არიან ის პირები, ვინც ქვეყნიდან მილიარდებს ეზიდებოდა და როგორ დაბრუნდა ფული?*

ოთარ ქირია

საქართველოს უახლესი ისტორიისთვის ამ უპრეცედენტო შემთხვევის შესახებ "საქაერონავიგაციის" ხელმძღვანელობამ რამდენიმე დღის წინ შეიტყო, როცა საწარმოს საბანკო ანგარიშზე "საქაერონავიგაციის" ბიუჯეტიდან უკანონოდ გატანილი თანხა დაბრუნდა.

**"გამომგზავნი გახლავთ ადამიანი, რომელიც ერთხელ უკვე იქნა შემჩნეული "საქაერონავიგაციის" ძველ ხელმძღვანელობასთან ფინანსურ მაქინაციაში. საუბარი ეხება ფრანგული კომპანია "ტალესის" წარმომადგენელს ჰერბერტ დრეშერს. მისი ორგანიზებით დაიდო "საქაერონავიგაციის" ძველ ხელმძღვანელ ალექსანდრე სილაგაძესა და უცხოურ კომპანიას შორის პირველი ხელშეკრულება 789 ათას აშშ დოლარზე, ხოლო მეორე - 50 ათას აშშ დოლარზე. პირველიდან 350 ათასი, ხოლო მეორე ხელშეკრულების თანხა სრულად, ზუსტად ერთი წლის წინ გადაირიცხა (ანუ რამდენიმე დღით ადრე სილაგაძის გადადგომამდე). მის საფასურად არაფერი მიგვიღია. ვერც მივიღებდით, რადგან ხელშეკრულება, ჯერ ერთი, კაბალურია, მეორეც - მასში საუბარია სამუშაოზე, რომელსაც "საქაერონავიგაცია" საერთოდ არ საჭიროებს. კერძოდ, არსებული ტექნოლოგიების ძველი შენობიდან ახალში გადატანას, მაშინ, როცა "საქაერონავიგაცია" უკვე ახალი საერთაშორისო სტანდარტების ტექნიკით არის აღჭურვილი და ძველს აღარც გამოიყენებს,"** - აცხადებს "საქაერონავიგაციის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე გიორგი კარბელაშვილი.

ამ კონკრეტული დარღვევის, ისევე როგორც სხვა მრავალის, შესახებ "საქაერონავიგაციამ" ყველა შესაბამის უწყებას აცნობა. თუმცა, გამოძიებას ჯერ არაფერი უთქვამს. მეტიც, "საქაერონავიგაციის" ძველი ხელმძღვანელობის საქმიანობასთან დაკავშირებით პროკურატურაში არაერთი საქმეა აღძრული და მიმდინარეობს ძიება, თუმცა სამართალდამცველები ჯერ მაინც სდუმან. კულუარებში ამბობენ იმასაც, რომ სილაგაძე, რომელიც "24 საათს" სასამართლოში უჩივის, ამჟამად ძებნაშია. პერიოდულად ვრცელდება ის ინფორმაციაც, რომ სილაგაძე აზრებაიჯანშია სამკურნალოდ, პეტერბურგშია და ა.შ.

**"ფრანგების დახმარებით აღმოვაჩინეთ ყალბი მიმოწერის დოკუმენტები, თითქოს მე ვწერ ფრანგებს, რომ ამ 400 000 დოლარს აღარც ვითხოვ, ისინი კი მპასუხობენ - კარგი ბატონოო. რა თქმა უნდა, ყველა შესაბამის უწყებაში დავსვით საკითხი და შედეგიც მივიღეთ. დიდი მადლობა "24 საათს" და ზოგადად ჟურნალისტებს. მათი წერილები ერთგვარ იმპულსად იქცა საერთაშორისო ორგანიზაციების დაინტერესებისთვის,"** - ამბობს კარბელაშვილი.

"საქაერონავიგაციის" ხელმძღვანელობის ინფორმაციით, დაბრუნებული 400 ათასი დოლარი მოხმარდება შარშან დაწყებულ პროექტს, რომელიც ბათუმსა და ქუთაისში თანამედროვე სტანდარტების სანავიგაციო კოშკურების დამონტაჟებას გულისხმობს.

# საქართველოს ბიუჯეტმა შესაძლო შემოსავლების 40 პროცენტი იზარალა

*ნავთობპროდუქტების მწარმოებელთა, იმპორტიორთა და მომხმარებელთა კავშირის მიერ ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების შეჯერების შედეგად დადგინდა, რომ 2004 წელს, მხოლოდ საბაჟო გადასახადების სახით, საქართველოს ბიუჯეტმა შესაძლო შემოსავლების 40 პროცენტი იზარალა.*

ბექა ევგენიძე

მათი გამოთვლებით, ყოველწლიურად ქვეყანა საშუალოდ 540 ათას ტონა ბენზინს და 300 ათას ტონა დიზელის საწვავს მოიხმარს, საქართველოს საბაჟო დეპარტამენტის მონაცემებით, იმპორტირებულია 321 ათასი ტონა ბენზინი და 174 ათასი ტონა დიზელის საწვავი. მოხმარებულსა და დეკლარირებულ რაოდენობას შორის დისბალანსი კონტრაბანდის ხვედრითი წილის გამოთვლის საშუალებას იძლევა.

გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე კავშირის თავმჯდომარემ ვანო მთვრალაშვილმა განაცხადა: **"კონტრაბანდის არსებობის რამდენიმე მიზეზი კიდევ არსებობს. კერძოდ, სასაზღვრო ჯარი ვერ უზრუნველყოფს აზერბაიჯანთან სახელმწიფო საზღვარზე წესრიგის დაცვას, რის გამოც დიდი რაოდენობით კონტრაბანდული საწვავი შემოდის. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ამ მიმართულებით საკმაოდ აქტიურად მუშაობს ფინანსური პოლიცია. დღეს კახეთში დიზელის საწვავის დეფიციტია, რადგან კონტრაბანდა პოლიციამ თითქმის აღკვეთა."**

იმპორტიორთა კავშირში მიაჩნიათ, რომ ნავთობპროდუქტების ბაზარზე კონტრაბანდის დიდი ხვედრითი წილი, სავარაუდოდ, არაკეთილსინდისიერ იმპორტიორთა და სახელმწიფო სტრუქტურების რიგ მოხელეებს შორის შეთანხმების და გარიგების შედეგია.

## ორი სიტყვით

**თბილისი.** დღეს თბილისს ხუთდღიანი სამუშაო ვიზიტით ჩრდილოატლანტიკური ალიანსის (**NATO**) გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი კავკასიისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებში რობერტ სიმონსი ეწვევა. სტუმარი საქართველოს პრეზიდენტთან მიხეილ სააკაშვილთან, პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიასთან, სახელმწიფო მინისტრ გიორგი ბარამიძესთან, საგარეო საქმეთა მინისტრ სალომე ზურაბიშვილთან და საგარეო დაზვერვის სპეციალური სამსახურის უფროსთან ბათუ ქუთელიასთან შეხვედრებს გეგმავს.

თბილისში რობერტ სიმონსი მონაწილეობას მიიღებს კონფერენციაში თემაზე: "სამხრეთ კავკასია 21-ე საუკუნეში: პრობლემები და პერსპექტივები". საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრთან შეხვედრისას, მხარეები განიხილავენ საქართველო-ნატო-ს თანამშრომლობის პერსპექტივებს, საქართველოში მიმდინარე პროცესებს, ევროსტრუქტურებში საქართველოს ინტეგრაციასთან დაკავშირებულ საკითხებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს მთავრობის დადგენილებით, საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს სალიკვიდაციო კომისია შეიქმნა. შესაბამის დადგენილებას ხელი პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ჟვანიამ მოაწერა. კომისიას, რომელმაც უშიშროების სამინისტროს სალიკვიდაციო ღონისძიებათა ორგანიზაციული უზრუნველყოფა უნდა განახორციელოს, უშიშროების მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი ბათუ ქუთელია უხელმძღვანელებს.

მთავრობის დადგენილების თანახმად, სალიკვიდაციო კომისიამ უშიშროების სამინისტროს ბალანსზე რიცხული მატერიალური ფასეულობების, დებიტორულ-კრედიტორული დავალიანებების სრული ინვენტარიზაცია და სალიკვიდაციო ბალანსის წარმოდგენა უნდა უზრუნველყოს.

საქართველოს ფინანსთა და ეკონომიკური განვითარების სამინისტროებმა, სალიკვიდაციო კომისიის დასკვნის საფუძველზე, დებიტორულ-კრედიტორული დავალიანებების დამტკიცება უნდა განახორციელონ. კომისიის მიერ მომზადებული წინადადებები განსახილველად საქართველოს მთავრობას წარედგინება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ბათუმი.** ბათუმში დისლოცირებული, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ქუთაისის 23-ე ბრიგადის მეორე ქვეგანყოფილების ხუთასამდე ჯარისკაცი სამხედრო სამსახურიდან გუშინ მოულოდნელად დაითხოვეს. ჯარისკაცები აცხადებენ, რომ ზაფხულში სამაჩაბლოდან დაბრუნების შემდეგ, მათ კუთვნილი ხელფასები არ მიუღიათ, დღეს კი გამოუცხადეს, რომ კუთვნილი 480 ლარის ნაცვლად, ყოველთვიურად მხოლოდ 210 ლარს მიიღებენ. ბრიგადის ხელმძღვანელობის თქმით, ცვლილებები ჯარში მიმდინარე რეორგანიზაციამ გამოიწვია. მათივე ინფორმაციით, ჯარისკაცები მხოლოდ 15 დღით დაითხოვეს და ამ პერიოდის გასვლის შემდეგ ისინი სამხედრო სამსახურს ჩვეულებრივად გააგრძელებენ.

ბრიგადის ხელმძღვანელობის ამ განცხადებას ჯარისკაცების პროტესტი მოჰყვა. როგორც ისინი ამბობენ, ხელმძღვანელობამ საუბრის ტონი ჟურნალისტების გამოჩენის შემდეგ შეცვალა, გუშინ დილით კი ისინი ჯარისკაცებს სამხედრო ბაზის ტერიტორიაზე არ უშვებდნენ, რასაც ბრიგადის ხელმძღვანელობასა და ჯარისკაცებს შორის დაპირისპირებაც მოჰყვა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** "ამერიკის სავაჭრო პალატამ საქართველოში" საქართველოს პირველი ლედი სანდრა რულოვსი, ეროვნული ბანკის პრეზიდენტი ირაკლი მანაგაძე, განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ალექსანდრე ლომაია და "საქართველოს ბიზნესფედერაციის" აღმასრულებელი დირექტორი გიორგი ისაკაძე 2004 წლის ადამიანებად დაასახელა. პალატის წევრთა აზრით, ამ ადამიანებმა გასულ წელს განსაკუთრებული გავლენა მოახდინეს ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ-ეკონომიკურ და საზოგადოებრივ პროცესებზე. **პრაიმ-ნიუსი**

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), ირაკლი ლეჟავა (მარკეტინგის მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე.
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი,. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# "ნებაყოფლობითი" დეპრივატიზაცია

პირველი გვერდიდან

სს "ელექტროვაგონშემკეთებელი, სს "ელმავალმშენებელი", შპს "ჟინერი", სს "ქუთაისის ავტოქარხანა", სს "ელექტრომექანიკოსი, სს "საქტრაქტორი" - ეს მხოლოდ ნაწილია იმ საწარმოებისა, სადაც სახელმწიფო ამ ხუთიოდე თვის წინათ მიზერულ წილს ფლობდა. დღეს, "24 საათის" ინფორმაციით, თითოეულ მათგანში სახელმწიფო უკვე საკონტროლო პაკეტს, ანუ, სულ მცირე, 51 პროცენტს ფლობს.

ეკონომიკური განვითარების სამინისტროში განმარტავენ, რომ ეს ნაჩუქარი წილებია; რომ საწარმოს ყოფილმა მესაკუთრეებმა კეთილი ნება გამოიჩინეს და საკუთარი ქონების დიდი ნაწილი სახელმწიფოს საკუთარი ინიციატივით აჩუქეს.

ამ შემთხვევაში, ლოგიკურად ჩნდება კითხვა: რატომ უნდა გაუჩნდეს რომელიმე მსხვილი საწარმოს მფლობელს სურვილი, რომ მან აქციების საკუთარი წილი, მთლიანად ან დიდი ნაწილი, სახელმწიფოს უსასყიდლოდ გადასცეს? მით უმეტეს, თუკი ის აქციების საკონტროლო პაკეტს ფლობს, საწარმო მოქმედია, მსხვილ შეკვეთებს იღებს და მოგებაზე მუშაობს.

ჩინოვნიკების ამგვარი განმარტება კიდევ უფრო საეჭვო ხდება, თუკი ამ "მოწყალების" ნუსხას გადავხედავთ, რომელიც საკმაოდ გრძელი და შთამბეჭდავია.

ამ ნუსხაში საყურადღებოა შემდეგი დეტალი: თითქმის ყველა, საკუთარი ქონებიდან სახელწიფოს იმ მოცულობის წილს "ჩუქნის", რითაც ეს უკანასკნელი ამ ქონებაზე კონტროლს იბრუნებს. აქციების საკონტროლო პაკეტის ფლობა სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვანი კოზირია მყიდველების მოსაზიდად. ნებისმიერი მსხვილი ინვესტორი, მით უმეტეს, საქართველოს მსგავს ქვეყანაში, პირველ რიგში დაინტერესებულია, რომ ის საწარმოს საკონტროლო პაკეტს ფლობდეს.

მაგალითად: სს "ელმავალმშენებელი", რომელიც ამ რამდენიმე დღის წინ ერთ-ერთმა რუსულმა კომპანიამ - "დემა კომპიუტერს ლიმიტედმა", 4 მილიონ 150 ათას აშშ დოლარად იყიდა, ქონების მართვის ყოფილმა სამინისტრომ ერთხელ უკვე გაყიდა - 2002 წლის აგვისტოში. მაშინ სახელმწიფომ ეს საწარმო სიმბოლურ ფასად - 150 ათას დოლარად მიჰყიდა კონკურსში მონაწილე მხოლოდ ერთ პირს, საწარმოს გენერალურ დირექტორს ზურაბ ცინცაძეს. მაშინ სახელმწიფომ სს "ელმავალმშენებლის" აქციების 75 პროცენტი გაასხვისა. დარჩენილი 25 პროცენტის გაყიდვა ხელისუფლებისთვის არცთუ იოლი საქმე იყო, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ აქედან თითქმის 13 პროცენტი დღემდე სახელმწიფოს გირაოში აქვს ჩადებული, რომლის ნებსიმიერი ფორმით გასხვისება საქართველოს ხელისუფლებას კატეგორიულად ეკრძალება.

საწარმოზე კონტროლის აღსადგენად და შემდგომ მის სარფიანად გასაყიდად ხელისუფლებას აქციების სულ მცირე, 39 პროცენტი სჭირდებოდა. გასული წლის აგვისტოს დასაწყისში ზუსტად ამ რაოდენობის აქციებს "ჩუქნის" ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ზურაბ ცინცაძე. სს "ელმავალმშენებლის" დირექტორი აღელვებული ხმით ცდილობს ჩვენს დარწმუნებას, რომ ეს მისი კეთილი ნება იყო და მას ხელისუფლების მიმართ არანაირი პრეტენზია არ გააჩნია.

მსგავსი "კეთილი ნება" გამოიჩინა სს "ელექტროვაგონშემკეთებელი" ქარხნის დირექტორმა ბადრი წილოსანმა, რომელმაც შარშან აგვისტოში საწარმოს საკუთარი წილიდან სახელმწიფოს 42 პროცენტი "შესწირა." ამ მოწყალებამდე სახელმწიფოს წილი სს "ელექტროვაგონშემკეთებელში" მხოლოდ 9 პროცენტი იყო. ამ საწარმოს აქციების 75 პროცენტი პირველად 2002 წლის ზაფხულში კონკურსის წესით გაიყიდა. მყიდველმა მასში 5.156.955 აშშ დოლარი გადაიხადა. აქციების 16 პროცენტს სს "ელექტროვაგონშემკეთებელი" ქარხნის კოლექტივი ფლობს. აქციების საკონტროლო პაკეტს - 51 პროცენტს დღეს ისევ სახელმწიფო მართავს, რომლის გაყიდვასაც ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, სავარაუდოდ, თებერვლის დასაწყისში გამოაცხადებს. სამინისტროში იმედი აქვთ, რომ საწარმოს გაყიდვიდან ბიუჯეტი, სულ მცირე, სამ მილიონ ლარს მიიღებს.

სავარაუდოდ, უახლოეს რამდენიმე თვეში გამოიტანს გასაყიდად ხელისუფლება ამ ათიოდე დღის წინათ შპს "ჟინერის" აქციონერების მიერ სახელმწიფოსთვის "ნაჩუქარ" აქციებს, რომელთა რაოდენობა მთლიანობაში 51 პროცენტს აღწევს. შპს "ჟინერის" ათამდე აქციონერი სახელმწიფოს საკუთარ წილებს 13-დან 18 იანვრამდე ერთმანეთის მიყოლებით "ჩუქნის". "საქენერგოს" ყოფილი ხელმძღვანელი ემზარ ჩაჩხიანის შენაწირი 10 პროცენტია. "ჟინერის" დანარჩენი წილის მჩუქებელთა ნუსხა კი ასე გამოიყურება: თეიმურაზ ჭიჭინაძე - 22 პროცენტი, ფირმან ცქიმანაური - 5, ალექსანდრე კობაიძე - 6, დავით არაბული - 2, მიხეილ ბუზიაშვილი - 3, ირაკლი დადიანი, თინა თავართქილაძე და თეიმურაზ ანდიაძე - თითო-თითო.

თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ დღეს "ჟინერის" ბალანსზე ჟინვალის წყალსაცავი ირიცხება, რომელიც დედაქალაქის უწყვეტ წყალმომარაგებას უზრუნველყოფს და, ასევე - "ჟინვალჰესი," რომლის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიით, ადგილობრივი მოსახლეობის გარდა, მეზობელი რაიონებიც მარაგდება, ამ საწარმოს სარფიანად გაყიდვას ეკონომიკის სამინისტრო მარტივად შეძლებს. ამ ეტაპზე ცნობილი არ არის, სამინისტრო "ნაჩუქარ ჟინერს" საპრივატიზაციო ნუსხაში როდის შეიტანს.

პრივატიზებისთვის მზადდება სს "ქუთაისის ავტოქარხანაც," რომლის აქციების დიდი ნაწილი - 2.751.088 ცალი, შარშან ივლისამდე ტყიბულის ყოფილ მაჟორიტარ დეპუტატს ბონდო შალიკიანს ეკუთვნოდა. ყოფილი დეპუტატის გარდა, სს. "ქუთაისის ავტოქარხანაში" წილი კიდევ რამდენიმე ფიზიკურ პირს გააჩნდა. შიო ობოლაძემ, რუსუდან ტოგონიძემ, ბადრი სიხარულიძემ, თეიმურაზ ფუთურიძემ, დალი გორდეზიანმა, თამაზ თამაზიშვილმა, ირინა თოფურიამ, თედორე ბენიძემ, ამირან ნაცვლიშვილმა და გურამ წელაურმა ავტოქარხნის საკუთარი აქციები 2004 წელს სახელმწიფოს გადასცეს.

დღეს ამ საწარმოში, რომელიც, ეკონომიკური განვითარების სამინისტროს განმარტებით, მოქმედია, სახელმწიფო წილი 81.51 პროცენტია. დაახლოებით სამი წლის წინათ, "ქუთაისის ავტოქარხანა", ქონების მართვის მაშინდელი მინისტრის ბრძანებულებით, ნულოვანი აუქციონის წესით გაიყიდა.

სს "ქუთაისის ავტოქარხანა" არ იყო ერთადერთი უძრავი ქონება, რომელიც შალიკიანების ოჯახმა სახელმწიფოს "აჩუქა." მათ მიერ შენაწირი ქონების ნუსხა ასე გამოიყურება: სს "საქტრაქტორის" (მოქმედი სატრაქტორე წარმოება) აქციების 6.7 პროცენტი, სს "ელექტრომექანიკოსის" (ელექტროხელსაწყოების მოქმედი საწარმო) 8.778 პროცენტი, შპს "იჯიესის" (ზემტკიცე და რუხი თუჯის ჩამოსხმის წარმოება) 50 პროცენტი, სს "ტრაქტორის" 6.7 პროცენტი, ტყიბულის რაიონის სოფელ ორპირში მდებარე ჩაის საწარმო "ორპირის ჩაის" 9.5 პროცენტი (ამ საწარმოს დანარჩენი წილი ჩაის მწარმოებელ ცნობილ კომპანიას "მარტინ ბაუერს" ეკუთვნის) და ბაღდათის რაიონში მდებარე სანატორიუმ "საირმის" 100 პროცენტი. სხვათა შორის, ეს უკანასკნელი საპრივატიზაციო ნუსხაში ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ უკვე შეიტანა.

"შემოწირულობების" სიაში რამდენიმე ნაკლებად ცნობილი საწარმოა, თუმცა მათი ყოფილი მფლობელების მიერ გაღებული ძღვენი საკმაოდ შთამბეჭდავია. ასე მაგალითად: ქუთაისში მოქმედი შპს "ფარმ-ალიანსის" (ფარმაცევტული წარმოება) მესაკუთრეებმა გასული წლის ივლისში სახელმწიფოს საკუთარი წარმოების 51 პროცენტი "აჩუქეს."

შპს "იმერეთი+" სხვა ყველასთან შედარებით უფრო გულუხვი აღმოჩნდა. მის მიერ სახელმწიფოსთვის ნაჩუქარი წილი 100 პროცენტი იყო. "იმერეთი+" წარმოადგენს თბილისში, დიდ დიღომში მდებარე ნავთობბაზას, საკუთარი 4 ცალი 2.800-ტონიანი რეზერვუარით.

შპს "არენას" მეპატრონეებმა სახელმწიფოს შარშან საკუთარი წილიდან 60 პროცენტის დაუთმეს. "არენა" ვანში მდებარე ხორცის კომბინატია, რომელიც ამ დროისთვის თითქმის არ ფუნქციონირებს.

| ქონების დასახელება | [illegible] | პროფილი და მდგომარეობა | მისამართი | საფუძველი |
|---|---|---|---|---|
| სს. "ელმავალმშენებელი" | 39% | ელმავლების წარმოება | ქ.თბილისი, დ.გურამიშვილის გამზ.№84 | ჩუქების ხელშეკრულება |
| სს. "ელექტროვაგონშემკეთებელი" | 42% | ვაგონშემკეთებელი საწარმო | ქ.თბილისი ც.დადიანის №32 | ჩუქების ხელშეკრულება |
| შპს. "არენა" | 60% | ხორცკომბინატი | ქ.ვანი თავისუფლების მოედანი №91 | ჩუქების ხელშეკრულება 14.07.2004 |
| შპს."იმერეთი+" | 100% | ნავთობბაზა 4 ცალი 2800 ტონიანი რეზერვუარი | ქ.თბილისი დიდი დიღომი | ჩუქების ხელშეკრულება 14.07.2004 |
| შპს. "ფარმ-ალიანსი" | 51% | ფარმაცევტული წარმოება | ქ.ქუთაისი ნიკეას №42 | ჩუქების ხელშეკრულება 14.07.2004 |
| სს. "საქტრაქტორი" | 6.7% | სატრაქტორე წარმოება | ქ.ქუთაისი ახალგაზრდობის №19 | 15.07.2004 გასხვისების განკარგულება №3789-1-1-1 |
| სს. "ორპირის ჩაი" | 9.5% | ჩაის წარმოება (მარტინ ბაუერი) | ტყიბული სოფ. ორპირი | 13.07.2004 გასხვისების განკარგულება №2000407-60 |
| სს. "ტრაქტორი" | 6.7% | სატრაქტორე წარმოება | ქ.ქუთაისი ახალგაზრდობის №19 | 15.07.2004 გასხვისების განკარგულება №3790-1-2 |
| სს. "ელექტრომექანიკოსი" | 8.778% | ელექტროხელსაწყოების წარმოება | ქ.ქუთაისი გუგუნავას №11 | 13.07.2004 გასხვისების განკარგულება №200407-62 |
| სს."ქუთაისის ავტოქარხანა" | 59% | ავტოწარმოება | ქ.ქუთაისი ავტომშენებლის №88 | 06.10.2004 გასხვისების განკარგულება |
| შპს. "იჯიესი" | 50% | ზემტკიცე და რუხი თუჯის ჩამოსხმის წარმოება | ქ.ქუთაისი ავტომშენებლის №88 | 14.01. 2005 წილის დათმობის ხელშეკრულება |
| ალექსანდრე კობაიძის საკუთრებაში არსებული შპს. "ჟინერის" | 6% | ენერგეტიკის სფეროში მომუშავე საწარმო | ქ.დუშეთი | შპს. "ჟინერის" წილის უსასყიდლოდ გადაცემის (ჩუქების) 13.01.2005 ხელშეკრულება |
| დავით არაბულის საკუთრებაში არსებული შპს. "ჟინერის" | 2% | ენერგეტიკის სფეროში მომუშავე საწარმო | ქ.დუშეთი | შპს. "ჟინერის" წილის უსასყიდლოდ გადაცემის (ჩუქების) 13.01.2005 ხელშეკრულება |
| ფირმან ცქიმანაურის საკუთრებაში არსებული შპს. "ჟინერის" | 5% | ენერგეტიკის სფეროში მომუშავე საწარმო | ქ.დუშეთი | შპს. "ჟინერის" წილის უსასყიდლოდ გადაცემის (ჩუქების) 14.01.2005 ხელშეკრულება |
| ემზარ ჩაჩხიანის საკუთრებაში არსებული შპს. "ჟინერი" | 10% | ენერგეტიკის სფეროში მომუშავე საწარმო | ქ.დუშეთი | შპს. "ჟინერის" წილის უსასყიდლოდ გადაცემის (ჩუქების) 13.01.2005 ხელშეკრულება |
| თეიმურაზ ჭიჭინაძის საკუთრებაში არსებული შპს. "ჟინერი" | 22% | ენერგეტიკის სფეროში მომუშავე საწარმო | ქ.დუშეთი | შპს. "ჟინერის" წილის უსასყიდლოდ გადაცემის (ჩუქების) 13.01.2005 ხელშეკრულება |
| ირაკლი დადიანის საკუთრებაში არსებული შპს. "ჟინერი" | 1% | ენერგეტიკის სფეროში მომუშავე საწარმო | ქ.დუშეთი | შპს. "ჟინერის" წილის უსასყიდლოდ გადაცემის (ჩუქების) 17.01.2005 ხელშეკრულება |
| თინა თავართქილაძის საკუთრებაში არსებული შპს. "ჟინერი" | 1% | ენერგეტიკის სფეროში მომუშავე საწარმო | ქ.დუშეთი | შპს. "ჟინერის" წილისუსასყიდლოდ გადაცემის (ჩუქების) 17.01.2005 ხელშეკრულება |
| თეიმურაზ ანდიაძის საკუთრებაში არსებული შპს. "ჟინერი" | 1% | ენერგეტიკის სფეროში მომუშავე საწარმო | ქ.დუშეთი | შპს. "ჟინერის" წილის უსასყიდლოდ გადაცემის (ჩუქების) 17.01.2005 ხელშეკრულება |
| მიხეილ ბუზიაშვილის საკუთრებაში არსებული შპს. "ჟინერი" | 3% | ენერგეტიკის სფეროში მომუშავე საწარმო | ქ.დუშეთი | შპს. "ჟინერის" წილის უსასყიდლოდ გადაცემის (ჩუქების) 18.01.2005 ხელშეკრულება |
| შპს. "იბერია-პლიუსის" საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება 8496 კვ.მ | 100% | არასაცხოვრებელი ფართი | ქ.თბილისი გორგასლის № 16 | 16.06.2004 ჩუქების ხელშეკრულება |
| კურორტი "საირმე" | 100% | სანატორიუმი | ბაღდათის რაიონი | 20.07.2004 ჩუქების ხელშეკრულება |
| შპს. "ბიტმაგი" | 100% | რკინის საამქრო | ქ.რუსთავი გაგარინის №12 | 10.06.2004 ჩუქების ხელშეკრულება |

როგორც "24 საათისთვის" გახდა ცნობილი, დღეს წარმოდგენილი ნუსხა სრული არ არის. ხოლო ის ფაქტი, რომ ხელისუფლებამ დეპრივატიზაციის პროცესი, პრაქტიკულად, უხმაუროდ, თითქმის ფარულად, "შერჩევის პრინციპით" განახორციელა, სახელისუფლებო ქმედებების ობიექტურობაზე, კანონიერებასა და საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებთან შესაბამისობაზე გარკვეულ ეჭვებს უდავოდ აღძრავს.

## სიახლე მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისთვის

ნინო ნარჩემაშვილი

აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) პროექტის "საქართველოში მიკროდაფინანსების სტაბილიზაცია და გაუმჯობესება" (GMSE) ფარგლებში მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისათვის გამოიცა სახელმძღვანელო კორპორატიული მმართველობის საკითხებზე, რომლის ავტორი საერთაშორისო ექსპერტი ჯერემი კონდორი გახლავთ.

სასტუმრო "შერატონ მეტეხი პალასში" გამართულ პრეზენტაციაზე პროექტის დირექტორმა ჯეფ ფერიმ განაცხადა, რომ "**კორპორატიული მმართველობის დანერგვა ქართულ საფინანსო ორგანიზაციებში და მიკროსაფინანსო სექტორში საჭირო და აუცილებელია. გამოცემული სახელმძღვანელო კი, რომელიც ქართულ სინამდვილესთან არის ადაპტირებული, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს სწორ მენეჯმენტს ასწავლის. ეს აუცილებელია კონკრეტულ გარემოში მათი განვითარებისა და ინვესტორების მოზიდვისათვის.**"

ინფორმაციისათვის, USAID-ს საქართველოში მიკროდაფინანსების სტაბილიზაციისა და გაუმჯობესების პროექტისთვის (GMSE), რომლის მისიაც საქართველოს მიკროსაფინანსო ორგანიზაციების გაძლიერება და ხანგრძლივმოქმედი მდგრადობის უზრუნველყოფა გახლავთ, 10 მილიონი დოლარი აქვს გამოყოფილი. დღეს საქართველოში 35 ათასამდე აქტიური მსესხებელია, რომელიც მეწარმეობას მიკროსესხებით ახორციელებს. მიკროსაფინანსო სექტორის სტაბილურობაზე დამოკიდებულია 120 ათასზე მეტი ოჯახის კეთილდღეობა. ერთი მიკროსესხით იქმნება საშუალოდ 1,5 სამუშაო ადგილი ქალაქში და ოთხი ადგილი სოფლად. საქართველოში 12 მიკროსაფინანსო ორგანიზაცია საქმიანობს, რომელთა სასესხო პორტფელი 23 მლნ. ლარს აჭარბებს.






**საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო**

**აცხადებს კონკურსს**

**"საქართველოს კინემატოგრაფიის ცენტრის" დირექტორის ვაკანტურ თანამდებობაზე**

**2005 წლის 10 თებერვლის 16:00 საათამდე კანდიდატებმა უნდა წარმოადგინონ:**

1. ორი ფოტოსურათი 3X4;
2. ავტობიოგრაფია (CV);
3. 3 სარეკომენდაციო წერილი კინოსა და კინომენეჯმენტის სფეროში მოღვაწე სხვადასხვა ფიზიკურ ან იურიდიულ პირთაგან;
4. სამოტივაციო წერილი (არა უმეტეს 4 ნაბეჭდი გვერდისა), რომელიც წარმოაჩენს კანდიდატის ხედვას ქართული კინოხელოვნების განვითარების პერსპექტივაზე, კინოს დაფინანსების ალტერნატიული გზების, საერთაშორისო კავშირებისა და კინოქსელების რეაბილიტაციის შესახებ.

შერჩეული კანდიდატები გასაუბრებას გაივლიან 2005 წლის 15 თებერვლიდან 25 თებერვლამდე.

საბუთები მიიღება საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროში.

მისამართი: ქ. თბილისი, სანაპიროს ქ.N4

საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია

პროექტი

## საგადასახადო განმარტებები

**1. რა გადასახადებით იბეგრება ფიზიკური პირი, რომელსაც იჯარით აქვს აღებული ქონება (თვეში 400 ლარად)?**

თუ იჯარის მიმღები ფიზიკური პირი საგადასახადო კოდექსის შესაბამისად წარმოადგენს მეწარმე ფიზიკურ პირს და მომსახურების ღირებულებას (საიჯარო ქირას) უნაზღაურებს ფიზიკურ პირს, რომელსაც არ გააჩნია საიდენტიფიკაციო კოდი (ანუ არ არის რეგისტრირებული გადასახადის გადამხდელად), მაშინ იჯარის მიმღებმა მას უნდა დაუკავოს საშემოსავლო გადასახადი და ასევე გადაიხადოს სოციალური გადასახადიც.

კონკრეტულად: თუ იჯარის გამცემი ხელზე იღებს 400 ლარს, ამ შემთხვევაში იჯარის მიმღებმა მეწარმემ 454.55 ლარიდან უნდა გამოიანგარიშოს და გამოაკლოს (დაუკავოს) მას 12% (54.55 ლარი) და ასევე დაარიცხოს სოციალური გადასახადი 20% (90.91 ლარი). ანუ გადასახადების სახით სულ გადახდილი უნდა იქნეს 145.46 (54.55+90.91) ლარი.

***დამატებითი ინფორმაცია:***

ფიზიკური და იურიდიული პირი, იჯარით აღებულ ქონებაზე ქონების გადასახადით დაბეგვრას არ ექვემდებარება.

ქონების გადასახადის გადამხდელს წარმოადგენს იჯარის გამცემი - ესე იგი, პირი, რომელსაც საკუთრებაში აქვს საქართველოს ტერიტორიაზე რიცხული ქონება, ასევე სარგებლობაში ან ფაქტობრივ მფლობელობაში აქვს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწა (საქართველოს საგადასახადო კოდექსი. მუხლი 271).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქონების გადასახადის გადახდის ვალდებულება ეკისრება ქონების მესაკუთრეს, მიუხედავად იმისა, წარმოადგენს თუ არა მეწარმეს. თუმცა ქონების გადასახადის გადახდის შესახებ შეტყობინება უნდა გაუგზავნოს საგადასახადო ინსპექციამ და ასევე გასათვალისწინებელია, რომ თუ პირის (ქონების მესაკუთრის) შემოსავლები არ აღემატება 40 ათას ლარს (წლის განმავლობაში) ქონების გადასახადის გადახდისაგან თავისუფლდება ქონების მესაკუთრე.

**2. რა გადასახადებით იბეგრებიან მხარეები ქონების იჯარით გადაცემისას?**

ვინაიდან ახალ საგადასახადო კოდექსში არ არის გათვალისწინებული გადასახადი ქონების გადაცემისათვის, ქონების იჯარით გადაცემისას ანუ ასეთი გადაცემის სამართლებრივი რეგისტრაციისათვის გადასახადები არ გადაიხდევინება.

თუ იჯარის გამცემი წარმოადგენს იურიდიულ პირს, ამ შემთხვევაში:

- საიჯარო ქირის თანხა შეიტანება საწარმოს ერთობლივ შემოსავალში და ექვემდებარება მოგების გადასახადით დაბეგვრას (საგადასახადო კოდექსის 169-ე, 170-ე, 171-ე, 172-ე და177-ე მუხლებით).

იჯარის გამცემი ვალდებულია, როგორც საგადასახადო აგენტმა საიჯარო ქირაში (ფასში) შეიტანოს დამატებული ღირებულების გადასახადი, რომლის ოდენობაც შეადგენს სახელშეკრულებო ღირებულების 20%-ს (2005 წლის 1 ივლისიდან - 18%-ს).

- დამატებით იხილეთ პირველ კითხვაზე პასუხი.

**3. 2004 წლის დეკემბერში კონსიგნაციის წესით შევიძინე კომპიუტერული ტექნიკა, რომლის ღირებულება მიმწოდებელს გადავუხადე 2005 წლის იანვარში. რომელი საგადასახადო კოდექსი უნდა იქნეს გამოყენებული ასეთი ოპერაციის დამატებული ღირებულების გადასახადით დაბეგვრისას?**

ძველი საგადასახადო კოდექსის 105-ე მუხლის პირველი ნაწილის "გ" ქვეპუნქტის მიხედვით - დღგ-ს დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების დროდ ითვლება განაღდების მომენტი, თუ განაღდება წარმოებს საქონლის (სამუშაოს, მომსახურების) მიწოდებიდან ან გადატვირთვიდან 90 დღის გასვლამდე, ხოლო ახალი საგადასახადო კოდექსის 238-ე მუხლის პირველი ნაწილის "ა" ქვეპუნქტით - საქონლის/მომსახურების მიწოდების მომენტი.

ვინაიდან ამ შემთხვევაში ახალი საგადასახადო კოდექსით დღგ-ს დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების დროდ ითვლება 2004 წლის დეკემბერი, ხოლო "ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის 47-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით - "ნორმატიულ აქტს უკუძალა აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს პირდაპირ არის დადგენილი ამ ნორმატიული აქტით". შესაბამისად, იმოქმედებს ძველი საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული ვალდებულების წარმოშობის დრო ანუ განაღდების მომენტი.

4. **ორ წელზე მეტია, საკუთრებაში მაქვს მიწის ნაკვეთი, რომელზეც დგას ამორტიზებული შენობა, რომლის ღირებულებაა 110,000 ლარი, ხოლო საბაზრო ღირებულება სავარაუდოდ შეადგენს 2-ჯერ მეტს. რა გადასახადების გადახდა მომიწევს მათი გაყიდვის შემთხვევაში?**

შეკითხვა დასაზუსტებელია, ვინ არის მესაკუთრე, შენობა რამდენი ხნით იყო საკუთრებაში, რამდენად ყიდის, რამდენად იყიდა და ა.შ., წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლო შემთხვევები ძალიან ბევრი იქნება.

2005 წლის 1 იანვრიდან გაუქმებულია ქონების გადაცემის გადასახადი და მან გარკვეულწილად ასახვა ჰპოვა საშემოსავლო გადასახადში.

ქონების ყიდვა - გაყიდვის დროს საშემოსავლო გადასახადს იხდის ქონების გამყიდველი. თუმცა, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 168-ე მუხლის პირველი ნაწილის "ვ" პუნქტის შესაბამისად "საშემოსავლო გადასახადისაგან თავისუფლდება ფიზიკური პირის მიერ 2 წელზე მეტი ვადით საკუთრებაში არსებული მატერიალური აქტივების რეალიზაციით მიღებული ნამეტი, გარდა ამ პირის მიერ სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში მატერიალური აქტივების რეალიზაციით მიღებული ნამეტისა". ამდენად, აღნიშნულ შემთხვევაში, ქონების გამყიდველი ფიზიკური პირი არ ექვემდებარება საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრას (12%-ს), მიუხედავად მისი ქონების საბაზრო ღირებულებისა - თუ ამ ქონების რეალიზაცია არ არის დაკავშირებული სამეწარმეო საქმიანობასთან.

იურიდიული პირის ბალანსზე არსებული ქონების გაყიდვის შემთხვევაში ქონების გამყიდველი იურიდიული პირისათვის ქონების გაყიდვით მიღებული შემოსავალი საქართველოს საგადასახადო კოდექსის 175-ე მუხლის მეორე ნაწილის "ბ" პუნქტის შესაბამისად წარმოადგენს სამეწარმეო საქმიანობისათვის გამოყენებული აქტივების რეალიზაციით მიღებული ნამეტ შემოსავალს, რომელიც შედის საწარმოს ერთობლივ შემოსავალში და იბეგრება მოგების გადასახადით.

მოგების გადასახადის განაკვეთი საქართველოს საგადასახადო კოდექსის 171- ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად ასეთ შემთხვევაში შეადგენს 20 პროცენტს.

ამავე დროს, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 225-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა" პუნქტის შესაბამისად, იურიდიული პირის მიერ ქონების გაყიდვა წარმოადგენს დღგ-თი დასაბეგრ ოპერაციას და ამ გადასახადის გადამხდელია ქონების შემძენი.

***შენიშვნა:*** *გასული ოთხშაბათიდან დღემდე შემოსული კითხვების პასუხები გამოქვეყნდება მომავალ ოთხშაბათს, გაზეთ "24 საათში"*

**"24 საათი" და "ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია"**

იწყებენ ახალ პროექტს:

**"საგადასახადო კოდექსის განმარტებები".**

**ყოველ ორშაბათს -** ახალი საგადასახადო კოდექსის ექსპერტული განმარტება.

**ყოველ ოთხშაბათს** - ექსპერტთა პასუხები თქვენს კითხვებზე.

კითხვები შეგიძლიათ ჩააწერინოთ ტელეფონებზე:
20 24 24 ("24 საათი") ან 93 64 75 ("ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის" ცხელი ხაზი) ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა - 12 საათიდან 15 საათამდე.
ასევე გამოაგზავნოთ ინტერნეტით:
e-mail: economics@24hours.ge ან
office@economists.ge
გამოაგზავნოთ ფოსტით ან დატოვოთ "24 საათის" საფოსტო ყუთში. მისამართი: თბილისი. ვაჟა-ფშაველას 45

# ირაკლი მანაგაძე: „2004 წელს დსთ-ს მასშტაბით ინფლაცია საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე დაბალი იყო"

### აშშ-ს სავაჭრო პალატა ეროვნული ბანკის რეფორმატორულ კურსს აფასებს

ნინო ნარჩემაშვილი

*ამერიკის სავაჭრო პალატამ 2004 წელს საქართველოში სხვადასხვა სფეროში საუკეთესო მოღვაწეთა სია გამოაქვეყნა. რეფორმების საუკეთესო გამტარებელთა შორის საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი ირაკლი მანაგაძე დასახელდა. რამ განაპირობა აშშ-ს სავაჭრო პალატის გადაწყვეტილება, რაში გამოიხატება რეფორმატორული კურსი და რით იყო გამორჩეული გასული წელი საქართველოს საბანკო სისტემისათვის. "24 საათის" შეკითხვებს ირაკლი მანაგაძე პასუხობს.*



**- ზოგადად როგორ შეაფასებდით ეროვნული ბანკის მიერ 2004 წელს გაწეულ საქმიანობას?**

- მთლიანობაში, გასული წელიწადი საქართველოს ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი და სერიოზული ცვლილებებით ხასიათდებოდა. ამდენად, ეროვნული ბანკისათვის ეს პერიოდი რთული და იმავდროულად უაღრესად საინტერესო იყო. რაც შეეხება ამ ვითარებაში მიღწეულ შედეგებს, ვიტყოდი, რომ 2004 წელი განსაკუთრებით წარმატებული გამოდგა რიგი პარამეტრების გათვალისწინებით.

**- რას მიიჩნევთ ყველაზე დიდ წარმატებად?**

- ეროვნული ბანკის მთავარი ამოცანა, როგორც მოგეხსენებათ, ქვეყანაში ფასების სტაბილურობის შენარჩუნებაა. იმ პირობებში, როდესაც უპრეცედენტოდ გამკაცრდა საგადასახადო ადმინისტრირება და მკვეთრად შეიზღუდა კონტრაბანდა, რისი უშუალო შედეგიც საგადასახადო შემოსავლების მთლიან შიდა პროდუქტთან ფარდობის მთელი 4 პროცენტული პუნქტით მატება გახდა, ფასების დონის ზრდის სერიოზული საფრთხის წინაშე ვიდექით. ფასებმა, ბუნებრივია, აიწია, მათ შორის, ცალკეულ საქონელზე საგრძნობლადაც. განსაკუთრებით კი იქ, სადაც მანამდე ყველაზე აქტიური იყო არალეგალური სეგმენტი. ამან კი საზოგადოების გარკვეულ ფენებში უკმაყოფილება გამოიწვია. თუმცა ნუ დავივიწყებთ მნიშვნელოვან ფაქტორს - რომ არა ეროვნული ბანკის გამოზომილი პოლიტიკა, დღეს გაცილებით მძიმე სურათთან გვექნებოდა საქმე. ფაქტობრივად კი, ფასების საერთო დონე საშუალოდ 5.7 პროცენტით გაიზარდა, რაც სავსებით მისაღები მაჩვენებელია. უნდა აღინიშნოს, რომ 2004 წელს დსთ-ს ქვეყნებს შორის ინფლაცია საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე დაბალი იყო. ამ შედეგის მიღწევაში მნიშვნელოვანი როლი ლარის გამყარებამაც ითამაშა.

ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ წლის განმავლობაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გატარებული ღონისძიებების, მონეტარული ინსტრუმენტების აქტიური ამოქმედებისა და კარგად გააზრებული სავალუტო პოლიტიკის შედეგად, 2005 წლის განმავლობაში თავიდან იქნა აცილებული, როგორც ფასების საერთო დონის მნიშვნელოვანი მატება, ასევე ფინანსურ სისტემაზე მოქმედი ნეგატიური მოვლენების გავლენა, და შენარჩუნებულ იქნა სტაბილური მონეტარული ფონი.

**- სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ მთელი გასული წლის განმავლობაში ლარის გამყარდების პროცესი მიმდინარეობდა. თქვენი შეფასებით, რამ გამოიწვია ეროვნული ვალუტის ასეთი დინამიკა და როგორ იმოქმედა ამ პროცესმა ქართულ ეკონომიკაზე?**

- ამ საკითხის ირგვლივ ბევრი დისკუსია, შეფასება თუ პროგნოზი გამოითქვა. საზოგადოებაში, ხშირ შემთხვევაში, გადაჭარბებული და არაჯანსაღი აჟიოტაჟიც იყო შექმნილი. ამან სავალუტო ბაზარზე გარკვეულწილად უარყოფითი გავლენაც იქონია. თუმცა სავსებით მესმის მოსახლეობის დაინტერესება ამ თემით, ვინაიდან დოლარიზებული ეკონომიკის მქონე ქვეყანაში, ისეთში როგორიც საქართველოა, გაცვლითი კურსი ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში ჩვეულებრივზე მეტ დატვირთვას იძენს.

რაც შეეხება ლარის გამყარების ფაქტორებს და მის შედეგებს, უნდა აღინიშნოს, რომ უმთავრესი შედეგი, რაც ეროვნული ვალუტის კურსის ზრდას მოჰყვა, ეს ინფლაციის შეკავება იყო. ლარის ასეთმა გამყარებამ მნიშვნელოვანწილად გაანეიტრალა ფასების ზრდის გამომწვევი ფაქტორების გავლენა და შეამცირა ინფლაციური მოლოდინი. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ეროვნული ვალუტის რევალვაციის გარეშე ფასების დონე გაცილებით მაღალი იქნებოდა.

ლარის აქამდე უჩვეულო დინამიკის მიზეზი რამოდენიმე იყო. უმთავრესი მიზეზი სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების არნახული ზრდა გახლდათ. აღსანიშნავია, რომ ამ წელს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები 80%-ით აღემატება 2003 წლის მაჩვენებელს. ფისკალური ადმინისტრირების მკვეთრმა გაუმჯობესებამ, სახელმწიფოებრივი წესრიგის აღდგენის მიმართულებით ხელისუფლების მიერ განხორციელებულმა ღონისძიებებმა, იძულებული გახადა ეკონომიკური სუბიექტები და მოსახლეობა, უცხოურ ვალუტაში შენახული სახსრები ბიუჯეტში თანხების შეტანის მიზნით ეროვნულ ვალუტაში გადაეყვანათ. შედეგად მკვეთრად იმატა მოთხოვნამ ეროვნულ ვალუტაზე. აქვე გასათვალისწინებელია, რომ 2004 წლის განმავლობაში დიდი ოდენობით თანხები აკუმულირდებოდა მთავრობის ანგარიშებზე, რომელთა ხაჯვა ზოგჯერ შეზღუდულად, ზოგჯერ კი დიდი მოცულობით მიმდინარეობდა, რაც საბოლოო ჯამში, ფულადი ნაკადების არათანაბარ მოძრაობას უწყობდა ხელს. ასევე, მოთხოვნის მატების განმსაზღვრელი ფაქტორები იყო ლარის გამოყენების არეალის გაფართოება. ამას თან დაერთო შიდა სავალუტო ბაზარზე უცხოური ვალუტის მიწოდების მოცულობის მატება, რაც დაკავშირებული იყო ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობასთან და სხვა საინვესტიციო პროექტებთან, რომლებმაც ქვეყანაში უცხოური ვალუტის შემოდინების მნიშვნელოვანი ნაკადი შექმნეს. ერთ-ერთ უმთავრეს ფაქტორად ასევე უნდა განიხილებოდეს ლარის შემდგომი მკვეთრი გამყარების მოლოდინის წარმოქმნა. ყოველივე ამან, ლარის გამყარების საკმაოდ რეალური საფუძველი შექმნა.

**- საზოგადოებაში მნიშვნელოვნად გაიზარდა ლარისადმი ნდობა. აისახა თუ არა ეს ეკონომიკის დოლარიზაციის დონეზე?**

- გასული წლის პოზიტიურ მოვლენებს შორის განსაკუთრებით ყურადსაღებია დოლარიზაციის მასშტაბების მკვეთრი შემცირება. 2004 წლის განმავლობაში დეპოზიტების დოლარიზაციის კოეფიციენტი 86.1 პროცენტიდან 74.3 პროცენტამდე შემცირდა, რაც ბოლო ექვსი წლის ყველაზე დაბალ მაჩვენებელს წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ ეს შემცირება საბანკო სისტემის სადეპოზიტო ვალდებულებების 45 პროცენტიანი ზრდის პირობებში მოხდა. ეროვნულ ვალუტაში დეპოზიტები გაიზარდა 168 პროცენტით, ხოლო უცხოურ ვალუტაში გაცილებით ნაკლებად - 42 პროცენტით.

წინა წლებში, სტაბილური გაცვლითი კურსისა და ინფლაციის ზომიერი ფონის მიუხედავად, დოლარიზაციის მაჩვენებელი ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა. ფისკალურ სფეროში არსებული სირთულეები და მთავრობის მიმართ უნდობლობა, რაც ნეგატიურად აისახებოდა ლარის მიმართ მოსახლეობის დამოკიდებულებაში, გადაულახავ ბარიერებს ქმნიდა ქვეყნის ეკონომიკის დოლარიზებულობის ხარისხის შემცირებისათვის. ამდენად, 2004 წელს საბიუჯეტო სფეროს ფუნქციონირების მოწესრიგებამ, ლეგალიზაციის შეუქცევადმა პროცესმა, ეროვნული ვალუტისადმი ნდობის მნიშვნელოვანმა ამაღლებამ, ეროვნული ბანკის მიერ მიზანმიმართული პოლიტიკის განხორციელების ფონზე ქვეყნის ეკონომიკის დედოლარიზაციის ამჟამინდელი მასშტაბები განაპირობა.

აღნიშნულ პოზიტიურ პროცესს ხელს უწყობდა ეროვნული ბანკის მიერ გატარებული ღონისძიება - საბანკო სისტემის მიერ ეროვნული ვალუტით მოზიდული სახსრების სტიმულირების თვალსაზრისით სარეზერვო მოთხოვნების ნორმის დიფერენცირება და ლარებში მოზიდული სახსრებისათვის სავალდებულო რეზერვის ნორმის ნულოვანი განაკვეთით განსაზღვრა.

**- კიდევ რომელ რეფორმატორულ ტენდენციას გამოყოფდით?**

- გასული წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა საბანკო სისტემის საფინანსო შუამავლობის ხარისხი. განსაკუთრებით აღსანიშნავია ეროვნული ვალუტით ფინანსური შუამავლობის ეფექტიანობის ზრდა. მკვეთრად გაიზარდა კომერციული ბანკების მიერ განხორციელებულ როგორც აქტიურ, ისე პასიურ ოპერაციებში ეროვნული ვალუტის ხვედრითი წილი. ჩრდილოვანი ეკონომიკის შემცირების ფონზე საგრძნობლად მოიმატა ეროვნულ ვალუტაში განხორციელებულ გარიგებათა მოცულობამ და რაოდენობამ. ეკონომიკური საქმიანობის სულ უფრო მეტი წილი მოექცა საბანკო სისტემის ფარგლებში. ეროვნულ ვალუტაში ფინანსური აქტივობის ამაღლების წინაპირობა ეროვნული ბანკის მიერ განხორციელებულმა ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკამ შექმნა. მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ეროვნულ ვალუტით მოზიდული სახსრების სავალდებულო რეზერვის შემცირებამაც.

გასული წლის განმავლობაში ადგილი ჰქონდა ფართე ფულის M2 მულტიპლიკატორის მნიშვნელოვან ზრდას. აღნიშნული მაჩვენებელი 2004 წლის განმავლობაში 0.91-დან 1.01 ნიშნულამდე გაიზარდა და ბოლო ექვსი წლის განმავლობაში პირველად გადააჭარბა 1-ს. რაც იმას ნიშნავს, რომ საბანკო სისტემის მეშვეობით ხდება ლარებით დენომინირებული დეპოზიტების გამრავლება. ყოველივე კი ეროვნულ ვალუტაში ფინანსური საქმიანობის ხარისხის მატებასა და ფინანსური შუამავლობის საგრძნობ ამაღლებაზე მიუთითებს.

**- მიუხედავად აღნიშნული დადებითი ძვრებისა, ლარი ნაკლებად გამოიყენება საქართველოს ზოგიერთ რაიონში. როგორ შეაფასებდით ამ მივლენას?**

- გასულ წელს კიდევ უფრო გაფართოვდა ლარის გამოყენების არეალი. ამ მიმართულებით ერთ-ერთი წინგადადგმული ნაბიჯი საქართველოში დისლოცირებული რუსეთის სამხედრო ბაზების მოსამსახურეების ხელფასების, რუბლების ნაცვლად ლარებში გაცემა გახდა. რამაც შეცვალა ვითარება სამხრეთ საქართველოს ზოგიერთ რაიონში, სადაც ლარის მიმოქცევის არეალი საკმაოდ შეზღუდული იყო და გადამწყვეტი როლი ითამაშა ამ რეგიონში ლარის დამკვიდრების ხელშეწყობისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ ლარისადმი ნდობა საკმაოდ მაღალია და დოლარიზაციის მასშტაბების მკვეთრი შემცირების ტენდენციები ჩამოყალიბდა, ეროვნული ვალუტა სრულფასოვნად მაინც ვერ ასრულებს საკუთარ ფუნქციებს. მსხვილი გარიგებები, განსაკუთრებით უძრავ ქონებასთან და საავტომობილო სატრანსპორტო საშუალებებთან დაკავშირებული, კვლავ უცხოურ ვალუტაში ხორციელდება, ხოლო მოსახლეობის დანაზოგების შექმნის პროცესში ლარი, ჯერჯერობით, ვერ უწევს კონკურენციას აშშ დოლარს. თუმცა ვფიქრობთ, რომ მომავალში, ეროვნული ვალუტის სტაბილურობის პირობებში, მის მიმართ ნდობის შემდგომი განმტკიცების კვალობაზე, ეს ბარიერიც გადაილახება.

**- ქართველი და უცხოელი ექსპერტები აღნიშნავენ, რომ ქართული ეკონომიკის ყველაზე ჯანსაღი სექტორი საბანკო სისტემაა. თქვენი შეფასებით, რა ტენდენციებით ხასიათდებოდა საქართველოს საბანკო სისტემა გასული წლის განმავლობაში?**

- განვლილი ათწლეულის განმავლობაში ბანკების რაოდენობის შემცირების მიუხედავად, საბანკო საქმიანობის განვითარების შედეგად საბანკო სექტორი ყოველწლიურად დინამიურად იზრდებოდა და აღემატებოდა ეკონომიკის სხვა სექტორების ზრდის ტემპებს. 2004 წლის განმავლობაში საბანკო აქტივები მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში 15.7%-დან 18.0%-მდე გაიზარდა. საბანკო სექტორის მნიშვნელოვანი ზრდის ტემპებზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ბოლო 4 წლის განმავლობაში საბანკო აქტივები ყოველწლიურად არანაკლებ 20%-ით იზრდებოდა. ასეთივე მნიშვნელოვანი ზრდის ტენდენციებით ხასიათდებოდა 2004 წლის განმავლობაში საბანკო სექტორის განვითარება. კერძოდ, საბანკო სექტორის მთლიანი აქტივები გაიზარდა 28%-ით, წმინდა სესხები - 24%-ით, ვალდებულებები - 35%-ით, დეპოზიტები - 34%-ით, ნასესხები სახსრები - 40%-ით, კაპიტალი - 7%-ით.

2004 წელს საბანკო სექტორში განვითარებული ტენდეციებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია დეპოზიტების ზრდის მაღალი ტემპი, რომელიც ლარებში 162%-ით და უცხოურ ვალუტაში 28.8%-ით გაიზარდა და 2004 წლის ბოლოსათვის 983 მლნ. ლარი შეადგინა. ბანკებში არსებული დეპოზიტების 50%-ს შეადგენს ფიზიკურ პირთა დეპოზიტები, რომელიც თავის მხრივ წლის განმავლობაში 27.4%-ით გაიზარდა. ლარებში დეპოზიტების მნიშვნელოვანი ოდენობით ზრდაზე გავლენა იქონია ლარის გაცვლითი კურსის გამყარებამ, ხოლო მთლიანობაში იგი ბანკებისადმი მოსახლეობის ნდობის ამაღლებით იყო გამოწვეული.

მნიშვნელოვანია, რომ წინა წლების ანალოგიურად, 2004 წლის განმავლობაში მცირდებოდა საბაზრო საპროცენტო განაკვეთები. საპროცენტო განაკვეთის შემცირების ტენდენცია უფრო მეტად ახასიათებდა სასესხო საპროცენტო განაკვეთს, რომელიც ბანკების მიერ ბიზნესის დაკრედიტების ზრდის პარალელურად მიმდინარეობდა, რითაც უფრო ხელსაყრელი გარემო იქმნებოდა მისი განვითარებისათვის.

საბანკო სექტორში კონკურენციის გააქტიურებამ განაპირობა ბანკებში "საქართველოს ბანკისა" და "თბილუნივერსალბანკის" შერწყმის შესახებ გადაწყვეტილება გახლავთ, რომელიც 2005 წლის პირველ კვარტალში დასრულდება.

2004 წელს გაიზარდა საქართველოს საბანკო ბაზარზე უცხოური ბანკების შემოსვლის ინტერესი. კერძოდ, ბრიტანულმა, რუსულმა და ყაზახურმა ბანკებმა გამოხატეს თავიანთი დაინტერესება ქართულ ბანკებში საკონტროლო პაკეტის შეძენაზე, რომელთაგან რუსულ "ვნეშტორგბანსა" და "გაერთიანებულ ქართულ ბანკს" შორის უკვე შედგა გარიგება.

**- დაბოლოს, საუბრობენ ეროვნული ბანკის ქუთაისში გადატანის თაობაზე. თქვენ როგორ შეაფასებდით ამ მოსაზრებას?**

- მიმაჩნია, რომ ეროვნული ბანკი საკუთარ ფუნქციებს სრულყოფილად, გარდა თბილისისა, ვერც ქუთაისში და ვერც სხვა რომელიმე ქალაქში შეასრულებს. აქედან გამომდინარე დედაქალაქიდან მისი გადატანა ქვეყანას სასიკეთოს არაფერს მოუტანს. მსოფლიო პრაქტიკაში არ არსებობს პრეცენდენტი იმისა, რომ ცენტრალური ბანკი (თანამედროვე კომუნიკაციების არსებობის პირობებშიც კი) ფინანსური ცენტრისაგან მოწყვეტილი იყოს. მაგალითისათვის ერთი საინტერესო ფაქტი გამოდგება -დღეისათვის მსოფლიოში სულ ხუთიოდე მაგალითი მოიძებნება, როდესაც ქვეყნის ფინანსური ცენტრი დედაქალაქში არ არის განლაგებული. ამ ქვეყნებში ცენტრალური ბანკი სწორედ ფინანსურ ცენტრში მდებარეობს და არა დედაქალაქში. ეს ხაზს უსვამს, თუ რამდენად მჭიდროა კავშირი ცენტრალურ ბანკსა და ფინანსური სისტემის ინფრასტრუქტურას შორის. როდესაც რამოდენიმე წლის წინ ყაზახეთის დედაქალაქი და შესაბამისად ძირითადი სახელმწიფო დაწესებულებები ალმაატიდან ასტანაში გადაიტანეს, ცენტრალური ბანკი მაინც ძველ ადგილას დატოვეს, ვინაიდან სწორედ იქ ჩამოყალიბდა ისტორიულად ყაზახეთის ფინანსური ცენტრი. ამ ფუძემდებული, საყოველთაოდ მიღებული პრინციპის ფონზე ეროვნული ბანკის თბილისის გარდა ნებისმიერ სხვა ქალაქში განლაგების წინააღმდეგ სხვა დამატებითი არგუმენტების მოტანა ზედმეტად მიმაჩნია, თუმცა ასეთი ბევრი მოიძებნება. ამ საკითხთან დაკავშირებით გვქონდა საუბარი მთავრობის წევრებთან, მათ მოისმინეს ჩვენი არგუმენტები და ვფიქრობ ადეკვატურ დასკვნებსაც გააკეთებენ. ამდენად, ამ თემაზე დისკუსიის შემდგომი გაგრძელება მართებულად არ მიმაჩნია.

აქვე მსურს აღვნიშნო, რომ ეროვნული ბანკი წლების განმავლობაში საქართველოს სავიზიტო ბარათად იქცა საერთაშორისო არენაზე, როგორც სახელმწიფო სტრუქტურის წარმატებული ფუნქციონირების საუკეთესო მაგალითი და ქვეყნის ეკონომიკური სტაბილურობის გარანტი. შესაბამისად, ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე ჩვენი ძალისხმევა მიმართული უნდა იყოს მისი, როგორც ინსტიტუტის შემდგომი გაძლიერებისა და დამოუკიდებლობის განმტკიცებისაკენ. ეს უკანასკნელი ხომ საერთაშორისო პრაქტიკაში უკვე კარგა ხანია უალტერნატივო მიმართულებად არის მიჩნეული. ვიმედოვნებ, რომ საქართველოც მომავალში სწორედ ამ გზით ივლის..

# ნეპალში საგანგებო მდგომარეობა გამოცხადებული


ნეპალის მეფე გიანენდრა.

ნეპალის მეფე გიანენდრამ ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა და აღმასრულებელი ხელისუფლების უფლებამოსილებანი მანამდე გადაიბარა, სანამ მინისტრთა ახალი კაბინეტი არ იქნება ფორმირებული. მიღებული გადაწყვეტილების შესახებ ქვეშევრდომებს მეფემ სატელევიზიო გამოსვლით ამცნო. გადაყენებული მთავრობა, რომელსაც პრემიერ-მინისტრი შერ ბახადურ დეუბა ხელმძღვანელობდა, გიანენდრამ ქვეყანაში მშვიდობის აღდგენისა და საპარლამენტო არჩევნებისთვის მომზადების უუნარობაში დაადანაშაულა. საპარლამენტო არჩევნები მიმდინარე წლის აპრილშია დაგეგმილი. ყოფილი პრემიერ-მინისტრი გიანენდრამ ერთხელ უკვე გაათავისუფლა, კერძოდ, 2 წლის წინ, როცა დეუბამ ვერ შეძლო მაოისტი ბოევიკების თავდასხმის აღკვეთა. თუმცა, გასულ წელს კვლავ აღადგინა თანამდებობაზე იმ პირობით, რომ 2005 წლის 13 იანვრამდე შეძლებდა ბოევიკებთან მოლაპარაკებას.

საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებისთანავე მეფე გიანენდრამ გასცა განკარგულება, არ დაუშვან კატმანდუს საერთაშორისო აეროპორტში უცხოური ავიაკომპანიების კუთვნილი სამგზავრო თვითმფრინავების დაფრენა. გათიშულია სატელეფონო კავშირი. კატმანდუს ქუჩებში პატრულირებს გაძლიერებული საჯარო და საპოლიციო დანაყოფები. ინდური სააგენტოების მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ყოფილი პრემიერ-მინისტრი კაბინეტის სხვა ყოფილ წევრებთან ერთად შინაპატიმრობაში იმყოფება.

ანალიტიკოსთა შეფასებით, პრემიერ-მინისტრის გადადგომის რეალური მიზეზი ნეპალის კომუნისტური პარტიის ლიდერებთან დაძაბული ურთიერთობები გახდა.

*24 საათი*

# სტრასბურგის სასამართლოში ყველაზე მეტი საჩივარი რუსეთის წინააღმდეგ არის შესული

სტრასბურგის სასამართლოში ყველაზე მეტი სარჩელი, როგორც აღმოჩნდა, რუსეთის მოქალაქეებმა შეიტანეს საკუთარი ქვეყნის წინააღმდეგ. გუშინ რუსეთის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ ვიაჩესლავ ლებედევმა დაადასტურა, რომ 1998 წლიდან დღემდე ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა სასამართლოში რუსეთის წინაღმდეგ 22 ათასი საჩივარია შესული.

მიუხედავად ამისა, საჩივრების ასეთი დიდი რიცხვი რუსეთის მხარეს საკუთარი მართლმსაჯულების ხარვეზად სულაც არ ეჩვენება. "ქვეყანა დიდია, შესაბამისად პრობლემებიც მეტია...თუმცა, ბევრია დაუსაბუთებელი საჩივარიც," - ამბობს ევროპის სასამართლოში რუსეთის რწმუნებული პაველ ლაპტევი. მისი აზრით, მოსარჩელეთა შთამბეჭდავი რაოდენობას პირდაპირპროპორციული კავშირი აქვს ქვეყნის საერთო მოსახლეობასთან და არანაირად არ ასახავს რუსული მართლმსაჯულების სისუსტეს. გარდა ამისა, რუსეთის მხარეს მიაჩნია, რომ უკანასკნელ "ევროპის სასამართლოს საქმიანობაში მთელი რიგი ასპექტების აშკარა პოლიტიზაცია" მოხდა.

ასეთი მოსაზრების გასამყარებლად, რუსი იურისტი შარშან სტრასბურგის სასამართლოს მიერ განხილულ "ილაშკუს საქმეს" ასახელებს. შეგახსენებთ, დნესტრისპირეთის სასამართლოს მიერ გასამართლებული ილია ილაშკუ მოლდავეთთან ერთად რუსეთსაც უჩიოდა. შედეგად, 2004 წლის 8 ივნისს ევროპის სასამართლომ გაითვალისწინა რა, დნესტრისპირეთში რუსი "სამშვიდობოების" ყოფნა, გადაწყვეტილება მოსარჩელის სასარგებლოდ გამოიტანა და მოლდავეთთან ერთად რუსეთსაც დააკისრა სერიოზული ფულადი კომპენსაციის გადახდის ვალდებულება. "სამწუხაროდ, ამ გადაწყვეტილების გასაჩივრება შეუძლებელია," - "სინანულით" აღნიშნავს ლაპტევი და ევროპის სასამართლოს თავად სდებს ბრალს ტენდენციურობაში.

*24 საათი*

საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია
ლიცენზიებისა და ნებართვების დანერგვის
პროექტი
უფასო სატელეფონო კონსულტაციები ლიცენზიისა და ნებართვის მიღებასთან დაკავშირებით
პროექტის ფარგლებში გამოიცა გზამკვლევი "როგორ მივიღოთ ლიცენზია კვების პროდუქტებისა და თამბაქოს წარმოებაზე"
გზამკვლევი უფასოა
ლიცენზირების ცხელი ხაზი 93 64 75
ცხელი ხაზი ფუნქციონირებს ყოველ დღე შაბათ-კვირის გარდა, 11-დან 19 საათამდე.
საკონტაქტო ინფორმაცია: მისამართი: გრ. ორბელიანის ქ. №35, თბილისი 0105; ე-მაილ: office@economists.ge
IRIS პროექტი ხორციელდება IRIS- საქართველოს მხარდაჭერით
USAID

# კუჩმას ახალი თანამდებობა

**იგი ფონდ "უკრაინას" ჩაუდგა სათავეში**

სანამ უკრაინის პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი იულია ტიმოშენკო კუჩმას გასამართლებას შეუდგებოდა, ხელისუფლებამ კუჩმასთვის მუდმივი ჯამაგირის დაწესება მოასწრო. ლეონიდ კუჩმაზე გაცილებით მეტი ხარჯებია გათვალისწინებული, ვიდრე უკრაინის პირველ პრეზიდენტს ლეონიდ კრავჩუკს თავის დროზე დაუწესეს. თანამდებობიდან გადამდგარ კრავჩუკს თავიდან არც ტრანსპორტი ჰყავდა, აღარც ოფისი ჰქონდა. ექს-პრეზიდენტის გარანტიები რვა პუნქტს შეიცავს, რომელიც საიდუმლო სამთავრობო დადგენილებაშია ("ლეონიდ კუჩმას დაცვის, უზრუნველყოფისა და მომსახურების შესახებ") შეტანილი. ამ დადგენილების ხელმოწერა ყოფილმა პრემიერმა ნიკოლაი აზაროვმა მოასწრო. დოკუმენტის თანახმად, კუჩმას ყოველთვიური ჯამაგირი ეკუთვნის, პრეზიდენტის ხელფასის ოდენობით. "კუჩმას საქმიანობის უზრუნველყოფისათვის" სამკაციანი (მრჩეველი და ორი თანაშემწე) აპარატი შეიქმნება. კუჩმას სამუდამო მფლობელობაში გადავა 72-ე სამთავრობო აგარაკი, რომლის ტერიტორიაც მრავალჰექტარიან ფართობზეა გადაჭიმული, კიევიდან 25 კილომეტრში. აგარაკი უზრუნველყოფილია დაცვითა და მომსახურებით. ექს-პრეზიდენტს გამოეყოფა ორი ავტომობილი და ოთხი მძღოლი, აგრეთვე დაცვის ქვედანაყოფი, რომელიც კუჩმას დაიცავს უკრაინული კანონის "თანამდებობის პირთა სახელმწიფო დაცვის შესახებ" თანახმად. კუჩმასა და მის მეუღლეს ლუდმილას ორი მოსამსახურე ქალი, ორი ოფიციანტი და ერთი მზარეული მოემსახურება. ექს-პრეზიდენტის ოჯახს შეუნარჩუნდება უფლება "სახელმწიფო საქმეთა სამმართველოს დაწესებულებების მხრიდან სამედიცინო და სანატორიულ-საკურორტო მომსახურებაზე".


კუჩმა არ იჯდება ნაპირზე ანკესით ხელში. ის სავსებით ჯანმრთელი და საქმიანი ადამიანია.

დადგენილების თანახმად, კუჩმას ტრანსპორტის ყველა სახეობით მთელს უკრაინაში უფასოდ გადაადგილების უფლება აქვს, გარდა ტაქსისა. ის კომუნალური მომსახურების, გაზისა და ელექტროენერგიის საფასურის მხოლოდ ნახევარს გადაიხდის. ადრე უკრაინის უმაღლესი რადა კუჩმასთვის მხოლოდ 22 მინიმალური ხელფასისგან შემდგარ მუდმივ ჯამაგირს ითვალისწინებდა. ეს თვეში დაახლოებით 1870 დოლარია. აგრეთვე აგარაკს, დაცვას, ტრანსპორტს, სამედიცინო მომსახურებას. რომელი დადგენილება განხორციელდება - ამას უკრაინის ახალი პრეზიდენტი გადაწყვეტს. ამჟამად ლეონიდ კუჩმა კიევის მახლობლად მდებარე აგარაკზეა, მას ხშირად სტუმრობს პრეზიდენტის ადმინისტრაციის ყოფილი ხელმძღვანელი, ამჟამინდელი ოპოზიციონერი ვიქტორ მედვედჩუკი. ის ირწმუნება, რომ "კუჩმა თავს კარგად გრძნობს". უკრაინის ეროვნული ბანკის ყოფილი დირექტორი სერგეი ტიგიპკო ამბობს, რომ "კუჩმა არ იჯდება ნაპირზე ანკესით ხელში. ის სავსებით ჯანმრთელი და საქმიანი ადამიანია. მის მიერ აშენებული სახელისუფლებო სისტემა მის გარეშე ვერ იმუშავებს. ის აუცილებლად დაბრუნდება პოლიტიკაში, ახალ ამპლუაში".

ჯერჯერობით, კუჩმა ფონდ "უკრაინას" ჩაუდგა სათავეში. ერთი შეხედვით უმნიშვნელო, თუმცა საგულისხმო დეტალია - იგი მოიხსენიება არა როგორც ფონდის პრეზიდენტი, არამედ დირექტორი.

*24 საათი*

# სერბ გენერალს ხანგრძლივი პატიმრობა ელოდება

ჰააგის საერთაშორისო ტრიბუნალმა იუგოსლავიის სახალხო არმიის ყოფილ გენერალს, 71 წლის პავლე სტრუგარს 8 წლით პატიმრობა მიუსაჯა.

1991-1992 წლებში სტრუგარი იუგოსლავიის არმიის იმ ოპერატიულ ჯგუფს ხელმძღვანელობდა, რომელიც უპირატესად ხორვატებით დასახლებულ ქალაქ დუბროვნიკის მიდამოებში საომარ ოპერაციას ატარებდა. სამხედროები, რომლებსაც გენერალი მეთაურობდა, კლავდნენ მშვიდობიან მცხოვრებლებს, ანგრევდნენ საცხოვრებელ შენობებს, სპობდნენ და ანადგურებდნენ არქიტექტურის ისტორიულ და რელიგიურ ძეგლებს.

მოსამართლეების აზრით, სტრუგარმა არაფერი იღონა იმისთვის, რომ თავიდან აეცილებინა მშვიდობიან მოსახლეობაზე თავდასხმები და დაესაჯა ის ოფიცრები, რომლებიც ამას ჩადიოდნენ. სტრუგარი ჰააგის საერთაშორისო ტრიბუნალს 2001 წლის 21 ოქტომბერს ნებაყოფლობით ჩაბარდა. ის მის წინააღმდეგ წაყენებულ ყველა ბრალდებას უარყოფს.

*ინტერ-პრესი*

## ორი სიტყვით

**უკრაინა.** ოფიციალური კიევი დსთ-ს უშიშროების საბჭოს შექმნას მიზანშეუწონლად მიიჩნევს, - ამის შესახებ გუშინ უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრეს-სამსახურის ხელმძღვანელმა მარკიან ლუბკივსკიმ განაცხადა. შეგახსენებთ, ასეთი წინადადება 31 იანვარს მოსკოვში გამართული დსთ-ს ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეების შეხვედრაზე ყაზახეთმა წამოაყენა. აღნიშნული საბჭოს წევრები დსთ-ს წევრ-სახელმწიფოების ძალოვანი მინისტრები, უშიშროების საბჭოს მდივნები და საგარეო უწყებების ხელმძღვანელები უნდა ყოფილიყვნენ. ლუბკივსკიმ ასევე აღნიშნა, რომ უკრაინა უარს იტყვის დსთ-ს ჰუმანიტარული საბჭოს შექმნის შესახებ რუსეთის ინიციატივის მხარდაჭერაზე და ერთიანი ჰუმანიტარული სივრცის შექმნაზე. **რია-ნოვოსტი**

■ ■ ■

**კოლუმბია.** ცხრა საზღვაო ქვეითი დაიღუპა და 20 დაიჭრა გუშინ ისკუანდის (ნარინოს პროვინცია) სამხედრო ბაზაზე მეამბოხეთა მიერ განხორციელებული სარაკეტო დარტყმის შედეგად. კოლუმბიის ოფიციალური წყაროების ინფორმაცით, სარაკეტო თავდასხმა "კოლუმბიის რევოლუციური შეიარაღებული ძალების" მებრძოლებმა ღამით განახორციელეს. ჯერჯერობით, არაფერია ცნობილი თავად თავდამსხმელთა შორის მსხვერპლის შესახებ. **როიტერსი**

■ ■ ■

**აშშ.** შეერთებული შტატები ისრაელის მიერ ირანის ბირთვულ ობიექტებზე პრევენციული დარტყმების განხორციელების შესაძლებლობას არ გამორიცხავს. ამის შესახებ გუშინ აშშ-ს სახელმწიფო მდივნის მოადგილემ ჯონ ბოლტონმა განაცხადა.

მისი თქმით, ისრაელმა, შესაძლოა, საომარი ოპერაცია განახორციელოს, თუ ირანი საკუთარ ბირთვულ პროგრამას არ შეაჩერებს, რომელიც, ვაშინგტონის აზრით, სამხედრო ხასიათს ატარებს. თეირანი კვლავინდებურად ამტკიცებს, რომ ატომურ ენერგიას მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობიანი მიზნებისთვის იყენებს. როგორც სამშაბათს რუსეთში ისლამური რესპუბლიკის ელჩმა გოლამრეზა შაფეიმ განაცხადა, ირანში ახალი ატომური ელექტროსადგურები აშენდება და შესაძლოა, ამ პროექტში რუსეთმაც მიიღოს მონაწილეობა. **ინტერ-პრესი**

*დიპლომატია*

# საქართველოში ისრაელს ახალი ელჩი ჰყავს

ხათუნა გაბიევი

გუშინ სასტუმრო "თბილისი-მარიოტში", ქართული საზოგადოებისათვის, საქართველოში ისრაელის ახალი სრულუფლებიანი ელჩის, ბატონი შაბთაი ცურის წარდგენა მოხდა. მიღებას საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად ჩვენს ქვეყანაში აკრედიტებული სხვადასხვა ქვეყნის ელჩებიც ესწრებოდნენ. შაბთაი ცურს ელჩად დანიშვნა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის სალომე ზურაბიშვილის სახელით მისმა მოადგილემ, ისრაელში ელჩად დანიშნულმა და ჯერჯერობით მოვალეობის შემსრულებელმა ლაშა ჟვანიამ მიულოცა. **"მინდა მივულოცო საქართველოს, მინდა მივულოცო ისრაელს ახალი ურთიერთობების ფურცელი, რომელიც სასიკეთო იქნება. მივესალმები ბატონი შაბთაის დანიშვნას საქართველოში სრულუფლებიან ელჩად და მიმაჩნია, რომ ძალიან კარგია, როდესაც იმ ქვეყნის შვილი, როგორადაც თავს მიიჩნევს ბატონი შაბთაი ანუ საქართველოს შვილი შემდეგ გახდა მისი ისტორიული სამშობლოს, ისრაელის შვილი და ისევ დაუბრუნდა საქართველოს. ის ოცდაექვსსაუკუნოვანი ტრადიცია, რომელიც ჩვენ მოგვდგამს, საჭიროებს გაღრმავებასა და უკვე ეკონომიკურ სივრცეზე გადატანას. ვფიქრობ, ბატონი შაბთაი ყველაფერს გააკეთებს ამ ორი ქვეყნის საკეთილდღეოდ,"**- აღნიშნა ლაშა ჟვანიამ.

საზოგადოებას ქართულ ენაზე მიმართა შაბთაი ცურმა, რომელმაც პირველ რიგში, გორის ტერაქტის შედეგად დაღუპულთა ოჯახებს მიუსამძიმრა. **"ისრაელი ის ქვეყანაა, რომელსაც კარგად ესმის, რას წარმოადგენს ტერორიზმი. ჩემთვის განსაკუთრებული პატივია წარმოვადგენდე სახელმწიფოს, რომლის ხალხსაც უნიკალური ურთიერთობა აკავშირებს ქართველებთან. გარდა ამისა, მოხარული ვარ იმის გამოც, რომ საქართველოში იმ დროს მიხდება მოღვაწეობა, როდესაც ქვეყანა ევროპის სივრცეში დემოკრატიზაციის ახალი ტალღის გავრცელებას უწყობს ხელს. დღეს ჩვენი ქვეყნების წინაშე თანამშრომლობის ახალი შესაძლებლობები ისახება. ისრაელი კვლავ რჩება საქართველოს საიმედო პარტნიორად სხვადასხვა სფეროში. პრეზიდენტ სააკაშვილის ისრაელში ვიზიტის შემდეგ ახალი პერსპექტივები იხსნება საქართველოში ინვესტიციების დაბანდების მხრივ. ვიმედოვნებ, რომ უახლოეს ხანში კიდევ უფრო გააქტიურდება ჩვენს ქვეყნებს შორის თანამშრომლობა ეკონომიკის, ტურიზმისა და კულტურის სფეროებში. მოხარული ვარ, რომ შესაძლებლობა მომეცა, ჩემი მოკრძალებული წვლილი შევიტანო ჩვენი 2600 წლიანი მეგობრობის გაღრმავების საქმეში. დასასრულ, მინდა აღვნიშნო, რომ ჩემთვის დიდი პატივია, ვიყო ისრაელის სახელმწიფოს ელჩი საქართველოში, ქვეყანაში, რომელიც პირადად ჩემთვის განსაკუთრებულია. მეამაყება, რომ საშუალება მაქვს თითოეულ ქართველს მის მშობლიურ ენაზე მივმართო და მომავალში ნაყოფიერი თანამშრომლობის იმედი გამოვთქვა,"**- განაცხადა ისრაელის სრულუფლებიანმა ელჩმა.


ვახო ჯაჯანიძის ფოტო
"მეამაყება, რომ საშუალება მაქვს, თითოეულ ქართველს მის მშობლიურ ენაზე მივმართო."

# ისევ ავტობუსები

*წლის ბოლომდე დედაქალაქში 25-ადგილიანი 230 ავტობუსი ივლის, რაც "მარშრუტკების" რაოდენობას ბუნებრივად შეამცირებს.*

ნანა ქადაგიშვილი

უკრაინა-იაპონიის საავტომობილო ფირმა "ბოგდანთან" მოლაპარაკება, "ნარინჯისფერი" რევოლუციის წინა დღეებში, საკრებულოს წევრებმა, ფრაქცია "გაერთიანებული კონსერვატორების" წარმომადგენლებმა გიორგი ტაბიძემ და გიორგი ნიკოლაძემ დაიწყეს. მათი მივლინებისთვის ქალაქის ბიუჯეტიდან 4 ათასამდე ლარი გამოიყო. საკრებულოს წევრებს თან საქალაქო ტრანსპორტის სამსახურის წარმომადგენელიც ახლდა. მათ ჩამოიტანეს "ბოგდანის" საკონტრაქტო პირობები, რომლემაც ქალაქის მთავრობის მოწონება დაიმსახურა. შესაბამისად, ფირმის წარმადგენლობის ქალაქის პრემიერსა და საქალაქო ტრანსპორტის უფროსთან ზურაბ ჩიქვილაძესთან გუშინდელი შეხვედრაც "ბოგდანის" სასარგებლოდ დასრულდა.

გუშინ ქალაქის ხელმძღვანელობასა და საქალაქო ტრანსპორტის სამსახურის უფროსს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი შეხვედრა ჰქონდათ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის წარმომადგენლებთან. გადაწყდა, რომ ბანკი მერიას ავტობუსების შესაძენად 5,5 მილიონიან ექვსწლიან კრედიტს გამოუყოფს. ამის გარდა, ქალაქის ბიუჯეტში ავტობუსების ჩამოსაყვანად მილიონი ლარი "ზის". ამ თანხით, მერია წლის ბოლომდე 230 ავტობუსის ჩამოყვანას გეგმავს. როგორც ჩიქვილაძე აცხადებს, "ბოგდანის" წარმოების 25-ადგილიანი ერთი ავტობუსი 27 358 ათასი ლარი დაჯდება (ამაში შევა მათი ფოთამდე მოყვანის ხარჯებიც). სხვათა შორის, ჰოლანდიიდან ჩამოყვანილი 50-ადგილიან ერთ ავტობუსში 10 ათასი ლარი გადაუხდიათ. თუმცა, როგორც საქალაქო ტრანსპორტის სამსახურის ხელმძღვანელი განმარტავს, საქარათველოში ჩამოყვანილი ჰოლანდიური წარმოების ავტობუსები 10 წლის არის, "ბოგდანის" წარმოების კი სულ ცინცხალი იქნება.

მერია 80-მდე საავტობუსო მარშრუტის დაწესებას აპირებს, ოღონდ, ეტაპობრივად. როგორც ქალაქის ხელმძღვანელობა ვარაუდობს, 200 ავტობუსის დამატება სამარშრუტო ტაქსების რაოდენობას, თავისთავად, საგრძნობლად შეამცირებს. წელს 107 ავტობუსის შემოყვანის შედეგად "მარშრუტკების" რიცხვი 1 500-ით შემცირებულა. სამარშრუტო ტაქსების გადამზიდავი ფირმების ტენდერის ჩატარებას კი მერია ზაფხულისთვის გეგმავს.

# სამოქალაქო სავალდებულო სამსახური - ჯარში წასვლის ალტერნატივა

გიორგი ასანიშვილი

*გუშინ პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტში გაიმართა "სამოქალაქო სავალდებულო სამსახურის" შესახებ კანონპროექტის პრეზენტაცია. აღნიშნული დოკუმენტი დეპუტატებს სახალხო დამცველმა სოზარ სუბარმა გააცნო. ვინაიდან მას პარლამენტში საკანონმდებლო ინიციატივით შესვლის უფლება არ აქვს, ეს ფუნქცია კომიტეტმა უნდა იტვირთოს. კომიტეტის ხელმძღვანელებს, გივი თარგამაძესა და დავით კირკიტაძეს კი კანონპროექტის მიმართ არაერთი კითხვა გააჩნიათ.*



*ფიცი თუ ცოცხი? - ამიერიდან არჩევანს წვევამდელები გააკეთებენ.*

არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის გავლის წესი და პირობები 1997 წელს მიღებული შესაბამისი კანონის მიხედვით რეგულირდება. თუმცა, სახალხო დამცველის თქმით, ეს კანონი არ მუშაობს, რის დასტურადაც სოზარ სუბარს ის ფაქტი მოჰყავს, რომ ალტერნატიული შრომითი სამსახური დღემდე მხოლოდ ათმა ადამიანმა გაიარა. "არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის შესახებ" კანონი იმდენ შესწორებას საჭიროებს, რომ სახალხო დამცველის აპარატმა, მის დახვეწას, ახალი კანონპროექტის მომზადება ამჯობინა.

**"ჩვენ მიერ წარმოდგენილი კანონპროექტი ოდნავადაც არ შეუშლის ხელს არმიის მშენებლობის საქმეს. ამავე დროს, იცავს იმ ადამიანების უფლებებს, ვინც პაციფისტური, რელიგიური ან სხვა მოსაზრებების გამო, ჯარში წასვლაზე და ხელში იარაღის აღებაზე უარს ამბობს,"** - აცხადებს სოზარ სუბარი.

"სამოქალაქო სავალდებულო სამსახურის შესახებ" კანონპროექტის მიხედვით, სამხედრო და სამოქალაქო სავალდებულო სამსახურები სახელმწიფოს წინაშე ვალდებულების თანაბარმნიშვნელოვან ფორმებად განიხილება. ამასთან, შრომითი სამსახურის გავლის ვადა ერთი მესამედით აღემატება არმიაში სამსახურის ხანგრძლიობას და 16 თვეს შეადგენს. სამოქალაქო სავალდებულო სამსახურს პიროვნება თავისი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით გაივლის და იმ საწარმოდაწესებულებებში დასაქმდება, რომლებიც ახორციელებენ სოციალურ და კომუნალურ მომსახურებას, სარემონტო სამუშაოებს, ეწევიან საავარიო-სამაშველო, ხანძარსაწინააღმდეგო საქმიანობას და ა.შ.

არასამხედრო, ალტერნატიულ შრომით სამსახურში გაწვევას დღემდე ჯანდაცვის სამინისტრო ახორციელებდა, "სამოქალაქო სავალდებულო სამსახურის შესახებ" კანონპროექტის თანახმად კი, გაწვევა ჩატარდება პრეზიდენტის ბრძანებულების საფუძველზე, სამოქალაქო სავალდებულო სამსახურის დეპარტამენტის მიერ (ეს სტრუქტურა ჯანდაცვის სამინისტროს ქვემდებარე დაწესებულებად მოიაზრება).

კანონპროექტში ხაზგასმულია, რომ მოქალაქეს უფლება არა აქვს, სავალდებულო შრომითი სამსახური იმ დაწესებულებაში გაიაროს, სადაც ის თანამდებობრივად თავისი ოჯახის წევრს ან სხვა ახლო ნათესავს დაექვემდებარება. მას ასევე ეკრძალება: ეკავოს ხელმძღვანელი ან მატერიალურად პასუხსაგები თანამდებობა, უფრო მაღალი ხელფასის მოთხოვნა (მისთვის შრომითი ანაზღაურება განსაზღვრულია მინიმალური ხელფასის ერთიდან სამ ოდენობამდე) და გაფიცვებში მონაწილეობის მიღება.

მოქმედ კანონთან შედარებით, საგრძნობლად მკაცრდება პასუხისმგებლობის ნორმებიც. ალტერნატიულ შრომით სამსახურში მყოფი პიროვნება სამსახურის გაცდენისთვის ამჟამად ძალზე მსუბუქად ისჯება, ხოლო უხარისხოდ შესრულებული სამუშაოსთვის საერთოდ არ მოეთხოვება პასუხი. გუშინ პარლამენტში წარმოდგენილი კანონპროექტის მიხედვით კი, სასჯელი მძიმდება. სავალდებულო შრომით სამსახურში მყოფმა პიროვნებამ, შეიძლება, ერთიდან ხუთ წლამდე თავისუფლების აღკვეთას "გამოჰკრას ხელი".

თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის ხელმძღვანელები არ მალავენ, რომ "სამოქალაქო სავალდებულო სამსახურის შესახებ" კანონპროექტის მიმართ საკმაოდ ბევრი შენიშვნა გააჩნიათ. ამიტომ, გუშინდელ სხდომაზე გადაწყდა, რომ დეპუტატთა შენიშვნები და წინადადებები სახალხო დამცველთან სამუშაო ვითარებაში იქნება განხილული და ამის შემდეგ კიდევ ერთი საკომიტეტო მოსმენა გაიმართება.

**ფონდი "ღია საზოგადოება - საქართველო"**
**OPEN SOCIETY - GEORGIA FOUNDATION**

**ფონდი "ღია საზოგადოება-საქართველო" და ღია საზოგადოების ინსტიტუტი (ნიუ-იორკი) აცხადებს**

**დამატებითი სტიპენდიების კონკურსს**
http://www.soros.org/scholar/globalsgp.html

პროგრამის მიზანია საშუალება მისცეს სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებებში სადოქტორო ხარისხის (Ph.D) მაძიებლებს მოიპოვონ დამატებითი ფინანსური დახმარება.

პროგრამა დააფინანსებს განმცხადებლებს, რომლებიც სწავლის გაგრძელებას აპირებენ დასავლეთ ევროპის, შუა/ახლო აღმოსავლეთის, აზიის, ავსტრალიის და ამერიკის შეერთებულ შტატების უნივერსიტეტებში.

სტიპენდიაზე განცხადების შემოტანა შეუძლიათ მხოლოდ იმ პირებს, რომლებიც ჩარიცხულნი არიან სადოქტორო პროგრამაზე (Ph.D).

**განმცხადებლებს სტიპენდიების მოთხოვნა შეუძლიათ შემდეგ შემთხვევებში:**

**1. სწავლების გადასახადი, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს წლიური თანხის 50%.**

**2. საცხოვრებელი თანხა - განმცხადებლებს, რომლებმაც მოიპოვეს სწავლების თანხა დაფინასების სხვა წყაროებიდან უფლება აქვთ მოითხოვონ ცხოვრებისა და ბინის თანხები.**

**3. სხვადასხვა - განმცხადებლებს, რომლებმაც მოიპოვეს ყველა საჭირო დაფინანსება, გარდა მგზავრობის, წიგნების, ჯანმრთელობის დაზღვევისა უფლება აქვთ მოითხოვონ დაფინანსება ზემოაღნიშნული პუნქტების დასაფინანსებლად.**

განაცხადების მიღების ბოლო ვადებია:
აშშ, აზია, ავსტრალია - 1 აპრილი, 2005 წელი
დასავლეთი ევროპა და შუა/ახლო აღმოსავლეთი - 3 ივნისი, 2005 წელი

*დაწვრილებითი ინფორმაციისა და კონსულტაციებისათვის მიმართეთ ფონდ "ღია საზოგადოება საქართველო"-ს ოფისს, თბილისი, თ. ჭოველიძის ქ. 10. ტელ: 25 04 63.*

# პრიორიტეტებს თემი ირჩევს

როგორც ცნობილია, 2004 წლის ზაფხულში "მერსი ქორმა" რუსთავის, მარნეულის, გარდაბნისა და თეთრიწყაროს 42 სკოლაში დაიწყო BP-სა და მისი BTC/SCP პარტნიორების მიერ დაფინანსებული კიდევ ერთი ინიციატივის - სკოლების გაუმჯობესების პროგრამის განხორციელება. პროგრამის მიზანია სკოლების რეაბილიტაცია, მასწავლებლების, მოსწავლეებისა და მშობლების სოციალური და პროფესიული განვითარება.

რუსთავის ქართული გიმნაზია - ერთ-ერთია, სადაც ეს პროგრამა მუშაობს. სკოლაში 114 პედაგოგია და აქ 1400 ბავშვი სწავლობს. გიმნაზიის დირექტორი, ქალბატონი ნანა მოსიძე, კმაყოფილებით აღნიშნავს: "კომპანია "ბი-პი" და მისი პარტნიორები - ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის და სამხრეთ კავკასიური გაზსადენის პროექტები - რეალურ დახმარებას უწევს მილსადენის მარშრუტის გასწვრივ მცხოვრებ მოსახლეობას. ეს დახმარება რომ არა, ჩვენ ნორმალური მუშაობის შესაძლებლობა არ გვექნებოდა - სახურავი საშინელ დღეში იყო და შენობაში ფაქტიურად იგივე ჰაერის ტემპერატურა იყო, რაც გარეთ."

მერსი ქორის თანამშრომლების პირველი შეხვედრა სკოლის კოლექტივთან 2004 წლის სექტემბერში მოხდა. მაშინვე ჩამოყალიბდა პროექტის განხორციელების საინიციატივო ჯგუფი, რომელმაც პრიორიტეტად სკოლის სახურავის რეაბილიტაცია მიიჩნია. ხელშეკრულება სკოლაში სარემონტო სამუშაოების ჩატარებაზე შარშან, ნოემბერში გაფორმდა და სახურავის პრობლემა აქ უკვე წარსულშია. პროექტი და ყველა გათვლები თემის საინიციატივო ჯგუფმა მოამზადა, რომლის შემადგენლობაში სკოლის კოლექტივის წარმომადგენლებიც შევიდნენ. მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, მის განხორციელებაში მაქსიმალურად იყო ჩართული უმუშევარი მოსახლეობა. საერთო ჯამში თემის წვლილმა პროექტის განხორციელებაში 25 პროცენტი შეადგინა.

მაგრამ სკოლაში კიდევ არის პრობლემები - გასარემონტებელია ფასადი, სველი წერტილები, საჭიროა შემინვა. დაახლოებით 2 თვეში სკოლაში ისევ ჩატარდება მოქმედების დაგეგმარების შეხვრდრა, რომელზეც მასწავლებლები, მშობლები და მოსწავლეები მერსი ქორთან ერთად აირჩევენ ახალ პრიორიტეტებს და დაასახელებენ იმ პრობლემებს, რომლის გადაჭრაზეც ერთად იმუშავებენ პროგრამის განმავლობაში.

**საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია**

**აცხადებს ტენდერს**

**ინტერნეტში ოფიციალური გვერდის დიზაინის შესაქმნელად**

**1.** გამოცხადდეს ტენდერი ინტერნეტში კომისიის ოფიციალური გვერდის დიზაინის შესაქმნელად;

**2.** ტენდერში მონაწილეობის მსურველი სუბიექტების მიერ შესასრულებელი ტექნიკური დავალება კომისიის ოფიციალური გვერდის დიზაინის, შესაბამისი HTML შაბლონებისა და ანიმირებული Flash ელემენტების შემუშავების თაობაზე გადაწყვეტილებას თან ერთვის (დანართი №1);

**3.** ტენდერში მონაწილეობის მიღების პრეტენდენტი უნდა წარმოადგენდეს მომსახურების შემსრულებელ კვალიფიციურ იურიდიულ ან ფიზიკურ პირს.

**4.** საფასურის გადახდის ვადა განისაზღვროს შემდეგი პირობით: პროექტის ღირებულების 20% - ხელშეკრულების გაფორმებიდან სამი კვირის განმავლობაში; პროექტის ღირებულების 80% მხარეთა მიერ მიღება - ჩაბარების აქტზე ხელის მოწერიდან ორი კვირის განმავლობაში;

**5.** განისაზღვროს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად პრეტენდენტი იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ წარმოსადგენი შემდეგი დოკუმენტაცია:

1. ფიზიკური პირისათვის:

პირადობის დამადასტურებელი მოწმობის და სამუშაო ადგილის მონაცემები.

2. იურიდიული პირისათვის:

იურიდიული პირის სადამფუძნებლო დოკუმენტაცია, კომპანიის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონო, ფაქსი, ელ-ფოსტა, საბანკო რეკვიზიტები);

3. პირები ვალდებულნი არიან წარმოადგინონ:

ა)ნარდობის ხელშეკრულების პროექტი, სადაც განსაზღვრული იქნება შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა, ჩამონათვალი, მომსახურების ფასი; სამუშაოს შესრულების ვადა;

ბ) კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;

გ) ტენდერში მონაწილეობისათვის წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;

დ) ვებ-გვერდის დიზაინის ესკიზი, დამზადებული კომისიის ტექნიკური დავალების შესაბამისად. (იხ. *დანართი1*)

**6.** განისაზღვროს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად პრეტენდენტი იურიდიული ან/და ფიზიკური პირის მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაციის წარდგენის შემდეგი წესი:

1. პრედენდენტი ამ გადაწყვეტილების მე-7 პუნქტის ა) და ბ) ქვეპუნქტებით განსაზღვრულ საბუთებს წარმოადგენს დახურულ კონვერტში, რომელიც გაიხსნება სატენდერო საბჭოს სხდომაზე.

2. პრეტენდენტების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია დგება ქართულ ენაზე.

3. პრეტენდენტებს სატენდერო წინადადებების მომზადებასთან და სატენდერო საბჭოში წარდგენასთან დაკავშირებული ხარჯები არ აუნაზღაურდებათ;

4. პრეტენდენტს მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია უკან არ უბრუნდება;

5. პრეტენდენტებმა სატენდერო განაცხადები, მოთხოვნილი საბუთები და მონაცემები უნდა წარმოადგინონ 2005 წლის 7 თებერვალი 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი N 42.

7. დადგინდეს ტანდერის ჩატარების შემდეგი წესი:

1. ტენდერის ჩასატარებლად და გამარჯვებულის გამოსავლენად საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარე ამ გადაწყვეტილების მიღებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში გამოსცემს ბრძანებას სატენდერო საბჭოს შექმნის თაობაზე, რომელშიც განისაზღვრება: სატენდერო საბჭოს შემადგენლობა, თავმჯდომარე და მდივანი (ხმის უფლების გარეშე);

2. სატენდერო საბჭოს მოწვევასა და ჩატარების ორგანიზებას ახორციელებს სატენდერო საბჭოს თავმჯდომარე. საბჭოს უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მას ესწრება საბჭოს სრული შემადგებლობის 2/3 მაინც.

3. სატენდერო საბჭოს სხომაზე იხსნება პრეტენდენტების მიერ ამ გადაწყვეტილების მე-5 მუხლი მე-3 ქვეპუნქტის ა) და ბ) ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დახურული კონვერტები. სატენდერო საბჭოს სხდომაზე ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს უფლება აქვთ მათ მიერ დახურულ კონვერტში წარმოდგენილი სატენდერო წინადადებების სანაცვლოდ შეჯიბრებითობის პრინციპის შესაბამისად, სატენდერო საბჭოს სხომაზე დააფიქსირონ ახალი სატენდერო წინადადებები შეფასების ნებისმიერ კრიტერიუმზე, რის შემდეგაც სატენდერო საბჭო აცხადებს სატენდერო წინადადების მაქსიმალურ ღირებულებას. თუ სატენდერო საბჭოს მიერ გამოცხადებული სატენდერო წინადადების მაქსიმალური ღირებულება უფრო დაბალი აღმოჩნდება პრეტენდენტის მიერ დაფიქსირებულ სატენდერო წინადადებაზე, პრეტენდენტენტებს ეძლევათ შესაძლებლობა დააფიქსირონ ხელახალი სატენდერო წინადადებები.

4. ტენდერში გამარჯვებული გამოვლინდება კონვერტების გახსნიდან ორი კვირის ვადაში. ტენდერში შესაძლებელია მხოლოდ ერთი გამარჯვებულის გამოვლენა.

5. სატენდერო საბჭოს თითოეული წევრი წერილობითი ფორმით აფასებს პრეტენდენტის სატენდერო წინადადებას ცალ-ცალკე. სატენდერო საბჭოს წევრები თავის წერილობით შეფასებაზე ადგენენ დასკვნას, რასაც ადასტურებენ ხელმოწერით.

6. შეფასების კრიტერიუმები და პრიორიტეტულობის კოეფიციენტებია:

| | |
|---|---|
| ა) ფასი | 0 - 10 |
| ბ) დიზაინი | 0 - 10 |
| გ) დიზაინის შესაბამისობა მოთხოვნებთან | 0 - 10 |
| დ) გამოცდილება | 0 - 5 |
| ე) ვადები | 0 - 5 |

7. თუ ტენდერში მონაწილე ვერც ერთი პრეტენდენტი ვერ დააგროვებს მინიმუმ 25 ქულას, გამარჯვებული არ გამოვლინდება და ტენდერი ჩაითლვება არშემდგარად.

8. გამარჯვებულად ჩაითვლება ის პრეტენდენტი, რომელიც დააგროვებს ქულათა მაქსიმალურ ოდენობას;

9. ქულათა თანაბრობის შემთხვევაში სატენდერო საბჭო გადაწყვეტილებას იღებს საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის უმრავლესობით. ხმათა რაოდენობის თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია სატენდერო საბჭოს თავმჯდომარის ხმა.

10. სატენდერო საბჭოს სხდომაზე დგება ოქმი, რომელსაც ხელს აწერენ საბჭოს დამსწრე წევრები;

11. გამარჯვებულ პირთან ფორმდება ხელშეკრულება გამარჯვებულის გამოვლენიდან ორი კვირის ვადაში, ამ გადაწყვეტილებით დადგენილი და კომისიის მიერ განსაზრვრული პირობებით.

**8.** ტენდერის ჩატარების თარიღად განისაზღვროს 2005 წლის 10 თებერვალი 12 საათი;

**9.** თუ ტენდერში მონაწილეობის მსურველი ან პრეტენდენტი პირის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება ან ვერ დააკმაყოფილებს განცხადებაში მითითებულ მოთხოვნებს, აგრეთვე თუ დიზაინის ესკიზში გამოყენებული იქნება არალეგალური გრაფიკული მასალა, სატენდერო საბჭო უფლებამოსილია მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია ტენდერის ნებისმიერ ეტაპზე.

**12.** გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საოლქო სასამართლოში (ქ.თბილისი, რობაქიძის გამზ. 7ა) ექვსი თვის ვადაში;

**ტექნიკური დავალება "საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის" ვებ-გვერდის დიზაინისა და HTML შაბლონების შემუშავების თაობაზე**

**ვებ-გვერდის სტრუქტურა**

■ ვებ-გვერდის ქუდი (Header) უნდა შეიცავდეს აბსტრაქტული, ტექნოლოგიური სტილის გრაფიკას მარტივი Flash ანიმაციით და უნდა ასოცირებოდეს კომუნიკაციებთან:
- ტელეფონია;
- ინტერნეტი;
- ტელევიზია;
- რადიო;
- ტექნოლოგიური სიახლეები;
- და სხვა.

■ გამოყენებული ფერები უნდა შეესაბამებოდეს კომისიის კორპორატიულ სტილს (იხილეთ კომისიის ლოგო საიტზე **www.gncc.ge** ).

■ საიტის ნავიგაცია და მომხმარებლის ვიზუალური ინტერფეისი უნდა იყოს სწრაფად ჩატვირთვადი და მაქსიმალურად მოხერხებულობაზე ორიენტირებული.

■ HTML შაბლონებში ფონტებისა და ფერების ფორმატირება CSS ტექნოლოგით.
- სტრუქტურა:
- მთავარი გვერდის სტრუქტურა:
- საიტის ქუდი
  მთავარი მენიუ (შიდა გვერდებზე ჩნდება ქვე-მენიუ)
- სიახლის ბლოკი (უკანასკნელი განცხადებები და პრეს-რელიზები - სათაური, მოკლე ტექსტი)
- კონკურსების ბლოკი (ლინკი მიმდინარე კონკურსების გვერდზე)
- ზეპირი მოსმენების ბლოკი (ლინკი ზეპირი მოსმენების გვერდზე)

■ შიდა გვერდის სტრუქტურა:
- საიტის ქუდი
- მთავარი მენიუ
- ქვე-მენიუ

■ ინფორმაციული ნაწილი
- სათაური
- თარიღი
- ტექსტი
- ფოტოები

# ტერაქტი გორში

პირველი გვერდიდან

**ეს იმ ადამიანების მოწყობილია, ვისაც არ უნდა, საქართველოში იყოს სიმშვიდე, წესრიგი და ქვეყანა განვითარდეს,** - განაცხადა ოქრუაშვილმა ჟურნალისტებთან საუბრისას - **მე არ მინდა, ახლა ვარაუდებით ვისაუბრო, მიუხედავად იმისა, რომ ჩემი ვერსიები გამაჩნია. რამდენიმე დღეში გვექნება საბოლოო ინფორმაცია, თუ ვის მიერ იყო ეს ტერაქტი ორგანიზებული. ჩვენ იმის უნარი შეგვწევს, რომ ის ადამიანები დავადგინოთ,"** - განაცხადა თავდაცვის მინისტრმა.

ირაკლი ოქრუაშვილის ინფორმაციით, სამშაბათს გორში მომხდარი ტერაქტის შედეგად, პოლიციის თანამშრომლები იოსებ მინდიაშვილი, გიორგი მთვარელიძე და თამაზ იაკობიძე დაიღუპნენ.

როგორც გორის რაიონული საავადმყოფოს ქირურგიული განყოფილების გამგემ ალეკო ჩოჩიამ "24 საათთან" საუბრისას განაცხადა, რამდენიმე დაჭრილის მდგომარეობა მძიმეა და შესაძლოა, დაღუპულთა რიცხვი გაიზარდოს.

ჯანდაცვის სამინისტროში საგანგებოდ გამართულ ბრიფინგზე მინისტრის მოადგილემ ნიკოლოზ ფრუიძემ განაცხადა, რომ ტერაქტისას ერთი მამაკაცი შემთხვევის ადგილზე, ორი კი - საავადმყოფოში მიყვანის შემდეგ გარდაიცვალა.



თავდაცვის მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი



დანაღმული მანქანის ნარჩენები

სამი დაშავებული რეანომობილებით თბილისში გადაიყვანეს და ისინი ღუდუშაურის სახელობის სამედიცინო ცენტრში და თვალის კლინიკაში მოათავსეს. ორ დაჭრილს თვალის ოპერაციას გაუკეთებენ, ხოლო ერთს ნეიროქირურგიული ჩარევა დასჭირდება.

გორში სპეციალური ბრიფინგი ჩაატარა შს მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა, რომლის ინფორმაციითაც, გორში განხორციელებული აფეთქებისას დიდი რაოდენობით ტროტილია გამოყენებული. მერაბიშვილის განცხადებით, წინასწარი ინფორმაციით, ტროტილი "ვაზ-2106" მარკის ავტომანქანაში იყო ჩამონტაჟებული და მისი აფეთქება დისტანციური მართვის პულტით მოხდა. მერაბიშვილი მომხდარ ფაქტს ტერაქტის კვალიფიკაციას აძლევს და სავარაუდო ვერსიებს შორის ქართულ-ოსურ კონფლიქტსაც ასახელებს.

შიდა ქართლის სამხარეო პოლიციასთან მომხდარი აფეთქების ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე სისხლის სამართლის კოდექსის 323-ე მუხლის მესამე ნაწილით - ტერაქტის მუხლით არის აღძრული. საქმის გამოძიებაში ჩართულია შს სამინისტროს საგამოძიებო, ასევე ანტიტერორისტული და კრიმინალისტიკური ჯგუფები.

# ქონების დაყადაღების წესი იცვლება

დიანა ჩაჩუა

*საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ თითქმის დაასრულა ინსტიტუციური რეფორმების ციკლი, რაც გუშინ ყადაღასთან დაკავშირებული ცვლილების ძალაში შესვლით გამოიხატა. გუშინდელი დღიდან, უძრავ და მოძრავ ნივთებზე ყადაღის ცნობის მომზადებას და გაცემას, ნოტარიუსთა პალატის ნაცვლად, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო შეუდგა.*

უძრავ და მოძრავ ქონებაზე ყადაღის ცნობის მომზადების და გაცემის პროცედურას, საბჭოური დროიდან მოყოლებული, ნოტარიუსთა პალატა ახორციელებდა. ეს ხშირ შემთხვევაში დროში გაწელილი პროცესი იყო, ხოლო საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შექმნის შემდეგ საერთოდ აღარ შედიოდა პალატის კომპეტენციაში. ამიტომაც, სააგენტოს თავმჯდომარის დავით ეგიაშვილის თქმით, პროცედურის სააგენტოს ფუნქციებში გადასვლის შემდეგ ერთი ფანჯრის პრინციპის შექმნა გახდა საჭირო. **"ამიერიდან, მომხმარებლებს მომსახურებას მხოლოდ ერთი სამსახური გაუწევს. ამ შემთხვევაში პროცესიც გამარტივდება და დროც დაიზოგება. ყადაღის შესახებ ინფორმაცია მოთხოვნისთანავე გაიცემა, წერილობითი ფორმით, შესაბამისი საზღაურის გადახდის საფუძველზე,"** - განაცხადა დავით ეგიაშვილი.



ამასთან, ყადაღის არსებობის ან არარსებობის შესახებ საჯარო რეესტრში არსებული ინფორმაციის დამადასტურებელი დოკუმენტი ძალაში მისი გაცემიდან ხუთი დღის განმავლობაშია.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო უახლოეს მომავალში კიდევ ორი ცვლილების გატარებას გეგმავს. სარეგისტრაციო სამსახურებთან გრძელი რიგების და დოკუმენტაციასთან დაკავშირებული გაუგებრობების თავიდან ასაცილებლად, შიგა და გარე ოფისები და საცნობარო ბიუროები შეიქმნება. **"ამ ოფისების შექმნით მოქალაქეებს იმ ადგილზე შესვლა აღარ შეეძლებათ, სადაც სარეგისტრაციო სამუშაოები მიმდინარეობს, ხოლო საცნობარო ბიუროების დახმარებით დოკუმენტებთან დაკავშირებული გაუგებრობები მოგვარდება, მით უმეტეს, რომ იქ იურისტებიც იქნებიან, რომლებიც მოქალაქეებს რჩევებს მისცემენ,"** - განმარტა ეგიაშვილმა.






გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში. (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება.) უფასო შეკითხვის ქვითრები გამოქვეყნდება ყოველდღიურად, ხოლო ამომწურავ პასუხს მკითხველი მიიღებს ყოველ ხუთშაბათს გაზეთ "24 საათის" მეშვეობით.

მკითხველი, სურვილის მიხედვით, ავსებს უფასო შეკითხვის ქვითრის ქვემოთ გამოქვეყნებულ ანკეტას. ამავდროულად, სასურველია მკითხველმა მიუთითოს საკონტაქტო ტელეფონი, რათა საჭიროების შემთხვევაში, მოხდეს შეკითხვის დაზუსტება.

ყუთები განთავსებულია ქალაქ თბილისში მეტროს ქვემოთჩამოთვლილ სადგურებსა და შემდეგ მისამართებზე:

**1. მეტროს სადგური "ახმეტელის თეატრი" (გლდანი);**
**2. მეტროს სადგური "მარჯანიშვილი";**
**3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";**
**4. მეტროს სადგური "წერეთელი";**
**5. მეტროს სადგური "სამგორი II";**
**6. მეტროს სადგური "ვარკეთილი";**
**7. მეტროს სადგური "გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური "დელისი");**
**8. მეტროს სადგური "ვაგზლის მოედანი I";**
**9. მეტროს სადგური "დიდუბე";**
**10. ვაჟა-ფშაველას 45 "სოფმშენის" შენობა;**
**11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;**

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, აგრეთვე შეუძლია გამოაგზავნოს ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0119 თბილისი, წერეთლის გამზ. 77 იურიდიული ოფისი "გაპი".

## უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

ანკეტა

**სახელი, გვარი** ..........

**ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი** ..........

..........

**საკონტაქტო ტელეფონი** ..........

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77.

ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge






# "თქვენი აფხაზეთი"

პროექტის კოორდინატორი
თორნიკე ბერიშვილი

მოკლედ

## ხმამაღალი ბაგაფში

აფხაზეთი მზადაა საქართველოსთან კეთილმეზობლური ურთიერთობების დასამყარებლად. **"ჩვენ მზად ვართ, ვისაუბროთ საქართველოსთან, როგორც თანასწორმა დამოუკიდებელმა სახელმწიფომ და მასთან ნორმალური, კეთილმეზობლური ურთიერთობები დავამყაროთ,"** - განაცხადა გუშინ აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ახლადარჩეულმა პრეზიდენტმა სერგეი ბაგაფშმა.

მისი განცხადებით, **"სხვა ფორმაში ურთიერთობების დამყარება საქართველოსთან შეუძლებელია."** მისივე თქმით, რაც შეეხება თბილისთან მოლაპარაკებათა პროცესის განახლებას, **"ეს დამოკიდებულია იმაზე, რამდენად ადეკვატურად შეაფასებს ვითარებას თავად საქართველო."**

ბაგაფშმა უარყოფითად შეაფასა საქართველოს პრეზიდენტის მიერ ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეაზე გაკეთებული განცხადება **"აფხაზეთთან მოლაპარაკებების წარმოების შეუძლებლობის შესახებ"** და აღნიშნა, რომ აფხაზური მხარე **"მოვლენათა ყველა შესაძლო განვითარებისათვის მზად უნდა იყოს."** აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტის თქმით, მოსკოვში ვიზიტის დროს მან რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებთან რუსეთსა და აფხაზეთს შორის ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავების, აფხაზეთში რუსული ინვესტიციების მოზიდვისა და რუსეთსა და სომხეთს შორის სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენის პრობლემებზე გაამახვილა ყურადღება. მისივე თქმით, რუსეთის სათათბიროს თავმჯდომარესთან ბორის გრიზლოვთან და ვიცე-სპიკერთან სერგეი ბაბურინთან შეხვედრაზე ქართულ-აფხაზური მოლაპარაკებების წარმოების, სტრატეგიისა და ტაქტიკის საკითხებზე იმსჯელეს. **ინტერ-პრესი**

## ბრძოლა გადარჩენისათვის

აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ვიცე-პრეზიდენტის რაულ ხაჯიმბას 30-მა მხარდამჭერმა სოხუმის ფილარმონიის შენობაში ახლადარჩეული პრეზიდენტის, სერგეი ბაგაფშის საწინააღმდეგო აქცია გამართა. ხაჯიმბას ყოფილი მხარადამჭერები ბაგაფშს პროქართულ ორიენტაციაში ადანაშაულებენ და აფხაზურ საზოგადოებას მოუწოდებენ, არ დაუშვას 12 თებერვლისთვის დანიშნული, ახლადარჩეული პრეზიდენტის ინაუგურაცია.

სოხუმში ბაგაფშის საწინააღმდეგო საპროტესტო აქციის მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციას სოხუმის ხელისუფლების წარმომადგენლები არ ადასტურებენ, ადგილობრივი პრესაც დუმილს ამჯობინებს. თუმცა, ჩვენი მონაცემებით, აქცია სოხუმის ფილარმონიასთან ნამდვილად მიმდინარეობს და მისი მონაწილეები 12 თებერვლამდე - ბაგაფშის ინაუგურაციის დღემდე დაშლას არ აპირებენ. სოხუმის სახელისუფლებო წრეებთან დაახლოებული წყაროს ინფორმაციით, ფილარმონიასთან მიმდინარე აქციაში, ძირითადად, ის პირები მონაწილეობენ, რომლებიც 2004 წლის 3 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნების დროს ბაგაფშის ოპონენტის - პრეზიდენტობის ყოფილი კანდიდატის რაულ ხაჯიმბას შტაბის აქტიური წევრები იყვნენ. ისინი დარწმუნებული არიან, რომ პრემიერ-მინისტრად ალექსანდრე ანქვაბის დანიშვნის შემთხვევაში, მათი ფავორიტი ხაჯიმბა ვერ შეძლებს იმ პოლიტიკური ჯგუფის ინტერესების დაცვას, რომლის უკანაც დღეს ვიცე-პრეზიდენტი ხაჯიმბა დგას.

აქციის მონაწილეები დარწმუნებული არიან ასევე, რომ მთავრობის რეორგანიზაციის და აღმასრულებელი ხელისუფლების რეფორმის ფარგლებში სერიოზული ბერკეტების გარეშე სწორედ ხაჯიმბას მხარდამჭერები დარჩებიან. **ინტერ-პრესი**

## საინტერესო შესაძლებლობა

გაერო-ს გენერალური მდივნის სპეცწარმომადგენელი საქართველოში ჰაიდი ტალიავინი აფხაზეთის საკითხზე გაერო-ს უშიშროების საბჭოს გამსვლელი სხდომის თბილისში ჩატარების შესაძლებლობას არ გამორიცხავს.

რაც შეეხება ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში რუსეთის სამშვიდობო ძალების მანდატის გადახედვას, ტალიავინი ამ საკითხის განხილვას დსთ-ს პრეროგატივად მიიჩნევს. ტალიავინი იმედოვნებს, რომ სოხუმის ხელისუფლება კოდორის ხეობაში ქართველ სამართალდამცველთა განყოფილების ამოქმედებას არ გააპროტესტებს. მისი განცხადებით, ხეობაში გზების აღდგენის შემდეგ, შესაძლოა, უახლოეს მომავალში კოდორში გაერო-ს სამხედრო დამკვირვებელთა და რუსეთის სამშვიდობო ძალების წარმომადგენელთა ერთობლივი პატრულირება განახლდეს.

მისივე თქმით, მარტის ბოლოსთვის ჟენევაში დაგეგმილი შეხვედრის წინ, საქართველოში ვიზიტით ჩამოვლენ გაერო-ს გენერალური მდივნის მეგობარი ქვეყნების მაღალი დონის წარმომადგენლები. **ინტერ-პრესი**

პროექტის მხარდამჭერი conciliation resources

# ჯონათან კოენი: "აფხაზები ყველაფერს ხვდებიან, მაგრამ მაინც რუსეთი ურჩევნიათ"

ზაზა ფაჩუაშვილი

*ბრიტანული არასამთავრობო ორგანიზაციის "შერიგების რესურსების" კავკასიის პროგრამების დირექტორი ჯონათან კოენი "თქვენი აფხაზეთის" მკითხველისთვის კარგად ნაცნობი სახეა. ის რეგულარულად სტუმრობს თბილისსა და სოხუმს და ქართულ-აფხაზურ მოლაპარაკებებს აწყობს. ამჯერად მას სოხუმიდან დაბრუნების შემდეგ შევხვდით.*



ზაზა ფაჩუაშვილის ფოტო

*ჯონათან კოენი.*

**- როგორ შეხვდნენ სოხუმში საქართველოს პრეზიდენტის მიერ ევროსაბჭოს ასამბლეაზე გაკეთებულ განცხადებას იმის თაობაზე, რომ აფხაზები მოლაპარაკებებზე არ მოდიან?**

- ჩემი აზრით, სტრასბურგში პრეზიდენტ სააკაშვილის განცხადება არ იყო მართებული. სულ ახლახან ვიყავი აფხაზეთში 4 დღით. შევხვდი პრეზიდენტის მრჩეველს, სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების ლიდერებს და ყოველი მათგანი ამბობდა, მოლაპარაკებებში მონაწილეობა უნდა მივიღოთო. ერთიც კი არ ყოფილა წინააღმდეგი. მათ მითხრეს, რომ მოლაპარაკებებიდან გამოვიდნენ გასულ ზაფხულს, ცნობილი საზღვაო ინციდენტის გამო. ამას დაერთო დაძაბული საარჩევნო კამპანია და, ცხადია, ქართულ მხარესთან მოლაპარაკებებზე არავინ ფიქრობდა. ახლა ვითარება შეიცვალა და ისინი მზად არიან, დასხდნენ მოლაპარაკებების მაგიდასთან. თუმცა, ისინი არ არიან მზად, ამ ეტაპზე განიხილონ ისეთი დიდი პოლიტიკური საკითხები, როგორიცაა სტატუსია. მათი თქმით, ქართულ მხარეს ჯერ კიდევ არ შეუქმნია დოკუმენტი, რომლის გარშემოც შეიძლება საუბარი; მაგრამ სურთ საუბარი მთელ რიგ საკითხებზე, რაც დაკავშირებულია, მაგალითად, ჟენევისა და სოჭის მოლაპარაკებებთან.

**- მე მგონი, საქართველოს პრეზიდენტი სხვა მოლაპარაკებებს გულისხმობდა?**

- შეიძლება, აფხაზები იმ მოლაპარაკებების წინააღმდეგნი არიან, რომელსაც მათ საქართველოს პრეზიდენტი სთავაზობს. მაშინ ჩნდება კითხვა, რატომ არ იმართება ის მოლაპარაკებები, რაზეც აფხაზებიც წამოვლენ. ჩემი აზრით, მოლაპარაკებების საგანი ორივე მხარისთვის საინტერესო უნდა იყოს. მთავარი ხომ ურთიერთსასარგებლო გამოსავალის მოძებნაა?

ახლახან ჩრდილოეთ ირლანდიაში ვიყავით მე, სახელმწიფო მინისტრი კონფლიქტების მოგვარების დარგში გოგა ხაინდრავა, აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარე ირაკლი ალასანია, პარლამენტარი ნიკა რურუა, უშიშროების საბჭოს წარმომადგენლები. იქ შევხვდით იმ პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებს, რომლებსაც სამშვიდობო პროცესებში მონაწილეობის დიდი გამოცდილება დაუგროვდათ. მათ ქართველებს უთხრეს, სანამ პატივს არ სცემთ დაპირისპირებული მხარის მისწრაფებებს და ინტერესებს, ძალიან ძნელი იქნება ხანგრძლივი ზავის დადებაო. ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია ყოველივე ამის გათვალისწინება და იმის ცოდნა, თუ რატომ აცხადებს დაპირისპირებული მხარე მოლაპარაკებაზე უარს. ცხადია, ეს არ არის ადვილი გასაკეთებელი, ვინაიდან მხარეებს მთელ რიგ საკითხებზე სრულიად ურთიერთგამომრიცხავი აზრი გააჩნიათ, მაგრამ მოლაპარაკებებისადმი ისეთი მიდგომა, რომ მეორე მხარის მაქსიმალურად გაგების სურვილი გამოიხატოს, შეიძლება.

ჯერჯერობით კი, საქართველო ხელისუფლება აფხაზეთის მიმართ, რაღაც მეგაფონურ დიპლომატიას ამჟღავნებს. კეთდება ხმამაღალი განცხადებები და არავინ ფიქრობს იმაზე, თუ როგორ მიიღებენ აფხაზები ამ განცხადებებს. ამას თან ერთვის ორმაგი სტანდარტი - ერთის მხრივ, საუბარი კონფლიქტის მოგვარების მშვიდობიან გზაზე და მეორეს მხრივ - ძალის გამოყენებაზე. რა თქმა უნდა, საქართველოს, ისე როგორც ნებისმიერ სხვა ქვეყანას, სჭირდება ძლიერი ჯარი, მაგრამ, როცა სამხედრო სიძლიერეს აფხაზეთის საკითხს უკავშირებენ, ცხადია, აფხაზეთში ამას აგრესიის საშიშროებად აღიქვამენ.

მაგალითად, ასეთი განცხადება: "ჩვენ მზად ვართ სამშვიდობო მოლაპარაკებებისთვის, მაგრამ, თუ ვერ გაგვიგებენ, სხვა მეთოდებიც არსებობს." ვისაც სიტუაციის დაძაბვა არ უნდა, ასეთ განცხადებებს არ უნდა აკეთებდეს.

**- კი, მაგრამ საქართველოს პრეზიდენტმა ევროსაბჭოს ასამბლეაზე მშვიდობიანი გზა ხაზგასმით აღნიშნა.**

- მე არ ვამბობ, რომ ასეთ განცხადებებს სააკაშვილი აკეთებს, მხედველობაში მყავს ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები (მაგალითად, საქართველოს თავდაცვის მინისტრი, რომელმაც ბაგაფშზე თქვა, მას აქვს არჩევანიო, ან რუსეთში წავა, ან იმქვეყნადო). აფხაზები სწორედ ამ ნეგატიურ განცხადებებს აქცევენ ყურადღებას და არა იმ პოზიტიურს. თუმცა, სააკაშვილმაც გააკეთა არაკონსტრუქციული განცხადება, სეპარატისტები ნუ დაბრუნდებიან, ჩვენ დავბრუნდებით აფხაზეთშიო. საკითხისადმი ასეთი მიდგომა, რა თქმა უნდა, საქმეს ართულებს.

**- სოხუმში რა მდგომარეობაა?**

- ბოლო 6 თვის განმავლობაში ისინი არჩევნებით იყვნენ დაკავებული. მდგომარეობა დაძაბული იყო, პოლიტიკური ელიტა - გაყოფილი და ა.შ.

რაც შეეხება ახალ პრეზიდენტს და მის გუნდს, მათ დიდი სურვილი აქვთ, გაატარონ ეკონიმიკური და სხვა სფეროების რეფორმები. რამდენად გამოუვათ, ან რას მოუტანს ეს საქართველოს, ძნელი სათქმელია.

**- არჩევნების შემდეგ როგორია მათი რუსეთთან დამოკიდებულება?**

- რთული დამოკიდებულებაა. არიან ადამიანები, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ აფხაზეთი ზედმეტად დამოკიდებულია რუსეთზე და ამბობენ, რომ ეს ვითარება გარკვეულ ხიფათს შეიცავს. სხვები - პირიქით, ფიქრობენ, რომ რუსეთის გარეშე აფხაზეთს პერსპექტივა არ გააჩნია, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მათ სურთ, რუსეთის ნაწილი იყვნენ. თუმცა, არც საქართველოს შემადგენლობაში ყოფნა სურთ. საერთო ჯამში კი, ვითარება არ შეცვლილა - აფხაზების აზრით, საქართველო მათთვის უფრო სახიფათოა, ვიდრე რუსეთი.

**- თუ როგოზინისა და მისნაირი პოლიტიკოსების ურთიერთსაპირისპირო განცხადებებით ვიმსჯელებთ, რუსეთი ძალიან არამყარი პარტნიორია. ახლა საქართველოს მისამართით უჩვეულოდ თბილი განცხადებებიც კეთდება. აფხაზებს ეს არ აფიქრებთ?**

- აფხაზებს აშინებთ რუსეთ-საქართველოს შორის კარგი ურთიერთობა, ვინაიდან ფიქრობენ, რომ ამის შედეგად რუსეთმა შეიძლება, დატოვოს აფხაზეთი. მას ხომ მთელი საქართველო უფრო აინტერესებს; მაგრამ, ჯერჯერობით, ისინი რუსეთ-საქართველოს ცუდ ურთიერთობებს სათავისოდ იყენებენ.

პუტინმა ისიც კი თქვა, თუ მსოფლიო ცნობს კოსოვოს დამოუკიდებლობას, ჩვენ შეიძლება, ვაღიაროთ აფხაზეთის დამოუკიდებლობაო, მაგრამ აფხაზები სიტუაციას რეალურად აფასებენ. მათ მითხრეს, ვიცით, რომ რუსეთი აფხაზეთს არასოდეს აღიარებს, ვინაიდან ეს მისთვის ხელსაყრელი არ იქნებაო. აფხაზები ასე მსჯელობენ: რუსეთისთვის ხელსაყრელია, აფხაზეთი იყოს არასტაბილური, გაურკვეველი ტერიტორია, რათა საჭიროების შემთხვევაში, საქართველოს წინააღმდეგ გამოიყენოს. ასე რომ, აფხაზები ყველაფერს ხვდებიან, მაგრამ ამის მიუხედავად, მაინც რუსეთი ურჩევნიათ. საქართველოსი ძალიან ეშინიათ. ამიტომ, აქ უნდა დაფიქრდნენ, რატომ შეიქმნა ასეთი ვითარება და მდგომარეობის გამოსწორებისთვის იზრუნონ.

როგორ და რანაირად - ეს საქართველოს გადასაწყვეტია.

# აფხაზური არჩევნების თვითმხილველი ქართველი ჟურნალისტი

*ხელმეორე არჩევნების დროს აფხაზეთში იმყოფებოდა თბილისელი ჟურნალისტი ლალი ნიკოლავა, რომელიც გაზეთ "Аргумены и факты"-ის რეგიონულ დამატებაში მუშაობს. იგი შერეული ქართულ-აფხაზური ოჯახის შვილია. აფხაზეთში ხშირად ჩადის თავისი ნათესავების მოსანახულებლად, რომლებთანაც მჭიდრო კავშირები არასდროს გაუწყვეტია. სულ ცოტა ხნის წინათ დედასთან ერთად იყო სოხუმში. ვფიქრობთ, ჩვენი მკითხველისთვის საინტერესო იქნება არჩევნების დროს სოხუმში მყოფი ქართველი ჟურნალისტის შთაბეჭდილებები.*

ლელა მარგიანი

**- შეიძლება ითქვას, რომ შენ ერთადერთი თბილისელი ჟურნალისტი ხარ, ვინც არჩევნების დროს სოხუმში იმყოფებოდი და მოვლენებისათვის უშუალოდ შეგეძლო თვალი გედევნებინა. როგორი შთაბეჭდილებებით ჩამოხვედი?**

- როგორც იქნა, არჩევნები აფხაზეთში ჩატარდა, აფხაზეთმა შვებით ამოისუნთქა, რადგან დაპირისპირების თავიდან აცილება მოხერხდა.

ძალიან მინდოდა იქ ჩასვლა, რათა თავად მეგრძნო იქაურების განწყობილებები, მომესმინა მათი განსჯა, გამეგო, თუ რა უნდა იმ ხალხს. აფხაზური საზოგადოება, 2004 წლის ოქტომბრიდან 2005 წლის იანვრის ჩათვლით, გაყოფილი იყო ორ, თითქოსდა, შეურიგებელ დაპირისპირებულ მხარედ - "ბაგაფშისტებად" და "ხაჯიმბისტებად." პოლიტიკური დაპირისპირება ხშირ შემთხვევაში გადაზრდილი იყო პირადულში. არცთუ იშვიათად, ბარიკადების სხვადასხვა მხარეს ერთი ოჯახის წევრებიც იმყოფებოდნენ.

მახსოვს, ოქტომბრის არჩევნების დროს აღშფოთებული ვუყურებდი რუსული ტელეარხებით გადაცემულ კადრებს, როდესაც აფხაზეთის უმაღლესი სასამართლოს მოსამართლემ გიორგი აკაბამ ხაჯიმბას საჩივრების განხილვისას სულმოუთქმელად ჩაიკითხა სასამართლოს "ღამის" გადაწყვეტილება. იმ ღამეს იგი, დაპირისპირებული მხარეების წარმომადგენელთა ზეწოლის გამო, იძულებული იყო, ორი ურთიერთგამომრიცხავი გადაწყვეტილება გამოეტანა. მოსამართლის მიერ გამოცხადებული უკანონო გადაწყვეტილება ცხადყოფდა, რომ აფხაზეთში ვითარება უკიდურესად დაძაბული იყო. ამ დაძაბულობას ისევ ხალხის მიერ გამოგონილი ანეკდოტები ამსუბუქებდა. ერთი ანეკდოტი ამჟამად განსაკუთრებით პოპულარულია აფხაზეთში: ერთმა აფხაზმა გადაწყვიტა, თავისი ვაჟიშვილისთვის, რომელიც ოქტომბრის არჩევნების დროს დაიბადა, ახლადარჩეული პრეზიდენტის სახელი დაერქმია, მაგრამ აფხაზეთის არჩევნებთან დაკავშირებული ცნობილი მოვლენების გამო, ეს ვერა და ვერ მოახერხა. სახელის შერჩევით გაწამებული აფხაზი გარეთ გავიდა და ქუჩაში ნაცნობი შემოხვდა, რომელმაც მიულოცა ვაჟიშვილის შეძენა და ჰკითხა, რა დაარქვეს ახალშობილს. გამწარებულმა მამამ ნაცნობს თავის გასაჭირის შესახებ უამბო. ნაცნობმა, მოისმინა რა ეს ამბავი, იფიქრა, იფიქრა, და ასეთი რამ ურჩია ახალგაზრდა მამას - მეტრიკაში სერგეი ჩაუწერეთ, სახლში რაულიკი დაუძახეთო.

სამოქალაქო ომის საშიშროებამ აპოგეას 6 დეკემბერს მიაღწია. ამ დღეს დანიშნა თავის გამარჯვებაში დარწმუნებულმა სერგეი ბაგაფშმა ინაუგურაციის ცერემონია. ადგილობრივი ექსპერტების განცხადებით, ბაგაფში 6 დეკემბერს ინაუგურაციაზე რომ მისულიყო, სისხლისღვრა გარდაუვალი იქნებოდა;

მაგრამ გონიერებამ გაიმარჯვა და მხარეებმა ხელი მოაწერეს "ეროვნულ შეთანხმებას." იმ ღამით შედგენილ შეთანხმებაში გათვალისწინებული იყო არჩევნების ჩაშლის შესაძლებლობაც. ამის თავიდან ასაცილებლად მიიღეს გადაწყვეტილება, რომ, თუ შეთანხმება ჩაიშლებოდა ხაჯიმბას გამო, მაშინ პრეზიდენტი გახდებოდა 3 ოქტომბრის არჩევნებში გამარჯვებული ბაგაფში. თუ შეთანხმებას დაარღვევდა ბაგაფში, მაშინ შესაბამის გადაწყვეტილებას აფხაზეთის მოქმედი პრეზიდენტი არძინბა მიიღებდა.

**- ყველაფერი ხელმოწერით დასრულდა?**

- იმის მიუხედავად, რომ ბაღაფში და ხაჯიმბა შეთანხმდნენ, 12 იანვრის არჩევნებამდე ერთად ევლოთ, ცხადია, ხაჯიმბას ყველა ყოფილი მომხრე როდია ამ შეთანხმების მოსურნე. ამაზე მეტყველებს საზოგადოებრივი მოძრაობა "ახაცა"-ს პოზიციაც, მაგრამ მათ, ისევე როგორც ხაჯიმბას მომხრეებს, აფხაზეთში ცოტა ვინმე თუ უჭერს მხარს. ჩემთან საუბარში ცნობილმა აფხაზმა მწერალმა თქვა, რუსეთმა აშკარად ვერ შეაფასა სწორად აფხაზებიო. ხალხს ლიდერად ისეთი ღირსეული პიროვნების ხილვა უნდა, ვინც მას თანასწორუფლებიან მხარედ აღიქვამს. ასეთი პიროვნება კი სწორედ ბაგაფშიაო.

**- შენი აზრით, რატომ დათანხმდა ბაგაფში ხელმეორე არჩევნებს, თუ შედეგი თავიდანვე იყო ცნობილი?**

- იმის მიუხედავად, რომ ცხადი იყო, კვლავ მისი გამარჯვება, ბაგაფშმა თავის ამომრჩევლებს უთხრა: "მე არ მინდა ვიყო ადამიანი, ვინც ჩაატარებს ინაუგურაციას, ხოლო პირველი პრეზიდენტი კვლავ დარჩება. ორივე დაიწყებს ბრძანებების გაცემას, რომელთაც არ შეასრულებენ. მე პოლიტიკოსი ვარ, ამ თანამდებობაზე მივდივარ სამუშაოდ და არა მხოლოდ სკამის დასაკავებლად. მე შემიძლია, ჩავატარო ინაუგურაცია, მაგრამ ხვალვე ჩაკეტავენ საზღვარს, აღარ გადაგვიხდიან პენსიებს, დაიწყება შიმშილი. და ორი თვის შემდეგ თქვენ მოხვალთ ჩემთან და შემეკითხებით, ჩვენ შენ აგირჩიეთ და რატომ ვშიმშილობთო?"

**- როგორ ჩატარდა არჩევნები?**

- არჩევნების დღეს აფხაზეთში გახსნილი იყო 186 საარჩევნო უბანი. ხალხის აქტიურობა საკმაოდ მაღალი იყო. საშუალება მომეცა, დავკვირვებოდი არჩევნების მიმდინარეობის პროცესს სამ საარჩევნო უბანში, რომელთაგან ორი იყო სოხუმში, ხოლო ერთი - გულრიფშის რაიონში.




ლელი ნიკოლავას ფოტო

*"Сухумприбор"-ის შენობა - ლურჯად შეღებეს*

**- აკრედიტაცია როგორ მიიღე?**

- ცხადი იყო, ქართველ ჟურნალისტს იქ არავინ მელოდა. მე აფხაზეთში ჩავედი ჩემს ნათესავებთან, მაგრამ უკვე იქ გადავწყვიტე აკრედიტაციის აღება, რადგან მინდოდა, როგორც ჟურნალისტს, "ღიად" მემუშავა.

პირველი, ვინც გამახსენდა, იყო ჩემი ნათესავი ქალი, რომელიც ერთ-ერთ სახელმწიფო დაწესებულებაში მუშაობდა და დახმარება შეეძლო, რომ დავსწრებოდი პრესკონფერენციას ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში; მაგრამ მასთან საუბრიდან დავრწმუნდი, რომ არავის უნდოდა, საკუთარი თავის მიმართ ზედმეტი ეჭვები გამოეწვია. ამიტომ, პოლიტიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, მისი უარი სულაც არ მწყენია.

მხოლოდ ამის შემდეგ გადავწყვიტე, მეცადა აკრედიტაციის ოფიციალურად აღება. ამიტომ დახმარებისთვის სახელმწიფო საინფორმაციო სააგენტო "აფსნი-პრესს" მივმართე. გულახდილად რომ გითხრა, ნათესავისგან ცივი უარის მიღების შემდეგ, დიდი იმედი არც მქონია, რომ ამ საქმიდან რამე გამომივიდოდა. მაგრამ მაინც რომ არ მეცადა, ალბათ, ჩემს თავს ვერასდროს ვაპატიებდი.

ჩემდა გასაოცრად, "აფსნი-პრესში" მაშინვე მომცეს აკრედიტაცია. ყველაფერი რიგითი თანამშრომლების დონეზე ხდებოდა. ისინი ძალიან კეთილგანწყობილები იყვნენ ჩემს მიმართ. უპრობლემოდ მომცეს საბუთი, რომელშიც ეწერა, რომ 10-დან 20 იანვრის ჩათვლით, მე შემეძლო თავისუფლად მემუშავა აფხაზეთის ტერიტორიაზე, როგორც ჟურნალისტს. ასევე მეძლეოდა უფლება, ყველა ოფიციალურ ღონისძიებას დავსწრებოდი. კოლეგა ჟურანლისტებმა შემომთავაზეს დახმარება და მომაწოდეს ინფორმაცია ყველა პრესკონფერენციის ჩატარების შესახებ.

**- აფხაზი კოლეგები უფრო ახლოს თუ გაიცანი?**

- მართლაც დავუახლოვდი ადგილობრივ ჟურნალისტებს. ჩემს აფხაზ კოლეგებთან ურთიერთობა მსიამოვნებდა, რომელთა უმეტესობა განათლებული, ინტელიგენტი ადამიანია. ისინი რესპონდენტების კოორდინატების მოძიებაშიც დამეხმარნენ. ამავე დროს, აღმოვაჩინეთ, რომ ერთ-ერთ ჟურნალისტს ჩემსავით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტი ჰქონდა დამთავრებული. ჩვენ სიამოვნებით გავიხსენეთ ჩვენი საერთო უნივერსიტეტელი ლექტორები.

**- როგორ ფიქრობ, მალე მოგვარდება თუ არა მშვიდობიანი გზით ქართულ-აფხაზური კონფლიქტი?**

- მჯერა, რომ მშვიდობიანი გზით კონფლიქტის მოგვარებას ალტერნატივა არ გააჩნია. მაგრამ, ეს რომ ხანგრძლივი და რთული პროცესია, უეჭველია. ამჟამად, პირველ ყოვლისა, ორ ხალხს შორის ჩატეხილი ხიდის აღდგენას უნდა ვეცადოთ. სამწუხაროდ, ამ მიმართულებით საქართველოში, ძირითადად, არასამთავრობო სექტორი მუშაობს. რაც უფრო დიდხანს განვიხილავთ კონფლიქტს ცალმხრივად და სუბიექტურად, მით უფრო დაგვიანდება მისი მოგვარება.

**- შენი აზრით, რას ელიან დღეს აფხაზები ჩვენგან?**

- თუ მართლა გვინდა კონფლიქტის მოგვარება, აუცილებლად უნდა განვიხილოთ დეტალურად, ობიექტურად და გლობალურად ის, რაც თორმეტი წლის წინათ მოხდა, მაგრამ ამის სურვილი მთელ ქართულ საზოგადოებას უნდა ჰქონდეს. თავსმოხვეული არაფერი ვარგა. ჩვენ უნდა ვიყოთ გულწრფელები და ობიექტურები. ვფიქრობ, ეს ძალიან რთული, მაგრამ ერთადერთი გზაა ჩვენი შერიგებისა. მეორე მხრივ, რა თქმა უნდა, ძალიან ბევრისთვის არ იქნება სასიამოვნო წარსულში ქექვა და ანალიზის გაკეთება.

**- როგორია თანამედროვე სოხუმი?**

- იმის მიუხედავად, რომ ქალაქში ჯერ კიდევ ბევრია დანგრეული შენობა, აღდგენითი სამუშაოები წარმოებს. დასრულებულია სანაპიროს მოპირკეთება, აკეთებენ სასტუმრო "აფხაზეთს", გაარემონტეს "Сухумприбор"-ის შენობა - ლურჯად შეღებეს, და იქ ფუნქციონირება დაიწყო ბოსტნეულის ბაზარმა. ქალაქში სისუფთავეა, საგულდაგულოდ არის მოვლილი გაზონები.

**- დაბოლოს, შენი აზრით, რა კონკრეტულ ქმედებებს ელის ბაგაფშისგან აფხაზი ამომრჩეველი?**

- კონკრეტულად საუბარი, ვფიქრობ, ნაადრევია. ყოველ შემთხვევაში, აფხაზ ამომრჩეველს მიაჩნია, რომ ნდობის მაღალი ხარისხი ბაგაფშს ავალდებულებს, ყველაფერი გააკეთოს ხალხისთვის ხალხის სახელით.

პორტრეტი და პეიზაჟი ერთად - „ვერნისაჟში„



ალენ ჟირესი: „ჩელსი„ არ შეცდება, თუ ასათიანს წაიყვანს„



ფაშიზმი და რელიგია I



B2 B4 B6

ნომრის სტუმარი

# სამი ქალაქის თეორია

## მოემზადეთ, თბილისი იცვლება

პირველი გვერდიდან

**- "მერია და მისი სამსახურები იმ ტიპის ორგანოა, ღია მინდორშიც კი რაღაც სიბინძურეს იკრავს. ჩვენი ამოცანა ასეთი ჭუჭყის ჩამოცილებაა," - ასე თქვით ჩვეთან ინტერვიუში ერთი წლის წინ, როდესაც ახლად დანიშნული იყავით. მიზანს მიაღწიეთ?**

- ამ ხნის განმავლობაში ხელმძღვანელი თანამდებობის პირები შევცვალეთ. ნაწილმა სხვადასხვა მიზეზით დატოვა სამსახური...

**- მართლაც, ამ პროცესს სკანდალები არ აკლდა - ვგულისხმობ მერიის თანამშრომელთა ნარკოლოგიური შემოწმების შედეგებს და ერთ კრიმინალურ შემთხვევასაც ჰქონდა ადგილი...**

- დიახ. ქვედა სტრუქტურებს ეს ნაკლებად შეეხო, რადგან იმდენი საქმეა, რომ მუდმივად ფორსმაჟორში გვიხდება მუშაობა. ქვედა რგოლებში საკადრო ცვლილებებს ფრთხილად მოვეკიდეთ, მაგრამ ახლა რეორგანიზაცია და შტატების სერიოზული შემცირება იგეგმება.

**- ეს მეტად მტკივნეული პროცესი იქნება. რა ტიპის წინააღმდეგობებს ელით?**

- არიან ადამიანები, რომელთაც სათანადო კვალიფიკაცია არ გააჩნიათ, მაგრამ მერიაში მუშაობის პრეტენზია აქვთ. აგრეთვე არიან ადამიანები, რომლებიც წლების განმავლობაში სჩადიოდნენ უკანონობას. რეორგანიზაცია არავინ უნდა გაიგოს ისე, თითქოს, სახელმწიფო ადამიანების დასაქმებაზე არ ზრუნავს. გზების რეაბილიტაციაზე 90 მილიონის დახარჯვას ვაპირებთ, რაც ნიშნავს იმას, რომ სამუშაო ადგილები სხვა სექტორში იქმნება - უზარმაზარი ფრონტია გაშლილი ფასადების შეკეთებაზე და სხვა. ეს იწვევს სამუშაო ძალის ორიენტაციების შეცვლას. თუ ჩვენ სრულიად ახლებურ საზოგადოებაში გვსურს გადასვლა, რყევებს ვერ ავცდებით. ეს მტკივნეული და არც თუ პოპულარული ნაბიჯებია, მაგრამ ეს ვიღაცამ უნდა გააკეთოს. თავის დროზე არც გამსახურდიამ და არც შევარდნაძემ არ გადადგა ეს ნაბიჯები და შედეგად ჭაობში მოვედით.

**- დრო ხომ არ გაუშვით ხელიდან? დასაწყისში, სანამ ახალ ხელისუფლებას უდიდესი ნდობა ჰქონდა, ალბათ, უფრო ეფექტური იქნებოდა საკადრო ცვლილებების ამ ფრონტით გაშლა და სკანდალებსაც ადვილად აიტანდა საზოგადოება...**

- კანონის დაცვა და სამსახურიდან ადამიანების კანონიერად გათავისუფლება გვიანი არასდროს არ არის. რაც შეეხება, საზოგადოებრივ აღქმას - აქ პოპულისტობისთვის არ მოვსულვარ. იმ ტალახისთვის კი, რაც მესროლეს და კიდევ მესვრიან - მზად ვარ.

**- აქ ტალახის ჩამოსაწმენდად მოხვედით და პირიქით კი გამოდის...**

- რა თქმა უნდა, ეს პირიქით ხდება. 400-მილიონიანი ბიუჯეტია და ადამიანები მიჩვეული იყვნენ ბიუჯეტში ხელის ფათურს, ზოგს მერე გაეღვიძა მადა... ჩვენ სულ უფრო ნაკლებ სივრცეს ვტოვებთ ამისთვის. ბუნებრივია, ასეთი ადამიანები შეეცდებიან, ბევრი ტალახი მესროლონ, რა ვუყოთ?

**- იმედია, გზების რეაბილიტაციაში მიწისქვეშა კომუნიკაციებიც იგულისხმება.**

- მიწისქვეშა კომუნიკაციების ჩათვლით ხარჯები, ალბათ, 100 მილიონს მიაღწევს. გზა ხომ მხოლოდ ასფალტი არ არის...

**- ორიოდე დღის წინ თოიძის ქუჩაზე ჩამონგრეული სახლის თაობაზე ბრძანეთ, რომ ეს არ არის მიწისძვრით დაზარალებულთა პრობლემა, ეს ავარიული სახლების პრობლემაა, რომელიც მაშინ მოგვარდება, როდესაც ქვეყნის ეკონომიკა აღმავლობის გზას დაადგება და ხალხს პრივატიზებული სახლების მოვლა-პატრონობის ფული გაუჩნდებაო... ეს "თამამი" და უსამართლო განცხადება ხომ არ არის?**

- თამამი და არაპოპულარული არის, უსამართლო - არა. კერძო საკუთრება - კერძო საკუთრებაა. როცა ადამიანი (ღმერთმა დაიფაროს) ავარიაში ხვდება, სახელმწიფო ვალდებული არ არის, შეაკეთოს მისი მანქანა. ასევეა სახლიც. ვალდებული ვარ, სიცოცხლისთვის საშიში დაზიანებები შევაკეთო, ან ექსტრემალურ სიტუაციაში (როგორც ეს თოიძის ქუჩაზე მოხდა) ადამიანებს ბინის აღდგენაში დავეხმაროთ.

მრავალსართულიან სახლებში პრივატიზებულ ბინებში სადარბაზო ვინ უნდა დაგავოს? ვინ უნდა შეაკეთოს სახურავი, საძირკველი? ყველა ნორმალურ ქვეყანაში მრავალბინიან სახლებში საბინაო მესაკუთრეთა ამხანაგობა იქმნება, მათ უმტკიცდებათ შესაბამისი ტერიტორია და მას უვლიან.

მიდგომა უნდა შეიცვალოს. ის, რაც დღეს ხდება, ერთი მხრივ, არის უკიდურესად სოციალისტური და სინამდვილეში, უკიდურესად ველური კაპიტალისტური მოვლენა, რადგან, სიკეთეებით მაინც ისინი სარგებლობენ, ვისაც ფული აქვს და "გარაჟებს" ისევ ღიპიანი ბიძები დგამენ. გამოსავალი საბინაო ამხანაგობების შექმნაა. ისინი შემოიტანენ განაცხადს, ფულს მათ მივცემთ, გავაკონტროლებთ და საჭიროების მიხედვით თავად დახარჯავენ.

**- როგორ შეაკეთოს უსახსრო ადამიანმა სახლი, წლების განმავლობაში არსებული კორუმპირებული მთავრობის ხელში ხომ ის უსამართლობის მსხვერპლად იქცა?**

- უსამართლობის წყარო არა სახელმწიფო, არამედ საზოგადოებაა...

**- წყარო თუ მსხვერპლი?**

- წყარო. სახელმწიფო არის საზოგადოების ნაწილი და როგორიც საზოგადოებაა, ისეთია სახელმწიფოც.

სოციალისტური აზროვნების გამო ქალაქში არსებული უძრავი ქონება არ არის ოპტიმალურად გამოყენებული. პენსიონერი ცხოვრობს ვაკეში, ხუთოთახიან ბინაში და ითხოვს დახმარებას... ხომ შეიძლება, გადავიდეს ოროთახიანში და ის ფული მოიხმაროს? საკმარისია, ქონების გადასახადის კარგი ადმინისტრირება დავიწყოთ, და ყველა იმის შესაბამისად იცხოვრებს, რის საშუალებასაც შემოსავალი მისცემს. უკიდურესად გაჭირვებულებს კი სახელმწიფო დაეხმარება.

**- სამოქალაქო საზოგადოებასა და უბრალოდ საზოგადოებას განასხვავებთ?**

- საზოგადოება სახელმწიფოზე ფართო ცნებაა, რადგან საზოგადოებაში შედის ეკლესია, რომელიც სახელმწიფოსგან გაყოფილია. არასამთავრობო სექტორს სახელმწიფოსთან ერთადერთი შეხება აქვს - გადასახადებს იხდის. სახელმწიფოს რომ თავი დავანებოთ, არქიტექტურაც ისეთივე მოუწყობელია, როგორც საზოგადოება.

**- ახერხებთ ბრძოლას უკანონო მშენებლობებთან?**

- ეს რიგით მეოცე კითხვაა... გაჩვენებთ სტრატეგიული განვითარების გეგმას, რომელსაც ქალაქის გენერალური გეგმა დაეყრდნობა. ეს რუკა, რომელიც ტელ-ავივის მთავარი არქიტექტორის კონსულტაციით ჩვენი არქიტექტურის სამსახურში გაკეთდა, ბევრ რამეს გეტყვით.

თბილისი, მოსკოვისგან განსხვავებით, ლინიალური, ანუ გრძივი ქალაქია. მოსკოვი - მრგვალია. დახედეთ რუკას, საბურთალო და ვაკე ჩიხია. ეს ხომ პარადოქსია - ჩიხებში უფრო მაღალია ბინების ფასი, ვიდრე ქუჩებზე. ვაკეში ქართული საბჭოთა ელიტა ცხოვრობდა. საბჭოთა კავშირის ნგრევის შემდეგ ნაშოვნი ფულის ინვესტირება იქვე გააკეთეს, სადაც თავად ცხოვრობდნენ. ე.წ. მენაშენეებმა მშენებლობები წამოიწყეს და უძრავი ქონების ფასიც გაიზარდა. დანარჩენი ქალაქი კი განუვითარებელი დარჩა. ჩვენი ფუნდამენტური ფუნქცია ქალაქის თანაბარი განვითარება და უძრავი ქონების დაბალანსებაა. მარცხენა მხარეც ისეთივე ღირებული უნდა გახდეს, როგორიც მარჯვენაა. ამ აზრით, სამების საკათედრო ტაძარმა და რეზიდენციის მშენებლობამ მარცხენა სანაპიროზე უძრავი ქონების ფასი გაზარდა.

ეს რუკა დაეფუძნა ჩემს "სამი ქალაქის" თეორიას. სინამდვილეში თბილისი სამი ქალაქისგან შედგება -



ლევან ხერხეულიძის ფოტო

თუ ჩვენ სრულიად ახლებურ საზოგადოებაში გვსურს გადასვლა, რყევებს ვერ ავცდებით.

აქ პოპულისტობისთვის არ მოვსულვარ. იმ ტალახისთვის კი, რაც მესროლეს და კიდევ მესვრიან - მზად ვარ.

ფიროსმანის ქუჩიდან დიდუბემდე იქნება "თბილისი-სიტი", საქმიანი ზონა, სადაც, მინიმუმ, 20-სართულიანი საოფისე ფართები აშენდება.

დიდუბის ჩრდილო-დასავლეთი, სამგორის აღმოსავლეთი და ის, რაც დიდუბესა და სამგორს შორის არის. თბილისში ორი საკვანძო წერტილია - მეტრო "სამგორი" და მეტრო "დიდუბე" - ორივეგან რკინიგზის სადგური, ბაზარი და ავტოსადგურია. ორივეგან ძირითადი ავტომაგისტრალი ჩერდება. მთავარი პრობლემა, რის გამოც სატრანსპორტო სქემაა გადატვირთული, შემდეგია - მოსახლეობის დიდი უმრავლესობა გარეუბანში ცხოვრობს და ცენტრში მუშაობს. ხალხი ტრანსპორტის ნაკადს დილით ცენტრში შემოჰყავს და საღამოს გაჰყავს. ჩემი იდეა ელიავას ბაზრობის მუხიანში ან ლილოსკენ გადატანის შესახებ ახირება არ არის, ეს ქალაქგეგმარებისა და ეკონომიკის სასარგებლო იდეაა. ამით განიტვირთება სატრანსპორტო სქემა - ელიავას ბაზრობასთან შექმნილი საცობების გამო მარჯვენა სანაპირო გადაიჭედა. ელიავას გადატანა სამომავლოდ პოლიტიკურად, ადგილობრივი თვითმმართველობის ეფექტურობისთვისაც აუცილებელია. მთელი სამუშაო ადგილები ცენტრშია და გადასახადებიც აქ იკრიბება. როგორ უნდა შეინახოს თავი გლდანმა, ან მუხიანმა? იქ ხომ ამის რესურსი არ არის? გამოდის, რომ თვითმმართველობა პოლიტიკურად დამოუკიდებელი ხდება, ეკონომიკურად კი ტრანსფერზე გეყოლება. ასე გამგეობები საკუთარ გადაწყვეტილებებს ვერ დააფინანსებენ. სტრატეგიული განვითარების ეს გეგმა, სავარაუდოდ, 3 თვეში დაიწერება და ერქმევა "თბილისი 2015", ან "თბილისი 2020 წელს."

**- დიდ გეგმებს ეჭიდებით. ერთ მშვენიერ დილას რომ გაგეღვიძოთ და ღარიბისა არ იყოს, ქილა ერბო დამტვრეული დაგხვდეთ?**

- რაც ვილაპარაკე, ფანტაზიის სფეროს არ განეკუთვნება. ჩვენი გეგმა შემდეგია - ქალაქის ცენტრში რკინიგზას უზარმაზარი ტერიტორიები უჭირავს. მელაანის ქუჩის ბოლოდან (სადაც კახეთის გზატკეცილი მთავრდება) დიდუბის მეტრომდე რკინიგზის მიწის ქვეშ ჩატანას ვთავაზობ. რკინიგზის ხაზს კი ასფალტს გადავაგებთ და ავტობანით ქალაქის ბოლომდე გავალთ.

**- გეოლოგების რეკომენდაციები გაქვთ?**

- დიახ, ეს შესაძლებელია. ამით თავისუფლდება 150 ჰექტარი მიწა. დღეს რომ კვადრატული მეტრი 10 დოლარად გაიყიდოს, 150 მილიონი დოლარი გროვდება. გვირაბის გაკეთებას კი 100 მილიონი დოლარი ჭირდება. მაგრამ, რატომ გავყიდოთ, როდესაც აქ მილიარდიანი ინვესტიციის ჩადების წინაპირობა ჩნდება?! ფიროსმანის ქუჩიდან დიდუბემდე იქნება "თბილისი-სიტი", საქმიანი ზონა, სადაც მინიმუმ, 20-სართულიანი საოფისე ფართები აშენდება.

**- ამ ინტერვიუს მერე ამ ზონაში ბინების ფასები ავარდება...**

- ეს ხელს მაძლევს, რადგან ინვესტორი, პირველ რიგში, ფასებს კითხულობს და თუ ის დაბალია, არ ინტერესდება. ჩემი ამოცანა მშენებლობების მარცხენა სანაპიროზე გადატყორცნაა, მაგრამ ეს ადვილი არ არის.

**- რას უპირებთ ქალაქის ახლანდელ ადმინისტრაციულ და ისტორიულ ნაწილს?**

- დაგვრჩება ნამდვილად ისტორიული ზონა. ინვესტიციები ჩაიდება არა უძრავ ქონებაში, არამედ - ტურიზმში. ვაკეს დაუბრუნდება საცხოვრებელი სტატუსი - და არ იქნება საქმიანი, როგორიც ახლაა.

**- 2020 წლამდე ხომ უნდა შევინარჩუნოთ დანგრევის პირას მისული ისტორიული ნაწილი ისე, რომ ის მხოლოდ ისტორიად არ იქცეს?**

- ინვესტორებს დღეს, პირველ რიგში, ამ ნაწილზე უჭირავთ თვალი. 2015 წელზე ვიღებთ ორიენტაციას და ყველაზე ბოლოს ეს ნაწილი განვითარდება. დღეს არ გვაქვს იმის უნარები და კაპიტალი, რომ ამ ადგილის განვითარება სწორი მენეჯმენტით წავმართოთ და ისტორია გადავარჩინოთ. რაც არის, ის მხოლოდ ნელ-ნელა განვითარების საშუალებას იძლევა. ქვეყანაში ეკონომიკის განვითარებასთან ერთად ისტორიული ცენტრის რეაბილიტაციამდე ვიღაც ფულს იშოვის და სხვაგან გადავა, მაგალითად, ავლაბრისკენ. ვიღაც დარჩება და ინვესტორს ძვირად მიჰყიდის უძრავ ქონებას.

**- არის მესამე კატეგორიაც, ვინც მამა-პაპის სახლს არ დათმობს და არსადაც არ წავა...**

- ასეთ ადამიანს მთელი სიკეთე ყველაზე ბოლოს მოუწევს.

**- თქვენ თვითონ სად იქნებით? ამდენი ხნის მანძილზე ბევრ ტალახს გესვრიან...**

- არა მგონია, ამდენ ხანს ისეთ თანამდებობაზე და სახელმწიფო სამსახურში გავჩერდე, რომელსაც ტალახს ესვრიან. ყოველ შემთხვევაში, ვადა წლის ბოლომდე მომეცა და ამ დრომდე სტრატეგიულ გეგმას ნორმატიული დოკუმენტის სახეს მივცემთ.

**- ფილოსოფიურად რომ ახსნათ, რატომ ატყდა აჟიოტაჟი თქვენს სამკუთხედზე, ეს სიახლის შიშია?**

- სინამდვილეში, პრობლემა ვაკის პარკთან იქმნება. ვაკემ სტატუსი შეიცვალა, საცხოვრებელი ზონიდან საქმიან ზონად გადაიქცა და მეტი დატვირთვა აქვს. მთელი ქალაქი მას სამკუთხედის მეშვეობით უკავშირდება და მოძრაობა გაიჭედა. სამკუთხედის უპირატესობა ის არის, რომ მოძრაობა არ გაჩერდა, უბრალოდ, ნელა მოძრაობ. სანაპიროზე და პეკინზე კიდევ უფრო მეტი საცობია, ვიდრე სამკუთხედზე, მაგრამ არავინ წუწუნებს, რადგან იქ აჟიოტაჟი არავის აუტეხია.

ჩვენი საზოგადოება ძალიან ჩასაფრებული გახდა. ქალაქში დადის ჭორი, რომ აეროპორტის გზა ფუჭდება. ეს სიცრუეა, რაც უნდა ცუდად იყოს გაკეთებული, არ არსებობს გზა, რომელიც ორ თვეში გაფუჭდება. ეს არის ჭორი, რომელზეც თეორიებს აგებენ, ჟურნალისტები იღებენ ინტერვიუებს და ასე შემდეგ. იგივეა სამკუთხედთან დაკავშირებითაც. საბოლოოდ საზოგადოების ზედმეტად კრიტიკულობამდე და მედიამდე მივდივართ. საზოგადოებას საკითხზე სრული ინფორმაცია არ მიეწოდება. გარდა ამისა, დღეს ბიუროკრატიისთვის ყველაზე რთული ეტაპია. გახშირებული დაჭერების ფონზე ქვედა რგოლის ბიუროკრატიას, თუ პატიოსანია, საბუთზე ხელმოწერისას ხელი უკანკალებს. უპატიოსნომ ოღონდ ფული გააკეთოს, ყველაფერს აწერს ხელს.

**- პატიოსანს რისი ეშინია?**

- საზოგადოება ყველაფერს კრიტიკულად უყურებს და ჩინოვნიკს შიშის გამო, გადაწყვეტილების მიღება უჭირს.

**- არის ეს არასტაბილურობის შეგრძნება, რომელიც ხელისუფლების მაღალი ეშელონებიდან მოდის და არა საზოგადოებიდან?**

- არ ვიცი.

**- ეს ხელისუფლება რევოლუციამდე ამ საზოგადოებას და მედიას აქებდა. მედიასახეები არც ახლა შეცვლილან, მათი მისამართით კი საყვედურები გახშირდა, რატომ?**

- თქვენს გაზეთში გია ნოდია ამას კარგად ხსნიდა და ცოტას მეც დავამატებ. როცა დასავლეთის ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციები ამერიკაში მომხდარი დარღვევის გამო ხმაურს ტეხენ, ეს იმიტომ ხდება, რომ სახელმწიფო ძლიერია და მისი მხრიდან ერთი ნაბიჯის გადაცდომაც საზოგადოების წინააღმდეგ გადადგმულად აღიქმება. საქართველოში თუ პოლიციის რომელიმე განყოფილებაში დაკავებულებს აწამებენ, იმის გამოა, რომ სუსტი სახელმწიფოა და ხელისუფლების ნება ქვედა რგოლებამდე არ მიდის. ამიტომ, მედიის წინაშეც დგას სახელმწიფო სტრუქტურების გაძლიერების ამოცანა, რათა ეს ვითარება გავმოვასწოროთ. თუ მედიამ პროფესიონალიზმი არ გამოიჩინა და ხელაღებით ლანძღა ყველა, საზოგადოებას უქრება რწმენა, რომ ეს ვერტიკალი ოდესმე შეიძლება აეწყოს. ჯანსაღ კრიტიკასა და დესტრუქციას შორის დღეს ერთი ნაბიჯია. ერთი მხრივ, კარგია, როდესაც საზოგადოება ჩინოვნიკის მიმართ კრიტიკულ განწყობას ინარჩუნებს, მაგრამ მეორე მხრივ - მხოლოდ ცუდს რომ ხედავს, კრიტიკა დესტრუქციად იქცევა.

**- მოახერხეთ მერიაში კორუფციული სქემების დაშლა? რამდენად დამოუკიდებელი ხართ გადაწყვეტილებების მიღებისას?**

- ძალიან ბევრ ადამიანს ექმნება დისკომფორტი იმიტომ, რომ კრუხივით ვაზივარ 400 მილიონიან ბიუჯეტს. ვერ ვიტყვი, რომ ამ ფულიდან არამიზნობრივად არაფერი იხარჯება და თუნდაც 80 პროცენტით მოვერიეთ კორუფციას. მაგრამ, ტენდენცია იქითკენ მიდის, რომ ნელ-ნელა ვაფართოებთ არეალს, სადაც ფული ხალხისთვის იხარჯება.

**- ძალიან ცნობილი ხაზების დიდი ნაწილი ძალზე ცნობილი კორუმპირებული ადამიანების ხელშიაო, ბრძანეთ ერთი წლის წინ. სამარშრუტო ხაზების შემცირება კი დღესაც არ შეიმჩნევა.**

- "მარშუტკების" სიმრავლეზე ყველა პრეტენზიას გამოთქვამს. საკმარისია, შემცირება დავიწყო, მედია გავარდება მძღოლებთან და ნებისმიერი მძღოლის აზრი უფრო მნიშვნელოვანი იქნება, ვიდრე მერის არგუმენტები. არავინ არ მიაწოდებს ამას ისე, რომ სამარშრუტო ტაქსების რაოდენობის შემცირება საზოგადოების დაკვეთაა.

**- და დაშინდით?**

- მერიაში დაგეგმილი შემცირება ჩემს "დაშინებაზე" მეტყველებს.

გაზეთებში დაიბეჭდა, რომ ბარამიძის კაბინეტი მამაჩემის ფირმამ გაარემონტა და თითქოს, ტენდერები მოიგო. მართალია, ამ სიყალბის გამო, მერე ორივე გაზეთმა მოიხადა ბოდიში, მაგრამ ბოდიში იმდენს არ აინტერესებს, რამდენსაც ტყუილი. ასეთი სიყალბეების გამო ჩინოვნიკი კრიტიკის მიმართ ყრუ ხდება, მედიას უგულებელყოფს. ეს კი ჯერ ჩინოვნიკს ვნებს და მერე - საზოგადოებასაც, რადგან მას შორდება. ვფიქრობ, რომ დღეს საზოგადოებისთვის ყველაზე დიდი პრობლემა განათლებაა და, პირველ რიგში, ეს მედიაში აისახება. თუმცა, ალბათ, ჩემი ბრალიც არის - საზოგადოებასთან კომუნიკაციის ფორმებია დასახვეწი.

**- როგორც ვარაუდობენ, მალე პარლამენტში განსახილველად შევა კანონი ადგილობრივი არჩევნების შესახებ...**

- ვფიქრობ, რომ მერი საკრებულომ უნდა აირჩიოს. დღეს თბილისში მთელი ქვეყნის გადასახადების 60 პროცენტი იკრიბება და პირდაპირ არჩეული ქალაქის მერი ქვეყანაში ორხელისუფლებიანობის საშიშროებას ქმნის. თუ ჩვენ რეალურ თვითმმართველობაზე ვლაპარაკობთ, მერის პირდაპირი არჩევა მაშინ უნდა მოხდეს, როცა თბილისს თავკომბალის სტატუსი ჩამოსცილდება. ქვეყნის ეკონომიკის განვითარებასთან ერთად ამოიწევს რეგიონებიც, რაც ხელს შეუწყობს სამუშაო ძალის და ბევრი სოციალური პრობლემის ქალაქიდან გაწოვას. პრეზიდენტი, პრემიერი და ქალაქის მერი დღეს ქალაქთან დაკავშირებულ საკითხებს შეთანხმებულად წყვეტენ. წარმოვიდგინოთ, რომ ამ თავკომბალა დედაქალაქში მოვიდა ხელისუფლებასთან დაპირისპირებული პოლიტიკური ძალის წარმომადგენელი მერი, რომელმაც ეკონომიკის 60 პროცენტი უნდა მართოს, ეს ხომ დესტრუქციაა? თბილისში უნდა ჩამოყალიბდეს თვითკმარი მუნიციპალური ერთეულები. როგორი უნდა იყოს თბილისის მერია და მერი - ამას რეალობა და განვითარება გვიჩვენებს.

**- ასე არ იყო შევარდნაძის დროს, როდესაც სააკაშვილი საკრებულოს თავმჯდომარეობდა? რა, არ გაამართლა?**

- გაამართლა, რადგან შევარდნაძე და მისი ბანდიტური რეჟიმი მოვიცილეთ. მაშინ სააკაშვილი ლიფტებისა და სახურავების პროგრამას ახორციელებდა, რაშიც მთელი ხელისუფლება და ზოდელავა მაქსიმალურად უშლიდნენ ხელს. სწორედ ეს იყო ორხელისუფლებიანობის შედეგი და ამას ყოველთვის ჩიხში მივყავართ, რაც საზიანო იქნება მოქალაქეებისთვის და ეს უნდა გავაცნობიეროთ.

## აფიშა

### თეატრები

**თეატრალური სარდაფი რუსთაველზე**
პატრიკ ზიუსკინდის მიხედვით
"კაფე როსინი"
რეჟისორი: ლევან წულაძე
დას: 20:00 სთ.

**თეატრალური სარდაფი ვაკეში**
რალფ კნიგი
ET CETERA
რეჟისორი: ლევან წულაძე
დას: 19:00 სთ.

**სამეფო უბნის თეატრი**
"ლაბირინთი"
ავტორი და რეჟისორი: კახა ბაკურაძე
ფასი: 3 და 5 ლარი
დას: 19:00 სთ.

**თავისუფალი თეატრი**
დათო ტურაშვილი
"ჯინსების თაობა"
რეჟისორი: დათო დოიაშვილი
დას: 19:00 სთ.

**ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის ერთი მსახიობის თეატრი**
"ლიფტში"
კითხულობს მალხაზ აბულაძე
რეჟისორი: გიორგი სიხარულიძე
ფასი: 3 ლარი
დას: 18:00 სთ.

### კინოთეატრები

**რუსთაველი**
"ნიუ იორკის ტაქსი"
დას: 13:00; 18:00; 20:00; 22:00 სთ.

"განრისხებული"
დას: 15:00 სთ.

**ამირანი**
"ბრიჯიტ ჯონსი 2"
დას: 14:30 სთ.

"შეხვედრა ფაკერებთან"
დას: 12:00; 17:00; 19:30; 22:00 სთ.
ფასი: 7-დან 10 ლარამდე.

### გამოფენები

**საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი**
გამოფენა "შუა საუკუნეების ქრისტიანული ხელოვნება"

**ძველი გალერეა**
თანამედროვე ქართველი მხატვრების ნამუშევრების გამოფენა (ფერწერა)

**თბილისის ისტორიის მუზეუმი "ქარვასლა"**
"ქარვასლასა" და სახელმწიფო ხელოვნების მუზეუმში დაცულ ექსპონატთა გამოფენა

**ჰობი**
ელდარ ქავშბაიას ნამუშევართა პერსონალური გამოფენა
"დახურული ქოლგები"
I დარბაზი

თანამედროვე ქართველ მხატვართა ნამუშევრების
გამოფენა (ფერწერა)
II დარბაზი

**სურათების ეროვნული გალერეა**
კავკასიური ნაივური მხატვრობა

*დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე:* culture@24hours.ge

# პორტრეტი და პეიზაჟი ერთად - „ვერნისაჟში"

## ერთი თაობის ორი დიდი მხატვარი

სოფო კილასონია

*კარგა ხანია, რაც თბილისის საგამოფენო დარბაზთა რიგს გალერეა "ვერნისაჟი" შეემატა. ამ არცთუ ისე დიდ საგამოფენო სივრცეში მოწყობილი ექსპოზიციები, პირველ რიგში, ამა თუ იმ მხატვრისა და მისი შემოქმედების წარმოჩენას ემსახურება. ამ გალერეის ხშირი სტუმარი დამეთანხმება, რომ "ვერნისაჟის" გამოფენებში განსაკუთრებული იდეა, გარკვეული კონცეფცია მეორეხარისხოვანია ან საერთოდ არ არსებობს (კონცეპტუალური გამოფენები ხომ საერთოდაც დიდი იშვიათობაა ჩვენთან), მაგრამ ის, რომ მისი კედლები მხოლოდ რჩეულებს ან იმ მხატვრებს ეთმობა, რომელთა ნამუშევრებსაც სხვა გალერეებში იშვიათად ვხვდებით, მიზეზია იმისა, რომ აქ ყოველთვის სიამოვნებით მიდის მხატვრობაზე შეყვარებული საზოგადოება და შემფასებელი. მათი ყოველი ახალი გამოფენა თავისთავად საინტერესო და განსხვავებულია. ამიტომაცაა, რომ "ვერნისაჟს" დამთვალიერებელი არც გახსნაზე და არც მომდევნო დღეებში არ აკლდება.*



ვახო ხალილოვას ფოტო

*თენგიზ მირზაშვილი უფროსი კოლეგების გამოფენაზე*

გუშინ საღამოს "ვერნისაჟმა" ახალი გამოფენა გახსნა. ამჯერად გალერეა კერძო კოლექციებიდან გამოტანილ ელენე ახვლედიანისა და ქეთევან მაღალაშვილის ნამუშევრებს დაეთმო. ერთთვიანი მზადების შემდეგ გალერეის კედლები ორმოცამდე ნამუშევარმა დაიპყრო. ერთიმეორეს ენაცვლება დიდი და პატარა ტილოები, 20-იანი და 70-იანი წლების ნაწარმოებები. ექსპოზიცია ქეთევან მაღალაშვილის არა მხოლოდ პორტრეტებს, არამედ ნატურმორტებსაც გვთავაზობს.

"დიდი ხანია არ მოუწყვიათ ახვლედიანისა და მაღალაშვილის გამოფენები. სურვილი გამიჩნდა, გამეკეთებინა ცალ-ცალკე ან ერთად. საბოლოოდ ჩანაფიქრი ასე განხორციელდა. ისინი ხომ ერთი თაობის ქალბატონები არიან, ერთად მოღვაწეობდნენ, ორი ყველაზე დიდი მხატვარი ქალბატონი. გამოფენის მიზანია, საზოგადოებამ ნახოს ის ნამუშევრები, რომლებიც დაცულია კერძო კოლექციებში და არა მუზეუმებში," - მითხრა გამოფენის ორგანიზატორმა ზაირა ბერელიძემ.

ერთი თაობის ორი მხატვრის ნამუშევრების ერთ ექსპოზიციაში წარმოდგენა ლოგიკური და გასაგები არჩევანია, თუმცა, სწორედ ახვლედიანისა და მაღალაშვილის ერთად გამოფენა ამ საკმაოდ პატარა გალერეაში ოდნავ დამაბნეველი გამოდგა ჩემთვის.

ექსპოზიციაზე ერთმანეთს ენაცვლება ერთის პეიზაჟი და მეორის პორტრეტი, ახლედიანის სხვადასხვა პერიოდის ქმნილებები, ანუ განსხვავებული შუქი, ფერი და ჰორიზონტები და მაღალაშვილის სულ სხვადასხვა "კატეგორიის" დიდი და პატარა, ზეთსა თუ პასტელში შესრულებული პორტრეტები. მართალია, ეს ყველაფერი ერთგვარი სიჭრელის შეგრძნებას ტოვებს, თუმცა, ვფიქრობ, იმაზე მეტ კითხვას ბადებს, იმაზე მეტ ინტერესს აღძრავს, ვიდრე მზა კონცეფციაში ან ქრონოლოგიურ საზღვრებში მოქცეული იგივე ნაწარმოებები გამოიწვევდა.

ეს ერთგვარი "ექსპოზიციური ქაოსი" პირადად ჩემი, როგორც დამთვალიერებლის "გამაღიზიანებელ" ფაქტორად იქცა. სწორედ მან გამოიწვია ის მართლაც მარტივი კითხვები, რომლებზეც პასუხის გაცემა აქამდე იოლ დავალებად მეჩვენებოდა. პირველი: რა არის ის, რაც ამ ორ მხატვარს აერთიანებს, იმის გარდა, რომ ერთ თაობას ეკუთვნოდნენ, სწორედ იმ თაობას, რომელიც რუსული კულტურული ფილტრისგან დამოუკიდებლად პირველი ეზიარა ევროპულ მხატვრულ მიღწევებს, პირდაპირ თუ პირისპირ შეეგება მის თანამედროვეთა გატაცებებსა და მრავალფეროვან, ურთიერთგამომრიცხავ მიმდინარეობათა "დაბადება-განვითარებას". მეორე: მაინც რა განასხვავებს ერთიმეორისგან ამ ორ მხატვარს, რა თქმა უნდა, გარდა იმისა, რომ ერთს განსაკუთრებით იტაცებდა პეიზაჟი, მეორეს კი - პორტრეტი?

**"მე ორივეს ახლოს ვიცნობდი. თუ ელენე ახვლედიანი გარეგნულად არტისტული ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებდა, ქეთევან მაღალაშვილს ეს ნაკლებად ახასიათებდა. ვფიქრობ, ეს მის შედარებით ასკეტურ მხატვრობაში გამოვლინდა კიდეც. ახვლედიანი უფრო ფართო დიაპაზონის მხატვარი იყო. აქ წარმოდგენილი ყველა ნამუშევარი თანაბარი დონისა და ხარისხის არაა, თუმცა, რამდენიმე, ვფიქრობ, შედევრია. ამ გამოფენამ ერთგვარი ინტიმური ხასიათი შექმნა, სურათებიც საკმაოდ კარგადაა გამოფენილი. ძნელია ამ ორ მხატვარს შორის საერთო დაინახო. შესაძლოა, ეს მათი მხატვრობისთვის დამახასიათებელი ზოგადად ეპოქის სურნელი, ამ ეპოქის ირაციონალური მარცვალი იყოს. ერთხელ სერგო ქობულაძემ მითხრა და უნდა დავეთანხმოთ, რომ ისინი ნამდვილი მხატვრები იყვნენ, რომლებიც არ თამაშობდნენ. ელენე ახვლედიანი გაცილებით მეტი იყო - პიროვნება, ვიდრე მხატვარი, ქეთო მაღალაშვილთან მხატვარი ჭარბობდა პიროვნებას. ახვლედიანს ჯერ მოაქვს საკუთარი პიროვნება, შემდეგ - მხატვრობა, მაღალაშვილი საკუთარს მთლიანად დებს ნამუშევარში. სტანისლავსკის უთქვამს: რეჟისორი უნდა მოკვდეს მსახიობშიო. ქეთევანიც მთლიანად კვდება თავის მოდელში. მისი პიროვნული საწყისი, პიროვნული დამოკიდებულება ჩანს, თუმცა, ეს მეორე პლანზეა გადატანილი. მისთვის მთავარია მოდელი და მისი კულტურული პორტრეტის შექმნა."** - ეს და კიდევ ბევრი რამ მითხრა გამოფენაზე მოსულმა ხელოვნებათმცოდნემ დავით ანდრიაძემ.

უნდა აღინიშნოს კიდევ ერთი რამ, რაც, ვფიქრობ, ელენე ახვლედიანსა და ქეთევან მაღალაშვილს აერთიანებდათ. იმ ხუთეულიდან (დავით კაკაბაძე, შალვა ქიქოძე, ლადო გუდიაშვილი, ელენე ახვლედიანი, ქეთევან მაღალაშვილი), რომლებიც პარიზში გაგზავნეს სასწავლებლად (1919-1922 წლები), სწორედ მათთვის დარჩა შედარებით უცხო და ბოლომდე მიუღებელი იმ პერიოდის ევროპულ მხატვრობაში მიმდინარე პროცესები. არც ერთმა უარი არ თქვა უკვე არჩეულ გზაზე, ყველაზე ნაკლებად მათ შემოქმედებაში მოიკიდა ფეხი ავანგარდულმა მიმდინარეობებმა, რომელთაგან მიღებულმა შთაბეჭდილებებმა კაკაბაძის, გუდიაშვილისა და ქიქოძის პარიზული და შემდგომი პერიოდის შემოქმედებაში, მართალია, სხვადასხვა დოზით და სახით, მაგრამ მაინც საგრძნობლად იჩინა თავი.

ელენე ახვლედიანის 1920 წლის "თელავი" და 1974 წლის "თელავის კუთხე", 1968 წელს შესრულებული "ზამთარი", "მანგლისი" (1944), "სვანეთი" (1962), "ჯვარი"... ქეთევან მაღალაშვილის კუკური იშხნელისა და ელისო ვირსალაძის ზეთით შესრულებული, მართლაც არაჩვეულებრივი პორტრეტები, პასტელში შექმნილი რუსიკოს პორტრეტი და სხვა, შედარებით უფრო სოცრეალისტური ნამუშევრები. ამ და სხვა მრავალ საექსპოზიციო ნაწარმოებს ახლავს და აერთიანებს ფოტომასალა, სადაც ახვლედიანისა და მაღალაშვილის გარდა, მათ თანამედროვეებს, მეგობრებსა და მათთან ჩამოსულ სტუმრებს, საზოგადო მოღვაწეებს ვხედავთ და ვეცნობით.

გალერეა "ვერნისაჟი" 20 თებერვლამდე ელის ყველას, ვისაც ამ ორი მხატვარი ქალბატონის ხელოვნება ხიბლავს ან, უბრალოდ, აინტერესებს, ვისაც მათი სიახლის სურნელით გამსჭვალული ეპოქისა და თაობის ხასიათის შეგრძნება სურს, იმ თაობისა, რომლსაც უდიდესი წვლილი მიუძღვის ქართული მხატვრობის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში და რომელთა შესახებაც სათქმელსა და დასაწერს ერთი ან ორი სტატია ნამდვილად ვერ დაიტევს.

# ჩინური ახალი წლის შესახვედრად

8 თებერვალს კლუბ "ნოანოაში" ჩინური ახალი წელი აღინიშნება. საახალწლო ღამეს კლუბში რუსთაველის თეატრის მსახიობი იაშკა იაშვილი პერფორმანს წარმოადგენს, ჩინური რესტორანი "ჩაინა თაუნი" კი, სტუმრებს ჩინური მენიუთი გაუმასპინძლდება. ღონისძიებაზე იქნება დრაკონის ცეკვა, ფეიერვერკი და სხვადასხვა რიტუალი.

როგორც ცნობილია, ჩინელები ახალ წელს მთვარის მცოცავი კალენდრის მიხედვით აღნიშნავენ. ჩინური ახალი წელი ჩინეთში გაზაფხულის მოსვლას ნიშნავს.



# ქართლოს კასრაძე

გარდაიცვალა საქართველოს სახალხო არტისტი, ღირსების ორდენის კავალერი, ქართული ესტრადის ცნობილი მსახიობი ქართლოს კასრაძე.

ქართლოს კასრაძე დაიბადა 1926 წლის 27 აგვისტოს ქალაქ გორში, მწერლისა და საზოგადო მოღვაწის დავით კასრაძისა და იაკობ გოგებაშვილის შვილობილის - ქრისტინე ბიბილურის ოჯახში. თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე.

მისთვის, როგორც დავით კასრაძის ღირსეული მემკვიდრისთვის, განსაკუთრებით საპასუხისმგებლო იყო სამწერლო ასპარეზზე მოღვაწეობა. იგი წლების მანძილზე რუდუნებით ქმნიდა ისტორიულ რომანს "ფარნავაზი", რომელიც მკითხველმა, ისევე როგორც მისი მრავალი ნოველა, ლირიკული ლექსი თუ იუმორისტული ნაწარმოები, მიიღო და შეიყვარა. ამის დასტურია მის მიერ შექმნილი ლექსები პოპულარული სიმღერებისთვის "გახსოვს, გიკრეფდი იებს", "ლურ-



ჯი აპრილი", "ქარი მღერის", "ვარდების კოშკი აგიგე" და სხვ.

60-იან წლებში ქართლოს კასრაძე რედაქტორობდა ჟურნალ "ნიანგის ბიბლიოთეკას". იგი ავტორია აგრეთვე წიგნებისა: "ტრიუმფით მსოფლიო გზებზე" და "ტრიუმფი გრძელდება", რომლებშიც ასახულია ქართული ხალხური ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის მოღვაწეობა.

ქართლოს კასრაძის შემოქმედებით ცხოვრებაში უმნიშვნელოვანესი ადგილი ეკავა ქართულ ესტრადას, რომლის განვითარებაშიც მან, როგორც პაროდისტმა და კონფერანსიემ, წარუშლელი კვალი დატოვა. მისი პაროდიები, ფელეტონები თუ სკეტჩები ეპოქას აცოცხლებდა სცენაზე და ჰომერულ სიცილს იწვევდა მაყურებელში. მისი არტისტიზმი, ექსცენტრულობა, გულუბრყვილობასთან წილნაყარი იუმორი რამდენადმე აისახა კიდეც მის მიერ შექმნილ ეპიზოდურ როლებში კინოფილმებიდან: "თოჯინები იცინიან", "უდიპლომო სასიძო", "განგაში", "აბეზარა" და სხვ.

მას დიდი წვლილი მიუძღვის ისეთი საესტრადო ანსამბლების შექმნაში, როგორიცაა "დიელო", "რერო" და "ორერა".

ქართლოს კასრაძის სახით ქართულმა კულტურამ კიდევ ერთი ღირსეული, გამორჩეული და ნიჭიერი ხელოვანი დაკარგა.

***საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო***

# პლანტი გააქტიურდა



"ლედ ზეპელინის" ყოფილი ვოკალისტი მორიგ სოლო-ალბომს აპრილში შესთავაზებს მსმენელს. Mighty Rearranger-ის (ალბომის სახელწოდებაა) გამოშვება 25 აპრილსაა დაგეგმილი. ჩანაწერში პლანტისა და მისი ჯგუფის Strange Sensation-ის ერთობლივი ნამუშევრებიდან 12 კომპოზიცია შევა. ალბომამდე მსმენელი მიიღებს პირველ სინგლს (18 აპრილს) - ეს იქნება სიმღერა Shine It All Around.

მარტში რობერტ პლანტი ალბომის მხარდასაჭერი ტურნეს დაწყებასაც აპირებს. ჯგუფი კონცერტებით ჩრდილოეთ ამერიკას შემოივლის. მანამდე ლეგენდარული ვოკალისტი მოასწრებს მონაწილეობა მიიღოს ცუნამისგან დაზარალებულთა მხარდასაჭერ აქციაში, რომელიც ბრისტოლში 19 თებერვალსაა დაგეგმილი.

შეგახსენებთ, რობერტ პლანტის უკანასკნელი სოლო-ალბომი Dreamland 2002 წელს გამოვიდა.

# სცენაზეა მორიგი ოსბორნი



ოზი ოსბორნის უფროსი ქალიშვილი, 21 წლის ემი სოულის მომღერლის კარიერას იწყებს. საამისოდ იგი თურმე რამდენიმე წლის განმავლობაში ემზადებოდა და როგორც თავად განაცხადა, უკვე მზადაა ჩანაფიქრის განსახორციელებლად.

სამი წლის წინათ ოსბორნების უფროსმა ქალიშვილმა უარი განაცხადა "რეალურ შოუში" მონაწილეობაზე. მისი აზრით, პროექტში მონაწილეობა ხელს შეუშლიდა სერიოზული კარიერის დაწყებაში, რადგანაც შოუ სამუდამოდ დაღს დაასვამდა, როგორც "ოსბორნების მასხარების ოჯახის ერთ-ერთ წევრს". როგორც ოსბორნების ახლობლები აცხადებენ, ემი ყოველთვის გაურბოდა ესარგებლა მშობლების პოპულარობითა თუ მიღწევებით. ხოლო, როდესაც მისი ოჯახი ცხოვრების ყოველი ნაბიჯი ტელეეკრანებზე ჩანდა, ამ დროს ემი საკუთარ მუსიკალურ მასალაზე მუშაობდა. ამ ეტაპზე უცნობია, როდისთვის იგეგმება ემი ოსბორნის სადებიუტო დისკის პრეზენტაცია.

სამსონ ლეჟავას სვეტი

# რეალურიც, ფანტასტიკურიც, ახალი გარღვევის მაუწყებელიც...



როდესაც ძველი თბილისის ხუროთმოძღვრების უსასტიკეს დარბევაზე დიდი გულისტკივილით ვსაუბრობთ და ამის გამო პროტესტსაც გამოვთქვამთ, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ფასეულად მხოლოდ ადრინდელი, თუმც კი უტყუარი მონაპოვარი მიგვაჩნია. წარსულისადმი პატივმიგება მომავალზე ფიქრსა და მისდამი გულისყურის მიპყრობასაც აუცილებლად გულისხმობს, და იმის მძაფრ სურვილსაც, რომ არაორდინარულად შემოქმედებითი, ახლებურ შესაძლებლობათა შემცველი ხუროთმოძღვრება, ბოლოს და ბოლოს, ჩვენშიც დამკვიდრდეს.

ზოგადად ძალზე არასახარბიელო გარემოში საბედნიეროდ, დღესაც არსებობს გამონაკლისები. შეგახსენებთ საავტომობილო გზების სამინისტროს შენობას თბილისში (ავტორთა ჯგუფის ხელმძღვანელი გ. ჩახავა; ზ. ჯალაღანია; თ. თხილავა; ა. კიმბერგი). ამ ნაგებობამ დიდი საერთაშორისო აღიარება მოიპოვა ამერიკის შეერთებულ შტატებში, იაპონიაში, გერმანიაში, ბელგიაში, რუსეთში და სხვაგან. თვალსაჩინო თეორეტიკოსმა ა. გოლდშტეინმა მასში წინმსწრები, ოცდამეერთე საუკუნისეული ხედვა გამოჰკვეთა. იგი შევიდა ნიუ იორკში გამოცემულ საუკეთესო არქიტექტურულ ნაგებობათა კატალოგში 1981 წელს, ხოლო საქართველოში ამ შენობას სერიოზული ნარკვევი მხოლოდ ცნობილმა არქიტექტორმა ვ. დავითაიამ მიუძღვნა. დღეს კი შესაძლებელია, ჩვენ ვიქცეთ ახალი გარღვევის მოწმედ.

თბილისში, გზების დეპარტამენტისა და მარშალ გელოვანის პროსპექტზე მდებარე ბაზრობას შორის, მოქცეულია რთულ რელიეფიანი, სრულებით გამოუყენებელი მონაკვეთი. ახალი და ორიგინალური პროექტით, აქ განზრახულია ბურჯებზე აღმართული მრავალფუნქციური კომპლექსისა და პარკის შექმნა. იდეა, როგორც ირკვევა მოიწონა ხელისუფლებამ. მისი რეალიზაციაც რეალურია, რადგან არსებობს ინვესტორის მოწვევის პერსპექტივა. თუკი ეს განხორციელდა, ვფიქრობ, რომ ახლო მომავალში მოსალოდნელია ბევრად უფრო სერიოზული აღიარება - პროექტი ხომ უჩვეულო გაქანებითა და გაბედულებით გამოირჩევა! (იდეის ავტორი გ. ჩახავა; არქიტექტორები გ. ჩახავა და გ. შავდია; კომპიუტერული დამუშავება დ. ზოიძისა; კონსულტანტი ვ. შუბლაძე).

მაინც რითაა ღირსშესანიშნავი და განსაკუთრებული ეს პროექტი? უთუოდ ძალიან ბევრი მახასიათებლით: უპირველესად ეს არის მართლაც ძალზე რთულ რელიეფზე უაღრესად მარჯვე, მხატვრულად ეფექტური და ეკონომიური მორგება. ლანდშაფტის ყოველგვარი ხელყოფის გარეშე, შენობა იუფლებს დიდ არეს. იგი ახდენს არა ტერიტორიის ოკუპაციას და სასარგებლო მიწის ფართის დღეს ასე გავრცელებულ, უაზრო და მავნებლურ მიტაცებას, არამედ სიღრმისეულ ურთიერთობაში შედის გარემოსთან, "ეძიებს" მასთან კონტაქტის მრავალნაირ გზებს. ამავე დროს, მას საკუთარი, ძლიერ ხატოვანი, კონსტრუქციულ-ტექტონიკურად და პლასტიკურადაც მეტყველი სტრუქტურა გამოარჩევს, რომელსაც ახასიათებს ლოგიკური სიცხადე; ფორმათა მკაფიოებისა და თანადროულად, საკმარისად მძაფრი, მრავალმიმართულებიანი, თუმც კი მოწესრიგებული დინამიზმის შთამბეჭდაობა; პროექტშიც კი - ემოციური ზემოქმედების დიდი ძალა. მასშივე ჩანს მასშტაბურობისა და სიმსუბუქის ჩინებულად გააზრებული შეხამება; მასისა და სიხალვათის ბალანსი; "გაშლილი" სივრცითობა და ტრანსპარანტულობა. ამასთან ერთად, ვერტიკალურ დგართა ზემსწრაფველი, ზრდადი "ანტიგრავიტაციულობისას", გამონაკვთულ ჰორიზონტალურ და დიაგონალურ ფორმათა მოხდენილი თამაში აქ მკაცრად გააზრებულ ფუნქციურობასთანაა შეკავშირებული. ხაზგასასმელია, რომ "სუპერთანამედროვე" იერთან ერთად, ამოიკითხება ტრადიციასთან სრულიად არაპირდაპირი, მაგრამ საგულისხმო მიმართება: ეს გამოიხატება "ბანისებურ" სასარგებლო ფართთა დატვირთვაში; თავის მხრივ, კოშკისებურ, თუ ღია ტიპის, გარკვეულწილად "გამჭვირვალების" მატარებელ, ტრადიციულ ნაგებობებთან, ცხადია, მხოლოდ შორეულ მიმართებაში; ასევე აღნაგობის კრისტალურ სრულყოფაში და სხვა. მთავარი კი მაინც გარემომცველ ბუნებაში კულტურისმიერი საწყისის ისეთი დამკვიდრებაა, რომელიც ბუნებისავე სილამაზესა და სასიცოცხლო ძალას მეტი სისრულითაც კი შეგვაგრძნობინებს. ამ თვალსაზრისით, ნაგებობის პროგრამული ეკოლოგიურობა ერთ-ერთი არსებითი მახასიათებელია. მართლაც, პარკის გაშენება აქ არის არა თანამდევი, თუ დამატებითი, არამედ გადამწყვეტთაგანი ამოცანა, არქიტექტურის სრულფასოვანი არსებობის და ფუნქციონირების აუცილებელი პირობა.

ყოველ ამ მახასიათებელში ბუნებრივია, ჩანს უნივერსალური პრინციპები, მაგრამ პროექტის ავტორთა ნაღვაწში ამოიკითხება ჩვენშიც არსებულ ბრწყინვალე მაგალითთა საფუძვლიანი ცოდნა და განცდაც. მიმაჩნია, რომ ასეთი ტიპის შენობები გაცილებით უკეთ ისისხლხორცებენ ტრადიციის ყველაზე ფასეულ ნიშნებს, ვიდრე "ზუსტ გამოცდილებას" ზედმიწევნით და ზედმეტად მიდევნებულნი.

ვფიქრობ, ძალიან მნიშვნელოვანია ასევე, შენობის ფართო ქვედა სიბრტყეებიც, რომლებიც პირდაპირ "ითხოვს" სადა, მაგრამ მობილური ორნამენტის ელექტრონულ ვერსიებს. ზეაღმართულ ფორმათა დაგვირგვინებას, შესაძლოა, უფრო ეფექტურსა და ეკონომიკურადაც მეტად რენტაბელურს გახდიდა კოსმოსურ ხომალდთა დარი "იალქანისებრი" მზის ბატარეები, რომლებიც თავისებურ გადაძახილსაც განახორციელებდა დგართა მაერთებელი კონფიგურაციების მიკროსტრუქტურებთან. აკადემიკოსი გ. ჩახავა აღნიშნავს: "მჯერა, მოვიდა დრო ახალი სივრცობრივი წესრიგისა, სადაც შემოქმედებითი თავისუფლება შეზღუდული არ იქნება, შემოქმედება კი სივრცობრივი წესრიგის ფარგლებს არ გასცდება და ქალაქს ვიზუალურად არ დაანაგვიანებს".

დარწმუნებული ვარ, რომ ახალი იდეა ძალიან პერსპექტიულია და როგორც ხელისუფლების, ისე საზოგადოების მხრივ დიდ ყურადღებასა და მხარდაჭერას იმსახურებს.

ბოლოს და ბოლოს, ჩვენშიც ხომ უნდა შეიქმნას XXI საუკუნის შესაფერისი უნივერსალური მონაპოვრები ხუროთმოძღვრებაში. მსგავსი უნარი საქართველოს ყველაზე რთულ ვითარებებშიც კი, არაერთგზის გამოუვლენია საუკუნეების მანძილზე.


## ისარგებლეთ ლაი-ლაით & იკითხეთ 24 საათი

1 აქციაში მონაწილეობის მიღება შეუძლია „24 საათი"-ს ყველა მკითხველს

2 შეაგროვეთ სამი ქვემოთ მონიშნული კუპონი და მიიღეთ საჩუქრად ლაი-ლაის სიმ-ბარათი

3 კუპონები ამოჭერით მითითებულ ადგილას და შეაგროვეთ ისე, რომ დაკომპლექტდეს ნუმერაცია 1, 2, 3 (მნიშვნელობა არ აქვს რომელი თარიღის გაზეთიდანაა ამოჭრილი კუპონი).

4 კუპონები წარადგინეთ ჯეოსელის თბილისისა და რეგიონების სარეალიზაციო წერტილებში ან სადილერო ქსელში. თქვენ ისედით 10 ლარს ისევ თქვენი სასაუბრო დროისთვის და იღებთ ლაი-ლაის სრულ სასტარტო პაკეტს (ლაი-ლაის სიმ-ბარათი + 10 ლარის ღირებულების სასაუბრო დრო)

24 საათი 2 ლაი-ლაი

აქცია გრძელდება: 2005 წლის 1 თებერვლიდან 1 აპრილამდე.

კუპონების განაღდება შესაძლებელია: 2005 წლის 15 აპრილამდე.

სიმ-ბარათის აქტივაციის ბოლო ვადაა: 2005 წლის 30 აპრილი.

| ქალაქი | მისამართი |
|---|---|
| თბილისი | რუსთაველის გამზ. №38 |
| | კოსტავას №37 |
| | ბაქოს №2 |
| | შეშელიძის №3 |
| | ჯავახეთის №44 |
| | ქ. წამებულის გამზ. №75 |
| | კინოთეატრი "რუსთაველი" |
| | გამსახურდიას გამზ. №24 |
| | რუსთაველის გამზ. №31 |
| | მარჯანიშვილის №19 |
| | წერეთლის გამზ. №141ა |
| | ყაზბეგის გამზ. №41 |
| | მ.კოსტავას №22 |
| | მ.კოსტავას №7 |
| ზესტაფონი | ჭანტურიას № 2 |
| ქუთაისი | თამარ მეფის №25 |
| სამტრედია | რუსთაველის № 27 |
| სენაკი | რუსთაველის № 211 |
| ზუგდიდი | კოსტავას №5ა |
| ხობი | დადიანის № 238 |
| ფოთი | 26 მაისის № 2 |
| ბათუმი | ერას №54/62 |
| ქობულეთი | აღმაშენებლის №135 |
| ოზურგეთი | ჭავჭავაძის № 6 |
| ჩოხატაური | დუმბაძის №7 |
| ლანჩხუთი | თავისუფლების №2 |
| რუსთავი | ხალხთა მეგობრობის №10 |
| მარნეული | რუსთაველის №37 |
| ბოლნისი | ს.-ს. ორბელიანის № 44 |
| თელავი | კოსტავას № 3 |
| ყვარელი | ილია ჭავჭავაძის №64 |
| ლაგოდეხი | 26 მაისის №14 |
| წნორი | სტალინის №11 |
| დედოფლისწყარო | რუსთაველის № 4 |
| მცხეთა | სამხედროს №11 |
| კასპი | სტალინის №98 |
| გორი | სტალინის №15 |
| ცხინვალი | ცელნიკოვის №211/39 |
| ხაშური | რუსთაველის №16 |
| ბორჯომი | რუსთაველის № 121 |
| ახალციხე | ნათენაძის № 76 |
| ახალქალაქი | კლარა ცეტკინის №77 |

ფეხბურთი

# ალენ ჟირესი: „ჩელსი" არ შეცდება, თუ ასათიანს წაიყვანს"

მიხეილ აბაიშვილი

ფეხბურთში საქართველოს ეროვნული ნაკრები სეზონს 9 თებერვალს ამხანაგური მატჩით დაიწყებს - ლიტვის ეროვნულ გუნდს უმასპინძლებს. გუშინ ნაკრების მწვრთნელმა პრესკონფერენცია გამართა. ჟირესმა წარმოგვიდგინა იმ ფეხბურთელთა სია, რომლებიც ამ მატჩისთვის გამოიძახა.

**მეკარეები: აკაკი დევაძე ("თბილისი"), გიორგი ლომაია ("ხიმკი" რუსეთი);**

**მცველები: კახა მჟავანაძე ("ანჟი", რუსეთი), ალექსანდრე ამისულაშვილი ("დინამო" კიევი), გიორგი შაშიაშვილი ("დინამო" თბილისი), გივი კვარაცხელია ("თბილისი"), დავით ოდიკაძე ("თბილისი"), ლაშა სალუქვაძე ("დინამო" თბილისი);**

**ნახევარმცველები: ლევან მაღრაძე ("ქსანტი", საბერძნეთი), ზურაბ მენთეშაშვილი ("სკონტო", ლატვია), დავით კვირკველია ("დინამო" თბილისი), ალექსანდრე გოგობერიშვილი (უგუნდოდ), მალხაზ ასათიანი ("ლოკომოტივი" მოსკოვი), გოგიტა გოგუა ("თბილისი"), გიორგი ქინქლაძე ("ანორთოსისი", კვიპროსი);**

**თავდამსხმელები: გიორგი დემეტრაძე ("მეტალურგი" დონეცკი), ლაშა ჯაკობია ("მეტალისტი" ხარკოვი), ვასილ გიგიაძე ("ტავრია" სიმფეროპოლი), მიხეილ აშვეთია ("ლოკომოტივი", მოსკოვი).**

გამოძახებული იყო კიდევ ორი ფეხბურთელი, ჰოლანდიის "ტვენტეს" ქართველი ნახევარმცველი გოგა გახოკიძე და მენთეშაშვილის თანაგუნდელი "სკონტოში", ლევან კორღალიძე. თუმცა, მათ ტრავმები მიიღეს და ლიტვასთან ვერ ითამაშებენ. ჟირესმა ისიც განმარტა, თუ რატომ არ მოხვდნენ გამოძახებულთა რიცხვში გერმანიის, იტალიისა და შოტლანდიის კლუბების ქართველი ლეგიონერები.

"ჩემს მიერ მოწვეულთა შორის ახალი სახელებია, თუმცა, ეს არ ნიშნავს,



გოგიტა ბუხაიძის ფოტო

*ალენ ჟირესი: "ეროვნული გუნდის ხერხემალი ისეთივე იქნება, როგორიც გასულ წელს".*

რომ ნაკრების ძირითადი ბირთვი იცვლება. ეროვნული გუნდის ხერხემალი ისეთივე იქნება, როგორიც გასულ წელს. ძირითადი შემადგენლობის ბევრი ფეხბურთელი არ გამოვიძახე. ამჟამად გერმანიაში, შოტლანდიაში და იტალიაში ეროვნული ჩემპიონატები მიმდინარეობს. ამ ქვეყნებში მოთამაშე ქართველ ლეგიონერებს შემოწმება არ სჭირდებათ. თან, ვითვალისწინებ მათი კლუბების ინტერესებსაც. ნაკრების სამოქმედო სტრატეგია იგივე რჩება. ლიტვასთან თამაშში გამოვცდით უახლოეს რეზერვს, საიდან შევსებასაც ოფიციალური თამაშებისთვის ველით", - განაცხადა ჟირესმა.

გახოკიძისა და კორღალიძის ნაცვლად ჟირესმა ორი ახალი ფეხბურთელი - გიორგი ქინქლაძე და დავით ოდიკაძე მიიწვია, თუმცა, ქინქლაძეს მაინცდამაინც "ახალს" ვერ უწოდებ.

"ოდიკაძის მიწვევას ისედაც ვაპირებდი. მას საქართველოს ჩემპიონატის მატჩებიდან ვიცნობ და საკმაო სიმპათიებსაც იმსახურებს. ქინქლაძის თამაში არ მინახავს, თუმცა, ვიცი, რომ ეროვნულ ნაკრებში დიდი გამოცდილება დაუგროვდა და მაღალი კლასის ფეხბურთელია. შეკრებაზე და თამაშზე მათ კიდევ ერთხელ დავაკვირდები", - თქვა მწვრთნელმა.

რაც შეეხება მომავალ მეტოქეს, მასზე ჟირესი მაინცდამაინც დიდ ინფორმაციას არ ფლობს. იხუმრა კიდეც, ლიტვურ კალათბურთზე უფრო მეტი მსმენია, ვიდრე ფეხბურთზეო.

"ინფორმაცია, რაც ლიტვის ნაკრებზე მაქვს, საკმაოდ მწირია. თუმცა, ამ ქვეყნის ნაკრების ფეხბურთელები თამაშობენ "დამფერმლაინში", "ჰალმსტადში", მოსკოვის "დინამოში", რაც იმაზე მეტყველებს, რომ ნაკრებიც ძლიერი ეყოლება. ყოველ შემთხვევაში, იმ დონის გუნდი ნამდვილად იქნება, რომ კარგი სპარინგპარტნიორობა გაგვიწიოს", - ასე შეაფასა მომავალი მეტოქე ჟირესმა.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა რევაზ არველაძემ განაცხადა, რომ ფედერაცია კმაყოფილია ფრანგი სპეციალისტის მუშაობით და მასთან კონტრაქტის გახანგრძლივებას კიდევ ორი წლით გეგმავს.

"ჩემამდე ასეთი შემოთავაზება ჯერ არ მოსულა. წინასწარ საუბარი იმაზე, გავაგრძელებ თუ არა კონტრაქტს, მიზანშეწონილად არ მიმაჩნია. თუ შემოთავაზება იქნა, რატომაც არა? ძალიან მომწონს აქაური საფეხბურთო მეურნეობაც და პირობებიც, რომელშიც ვმუშაობ", - თქვა ჟირესმა. საქართველოში ჟირესის მუშაობის ერთი წლის განმავლობაში ჩვენი ქვეყნის ეროვნულმა გუნდმა უეფას სანაკრებო რეიტინგში 9 საფეხურით აიწია და ამჟამად 30-ე პოზიციაზეა. ფრანგმა ხუმრობით თქვა, თუ კიდევ ორ წელიწადს დარჩება და პროგრესის ტემპებს შეინარჩუნებს, საქართველოს ნაკრები მე-12 პოზიციამდე ამაღლდება.

საქართველოს ნაკრების ფლეიმეიკერით მალხაზ ასათიანით ლონდონის "ჩელსი" დაინტერესდა. გავრცელდა ინფორმაცია, რომ "არისტოკრატთა" მესვეურები თბილისში ჩამოსვლას და საქართველო-ლიტვის მატჩზე ასათიანის დაკვირვებას აპირებენ.

"ამის თაობაზე პირადად მე არაფერი ვიცი. ისე, 9 თებერვალი ასათიანზე დასაკვირვებლად მაინცდამაინც კარგი დრო არ არის. რუსეთის ჩემპიონატში შესვენებაა და "ლოკომოტივმა" ახლახან დაიწყო მომავალი სეზონისთვის მომზადება. ასე რომ, ასათიანი ჯერ არ არის საუკეთესო ფორმაში. თუმცა, მალხაზი მართლაც უმაღლესი კლასის ფეხბურთელია. მას დიდი მომავალი აქვს. თუ "ჩელსის" წარმომადგენლები ჩამოვლენ და დააკვირდებიან, ნამდვილად არ შეცდებიან", - ასეთია ჟირესის აზრი ასათიანზე.

ლიტვასთან მატჩისწინა შეკრება 6 თებერვალს დაიწყება.

# სოლარი კონტრაქტით ბედნიერია

სანტიაგო სოლარი დღის კაცია. ამიტომ სულაც არ არის გასაკვირი, რომ მადრიდის "რეალის" ვარჯიშის შემდეგ ჟურნალისტებმა პრესკონფერენციაზე სწორედ არგენტინელი ნახევარმცველის მოყვანა მოითხოვეს. ფეხბურთელმა "რეალთან" განახლებული კონტრაქტის პერიპეტიებზე ისაუბრა. არადა, სულ ერთი კვირის წინათ სოლარი შეწუხებული სახით პასუხობდა ჟურნალისტთა შეკითხვებს, პრესკონფერენციაზე კი სოლარი ბედნიერი იყო. ის თავის საყვარელ კლუბში კიდევ ოთხი წლით რჩება.

**- ახალი კონტრაქტი გაფორმებულია. კმაყოფილი ხარ?**

- დიახ, კმაყოფილი გახლავართ. იმედი მაქვს, მეორე მხარეც კმაყოფილია. ვფიქრობ, ამ შეთანხმებით ორივე მხარე კმაყოფილი უნდა იყოს.

**- სულ ახლახან განაცხადე, რომ კლუბის დუმილი ფიქრის საფუძველს იძლევა, მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ ყველაფერი შეიცვალა. ამას როგორ ახსნი?**

- ისევე, როგორც იმას, რომ ვთქვი, საფინალო სასტვენამდე თამაში არ მთავრდება-მეთქი. ასეთია ფეხბურთი. იქ მუდამ რაღაც იცვლება.

**- როგორ ფიქრობ, შენი კონტრაქტის გაგრძელებაში რომელმა ფაქტორმა ითამაშა გადამწყვეტი როლი?**

- ვფიქრობ, აქ მოვლენების მთელი სერია იყო. ჩემი აზრით, მათ შორის მთავარი ის ხუთი წელია, რომელიც აქ გავატარე. ასევე ფუნდამენტური იყო გულშემატკივართა სიყვარული, რომელსაც ყოველთვის ვგრძნობდი, როცა მინდორზე გამოვდიოდი. აგრეთვე გადამწყვეტი იყო თავად პრეზიდენტის სურვილი. კონტრაქტის გაგრძელებაზე ბევრმა სხვა ფაქტორმაც იმოქმედა. ჩემი ვარაუდით, კლუბი ასევე დაინტერესდა მთავარი მწვრთნელისა და სპორტული დირექტორის აზრით... ერთად აღებული ყველა ეს ფაქტორი განსაზღ-



*სანტიაგო სოლარი: "მე ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელად მიმაჩნია თავი".*

ვრავს ახალი ფეხბურთელის შესყიდვის ან ფეხბურთელის მოქმედი კონტრაქტის გაგრძელების საკითხს.

**- კომპრომისზე წასვლა რომელ მხარეს მოუხდა?**

- ვფიქრობ, ეს მაინცდამაინც სწორი ნათქვამი არ არის. მთავარი უფრო იმის სურვილია, რომ ორივე მხარე კმაყოფილი დარჩეს. ორ მხარეს შორის ურთიერთობა მაშინ ყალიბდება, როცა ორივე მოგებაში რჩება. წინააღმდეგ შემთხვევაში რომელიმე მათგანი ბოლომდე ბედნიერი არ იქნება.

**- შენ "ბარსელონასგან" წინადადება გქონდა?**

- არა. მქონდა მხოლოდ "მანჩესტერ იუნაიტედისგან", რომელიც ჩემით სეზონის დასაწყისშიც იყო დაინტერესებული.

**- ერთი წუთით მაინც სხვა გუნდში წარმოიდგინე თავი?**

- ადამიანმა არასოდეს არ იცის, რა მოხდება მომავალში. მე მხოლოდ მომდევნო მატჩებზე ვფიქრობდი. საერთოდ, შეგიძლია, უბრალოდ, აწონ-დაწონო და ანალიზი გაუკეთო არსებულ ვარიანტებს. მეტი არაფერი.

**- რას მოელი შენი კარიერის ახალი ეტაპისგან?**

- შევეცდები, თავდაჯერებულობა შევინარჩუნო და მადრიდის "რეალისთვის" შესაფერის დონეზე ვიყო. ამასთან, მინდა, ჩემი თამაშით გულშემატკივართა სიყვარულს ვუპასუხო.

**- შეიძლება ფეხბურთელმა ცხრა წელი მოითმინოს ერთი და იგივე გუნდში და ამასთან იცოდეს, რომ სტაბილურად არ არის ძირითადი შემადგენლობის მოთამაშე. როგორ უძლებ ამ ყველაფერს?**

- ფეხბურთელს თამაში შეუძლია არა მხოლოდ პირველი წუთებიდან, არამედ შეცვლაზეც. მე ყოველთვის ვამბობდი, რომ დიდ გუნდებს არ შეუძლიათ ითამაშონ 11 ფეხბურთელით. მათ ყოველთვის ჰყავთ 15, 16, 18 ან 20 ფეხბურთელი, რომლებსაც ნებისმიერ მომენტში შეუძლიათ ძირითად შემადგენლობაში ჩართვა. წინააღმდეგ შემთხვევაში ძნელი წარმოსადგენია ჩემპიონი გახდე.

**- მაგრამ ხომ ძნელია, მუდმივად ძირითად შემადგენლობაში ადგილის დამკვიდრებისთვის იბრძოლო?**

- მე ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელად მიმაჩნია თავი. წინააღმდეგ შემთხვევაში მინდორზე არ გამოვიდოდი. ჩემი აზრით, მინდორზე იმიტომ კი არ მიშვებენ, რომ დრო გაიყვანონ, არამედ გუნდის გაძლიერების მიზნით და იმის გამო, რომ მე ძირითად შემადგენლობაში თამაში შემიძლია. ასე აღვიქვამ ამ ყველაფერს. ასევე უნდა განეწყონ ჩემი პარტნიორებიც, რადგან ეს ჯილდოების მოპოვებაში დაგვეხმარება. მესმის, რომ ძირითადი შემადგენლობის ასპროცენტიან წევრად თავის დასახელება არ შემიძლია. თუმცა ძირითად შემადგენლობაში ბევრ მნიშვნელოვან ტურნირზე მითამაშია.

**- ვარჯიშის წინ შენმა პარტნიორებმა მოგილოცეს. სასიამოვნო იყო?**

- ისინი ფანტასტიკური ადამიანები არიან. ჩვენს შორის შესანიშნავი ურთიერთობაა. მე მესმოდა და ვკითხულობდი მათ აზრს ჩემი სიტუაციის შესახებ. მათი დიდი მადლობელი ვარ.

# ნარინჯისფერი წარმატება

გიგა გურასაშვილი

*თბილისის მერიის სპორტის სამსახურში მოსულ ათი-თერთმეტი წლის ბიჭებს ნარინჯისფერი კაშნეები ჰქონდათ შემოხვეული და ფეხბურთზე ლაპარაკობდნენ. ერთს თასი ეჭირა ხელში. თასი უკრაინიდანაა. კაშნეებიც.*

"რამდენჯერმე დაგვირეკეს, ტრუსკავეცში მინიფეხბურთში საერთაშორისო ტურნირს ვაწყობთ და გვინდა, თქვენმა ბიჭებმაც ითამაშონო, - მიყვება ოლიმპიური მზადების სპორტული ცენტრის აღსაზრდელთა მწვრთნელი ბაგრატ ჩადუნელი. - ხომ იცით, წასვლა დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული. ამიტომ თავიდან ვყოყმანობდით. მერიის სპორტის სამსახურმა ხარჯები საკუთარ თავზე აიღო".

ტრუსკავეცში ჩასულ პატარა ფეხბურთელებს არ უნანიათ. მასპინძლებს ბრწყინვალე პირობები შეუთავაზებიათ



ვახო ბესელიას ფოტო

და ტურნირიც გახურებულა. ტურნირში რვა გუნდი მონაწილეობდა: სამი პოლონური, ოთხი მასპინძლებისა და ჩვენ. ქართველებმა ოთხი მატჩი ჩაატარეს, სამი მოიგეს, ერთი კი წააგეს. თუმცა, გულდასაწყვეტი არაფერია, რადგან მეტოქეები ორი-სამი წლით უფროსები იყვნენ.

ბიჭებს უკრაინული პერიპეტიების გახსენება ვთხოვე: აუ, იცი, ვის ვეთამაშეთ და რა ჯანიანები იყვნენო?

ჩვენი გუნდი მეტქოეებს ცხრა ფეხბურთელით ეჯიბრებოდა. ამ დროს მათ გუნდებში 16 მოთამაშე ჰყავდათ. ასე რომ, შეცვლაზე და დასვენებაზე ლაპარაკიც ზედმეტია.

სამაგიეროდ ყველაზე მეტ ქებადიდებას ჩვენი სპორტული ცენტრის აღსაზრდელები იმსახურებდნენ. თურმე, ბავშვებს პირობა დაადებინეს, მომავალში კიდევ გვეწვიეთ, ყველამ ნახოს, როგორ უნდა ფეხბურთის თამაშიო. აი, ისინიც: ლევან ტყეშელაშვილი (მეკარე), ირაკლი მესხი (კაპიტანი), ლუკა მაღრაძე, ლაშა ომანიძე, ნიკა კაჭარავა, ნიკა ახვლედიანი, გაგა მურცხალაძე, ნიკა მამულაშვილი, გიგა ჯავახიშვილი.

პოლონელებსაც იგივე უთხოვიათ: ზაფხულში ტურნირს ვაწყობთ და, კარგი იქნება, თუ ჩამოხვალთო. რაც შეეხება თასს, იგი პირველი ადგილისთვის ყოფილა განკუთვნილი, მაგრამ ტურნირის ორგანიზატორებს უთქვამთ, მიუხედავად იმისა, რომ მეორე ადგილზე გახვედით, თასს თქვენ უფრო იმსახურებთო და... გამარჯვებული გუნდისთვის კი სხვა თასი გადაუციათ.

ერთი სიტყვით, უკრაინიდან საუკეთესო გუნდის სახელით დაგვიბრუნდნენ ოლიმპიური მზადების სპორტული ცენტრის აღსაზრდელები. თუმცა, ეს ერთადერთი მონაგარი როდია: ლევან ტყეშელაშვილი ტურნირის საუკეთესო მეკარედ დასახელდა, ხოლო ლაშა ომანიძეს საუკეთესო ტექნიკისთვის გადაეცა პრიზი.

გუშინდელი თავყრილობის მიზეზი კი ის იყო, რომ მერიის სპორტის სამსახურის ხელმძღვანელს გიორგი უდესიანს საკუთარი თვალით ენახა პატარა ფეხბურთელები. უთხრა კიდეც: მეამაყება, რომ თქვენზე დიდებს აჯობეთ და რაკი საყოველთაო მოწონება დაიმსახურეთ, ზაფხულშიც გაგიშვებთო.

უდესიანს მერიის სპორტის სამსახურიდან ბავშვები ხელცარიელი არ გაუშვია - საჩუქრად ბურთები გადასცა, ხოლო მწვრთნელს შეჰპირდა, აუცილებლად დაგაფინანსებთო. ყველაზე კარგი საჩუქარიც ალბათ ეს არის.

ინფოთეკა

### პანდიანი იტალიის ნაცვლად ინგლისში გაუშვეს

ესპანურმა კლუბმა "დეპორტივომ" თავისი ფორვარდი ვალტერ პანდიანი იჯარის წესით "ბირმინგემ სიტის" გადაულოცა. შეთანხმება ძალაშია მიმდინარე სეზონის დასრულებამდე. თავდაპირველად ვარაუდობდნენ, რომ ფორვადი, ასევე იჯარით, იტალიურ "ფიორენტინაში" გადავიდოდა, თუმცა, გარიგება ჩაიშალა.

### "რომა" აივსო პორტუგალიელებით

იტალიურმა კლუბმა "რომამ" გერმანულ "ჰანოვერისგან" პორტუგალიელი აბელ ჰავიერი შეიძინა. 32 წის ფეხბურთელი ადრე თამაშობდა ისეთ კლუბებში, როგორიცაა "ბარი", "გალათასარაი", "ევერტონი" და "ლივერპული".

### "საუთჰემპტონმა" ორი ფეხბურთელი შეიძინა

ინგლისურმა კლუბმა "საუთჰემპტონმა" ხელი მოაწერა კონტრაქტს "ნიუკასლის" ყოფილ მცველ ოლივიე ბერნარდსა და სენეგალელ ფორვარდ ანრი კამარასთან, რომელიც, "ვულვერჰემპტონისგან" გასხვისებული, იჯარის წესით "სელტიკში" თამაშობდა. კამარა "საუთჰემპტონშიც" იჯარით გადავიდა. რაც შეეხება ბერნარდს, იგი კლუბში ხუთი თვე ითამაშებს.

### ნაფტი გაასხვისეს

ინგლისურმა კლუბმა "ბირმინგემმა" ნახევარმცველი მედჰი ნაფტი იჯარით გადასცა ესპანურ "რასინგს".

### ფერგიუსონი "რეინჯერში" დაბრუნდა

შოტლანდიელმა ნახევარმცველმა ბარი ფერგიუსონმა ხელი მოაწერა კონტრაქტს შოტლანდიურ კლუბ "რეინჯერსთან", რომლიდანაც 18 თვის წინ გადაიდა ინგლისურ "ბლექბერნში". ახალი შეთანხმება ხუთწელიწადნახევარს ითვალისწინებს. სატრანფერო თანხამ 4.5 მილიონი გირვანქა სტერლინგი შეადგინა.

### მონტოიას კვლავაც მკურნალობენ

დეკემბერში მძარცველებისგან მძიმედ დაჭრილი კოლუმბიელი მწვრთნელი ლუის ფერნანდო მონტოია გუშინ გონს მოვიდა. გასულ კვირას მან გრძნობა დაკარგა სერიოზული ინფექციის გამო. მანამდე სპეციალისტის მდგომარეობა ნელ-ნელა უმჯობესდებოდა, მაგრამ გასულ კვირას ტემპერატურამ 42 გრადუსს მიაღწია.

"ლუის ფერნანდო მონტოია კვალავაც ექიმთა მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება. დღეს მას გონება დაუბრუნდა,"- ვკითხულობთ ექიმის მიერ გუშინ გაკეთებულ განცხადებაში.

### "პორტუს" მწვრთნელის თანამდებობა ვაკანტურია

"როიტერსის" ცნობით, გასული სეზონის ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებულმა პორტუგალიურმა კლუბმა "პორტუმ" მთავარი მწვრთნელი ვიქტორ ფერნანდესი თანამდებობაზე დანიშვნიდან ექვს თვეში გაუშვა პენსიაზე. ფიქრობენ, რომ გუნდს "სეტუბალის" თავკაცი ხოსე კუსეირო ჩაუდგება სათავეში, თუმცა, "პორტუს ხელმძღვანელობა უარს ამბობს, კომენტარი გაუკეთოს ამ ინფორმაციას.

გასული წლის ივნისში "პორტუმ" მწვრთნელად დანიშნა იტალიელი ლუიჯი დელ ნერი, თუმცა, სრულიად მოულოდნელად, აგვისტოში, პორტუგალიის ჩემპიონატის დაწყებამდე გაათავისუფლა. მასობრივი საინფორმაციო წყაროების გაცხადებით, კლუბის ხელმძღვანელობას მობეზრდა მწვრთნელის ხშირი ვიზიტები მშობლიურ იტალიაში.

ლუიჯის წასვლის შედეგ, გასული წლის აგვისტოში, კლუბმა ფერნანდესთან გააფორმა ორწლიანი კონტრაქტი. თუმცა, როგორც ხედავთ, ამჟამად "პორტუ" მწვრთნელის გარეშეა.

ფერნანდესისთვის კლუბის გადაწყვეტილება მოულოდნელი აღმოჩნდა: "სიმართლე გითხრათ, არ ველოდი, რომ გამათავისუფლებდნენ. ჩემთვის გაუგებარია ხელმძღვანელობის ამ საქციელის მიზეზი. მართალია, მე რომ მოვედი, გუნდს პირველი ადგილი ეკავა, ჩემი გათავისუფლების დროს კი შედეგები არც მთლად სახარბიელოა, მაგრამ წარუმატებლობას აუცილებლად მოყვება წარმატება. ეს ჩვეულებრივი ამბავია ფეხბურთისთვის".

ინფოთეკა

### ქვეყნები ევროპის ჩემპიონატის მასპინძლობისთვის იბრძვიან

უეფას გადაწყვეტილებით, 2012 წლის ფეხბურთში ევროპის ჩემპიონატის მასპინძელი ქვეყნის ვინაობა 2006 წელს გახდება ცნობილი. პრეტენდენტებს უკვე 2005 წლის თებერვალში გაეგზავნებათ მოთხოვნათა სია, რომლიც მიხედვითაც კონკურსის მონაწილეებმა დოსიე უნდა წარადგინონ.

### ტაისონი კვლავ გამოვა რინგზე

იტყობინებიან, რომ კრივში მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი სუპერმძიმე წონით კატეგორიაში მაიკ ტაისონი, რომელიც უკანასკნელი სამი კვირის მანძილზე ცნობილი მწვრთნელის ბადი მაკგირტის დარბაზში ვარჯიშობს, რინგზე გამოსასვლელად ემზადება.

"მაიკი ვარჯიშობს, კარგ ფორმაშია, ახალი ბრძოლისთვის ემზადება. მოკრივე უკვე ორ თვეში იქნება შეხვედრისთვის მზად, თუ, რა თქმა უნდა, თავად მოისურვებს," - განაცხადა მაკგირტმა. მან ასევე დასძინა, რომ ტაისონის მეტოქის ვინაობა ჯერჯერობით უცნობია.

### დიუგარი ფეხბურთს ემშვიდობება

საფრანგეთის ნაკრების ყოფილი თავდამსხმელი კრისტოფ დიუგარი კარიერას ამთავრებს. როგორც თავად 32 წლის ფეხბურთელმა განუცხადა ფრანგულ პრესას, ის დიდი ფეხბურთიდან მიდის, მიუხედავად იმისა, რომ ცოტა ხნის წინათ პორტუგალიურ "ბენფიკასგან" მიიღო შეთავაზება.

"სიმართლე გითხრათ, არ შემიძლია საკუთარი თავი ვაიძულო და ახალ ჩემპიონატზე გავემგზავრო, შევისწავლო ახალი უცხო ენა. მე ძველ თაობას ვეკუთვნი. კონკრეტული გეგმები არ მაქვს. ვაპირებ დაველოდო, სანამ ჩემი ყველა მეგობარი კარიერას არ დაამთავრებს. შემდეგ კი რამეს მოვიფიქრებ," - განახადა დიუგარიმ.

### ბექჰემს კონტრაქტის დახევა მოუწევს

"Sunday mirror"-ის განცხადებით, "რეალის" მთავარმა მწვრთნელმა ვანდერლეი ლუშემბურგომ დევიდ ბექჰემს ფილმში გადაღება აუკრძალა.

ინგლისის ეროვნული ნაკრების კაპიტანმა გასული წლის შემოდგომაზე ხელი მოაწერა კონტრაქტს კინოკომპანიასთან ფილმში "გოლი" მონაწილეობის მისაღებად. ნახევარმცველი გადაღებების დროს გუნდისგან შორს უნდა ყოფილიყო. თუმცა, ბრაზილიელმა სპეციალისტმა ბოლო მომენტში დათმობაზე წასვლა გადაიფიქრა, რადგან, მისი აზრით, ფეხბურთელისთვის კარიერა პირველ ადგილზე უნდა იდგეს.

წყაროს ცნობით, ბექჰემი მწვრთნელის გადაწყვეტილებამ ძალიან გაანაწყენა, რადგან მან თითქმის უკვე მოირგო თავისი როლი. გარდა ამისა, კონტრაქტი ჰქონდა გაფორმებული და მისი დარღვევა არ უნდოდა. მკაცრი დისციპლინის სიყვარულით ცნობილმა ლუშემბურგომ კი ნახევარმცველის აზრი არ გაითვალისწინა, პირიქით, აგრძნობინა, რომ არ აპირებს იაროს ფეხბურთელების კაპრიზებზე, რომელიც უარყოფითად იმოქმედებს "რეალის" თამაშზე.

სხვადასხვა სარეკლამო რგოლში მონაწილეობის გარდა, დევიდმა უკვე ითამაშა სრულმეტრაჟიან ფილმში "ითამაშე ბექჰემივით", თუმცა, ეპიზოდური როლი შეასრულა.

შეგახსენებთ, ჰოლივუდმა, პირველად თავის ისტორიაში, ხელი მოკიდა ფეხბურთისადმი მიძღვნილი ფილმის გადაღებას. მისი ბიუჯეტი 100 მილიონ დოლარს შეადგენს. პროდიუსერმა ლორენს ბენდერმა, რომელიც კვენტინ ტარანტინოსთან მუშაობდა, პირობა დადო, რომ ყველაზე პოპულარულ თამაშზე "უძლიერეს ფილმს" შექმნიდა.

კინოტრილოგია მოგვითხრობს ლოსანჯელესელ ფეხბურთელზე, რომლიც ინგლისურ კლუბ "ნიუკასლ იუნაიტედში" ხვდება. ფილმის სამივე ნაწილში ბექჰემს საკუთარი თავი უნდა განესახიერებინა. ავტორთა ჩანაფიქრით, მადრიდის "რეალის" ნახევარმცველისთვის კომპანიონობა უნდა გაეწიათ ზინედინ ზიდანსა და რაულ გონსალესს.

რაგბი

# ნაკრები იცვლება და ივსება

## შემადგენლობა, შესაძლოა, კიდევ შეიცვალოს

პაატა თოთაძე

პორტუგალიასთან მატჩის მოახლოებასთან ერთად მატულობს ცვლილებები საქართველოს ნაკრებში. ორი კვირის წინ დაწყებული ტრავმიანობა დღესაც გრძელდება. პირველად ნაკრებს პალიკო ჯიმშელაძე გამოაკლდა - კუნთი გაუწყდა. მერე ზვიად მაისურაძის ჯერი დადგა. ჯიმშელაძის შემცვლელად მწვრთნელებმა დათო კიკნაძე შეიგულეს, მაისურაძის შემცვლელის მოძებნა კი გაჭირდა. თავდაპირველად მწვრთნელები აპირებდნენ, გრეგუარ იაშვილზე შეეჩერებინათ არჩევანი, მაგრამ მორაგბის მოუცლელობის გამო განზრახვაზე ხელი აიღეს. იგივე მოხდა გია ლაბაძის შემთხვევაშიც. მერე ამოტივტივდა ილო მაისურაძის კანდიდატურა, მაგრამ მას ტრავმამ შეუშალა. ბოლოს არჩევანი გაკეთდა გია ჩხაიძეზე და საპორტუგალიო რაზმშიც მისი გვარი ჩაიწერა. თითქოს ყველაფერი გაირკვა, მაგრამ...

მორაგბეთა დაშავება საფრანგეთშიც გაგრძელდა, სადაც ჩვენი გუნდი შეკრებაზეა. ამ შეკრებაზე წავიდა მწვრთნელთა მიერ გამოძახებული ყველა მოთამაშე, ავქსენტი გიორგაძის გარდა. უფრო ზუსტად, ის გვიან შეუერთდა ნაკრებს. ამის მიზეზი იყო მატჩი - იტალიის ნაკრები ამ ქვეყანაში მოთამაშე ლეგიონერთა ნაკრებს დაუპირისპირდა. გიორგაძემ მთელი მატჩი ითამაშა და ლელოც გაუტანა იტალიელებს.

ფრანგული შეკრების პირველი "მსხვერპლი" აღმოჩნდა დავით ხინჩაგიშვილი, რომელიც დავით აშვეთიამ შეცვალა. სხვათა შორის, აშვეთია თავის დროზე ნაკრების კანდიდატად ითვლებოდა, მაგრამ ტრავმების გამო ვერ ახერხებდა ეროვნულ გუნდში თამაშს, არადა, ის ერთ-ერთია იმ თითზე ჩამოსათვლელ ქართველთაგან, რომლებიც საფრანგეთის უმაღლეს დივიზიონში - ტოპ 16-ში ბურთაობენ. აშვეთიას შემთხვევაში უპრიანი იქნებოდა გვეთქვა "ირიცხება", რადგან ბურთაობით დათო ჯერ ვერ ბურთაობს, რადგან შემადგენლობაში ვერ ხვდება. იმედი ვიქონიოთ, რომ ესეც დროებითია და ტრავმებით გაწამებული მორაგბე შეძლებს "კლერმონის" შემადგენლობაში მოხვედრას.

ორი დღის წინ გია ჩხაიძეც დაიმტვრა - თავისი კლუბის შემადგენლობაში ითამაშა საფრანგეთის ჩემპიონატში და მუხლი იტკინა. მწვრთნელებმა მის ნაცვლად ლევან დათუნაშვილი იხმეს. ამდენი ცვლილების შემდეგ ნაკრების შემადგენლობა პორტუგალიასთან მატჩამდე სამი დღით ადრე ასე გამოიყურება:

*შერკინების პირველი ხაზი* - მამუკა მაგრაქველიძე (მონპელიე, საფრანგეთი), ავქსენტი გიორგაძე (როვიგო, იტალია), გოდერძი შველიძე (კლერმონი, საფრანგეთი), დავით აშვეთია (კლერმონი, საფრანგეთი), მიხეილ სუჯაშვილი (ენისეი, რუსეთი)

*მეორე ხაზი* - ილო ზედგინიძე (კაპ. ორლეანი, საფრანგეთი), ზურაბ მჭედლიშვილი (დომონი, საფრანგეთი), ვიქტორ დიდებულიძე (მასი, საფრანგეთი), ლევან დათუნაშვილი (ვიარზონი, საფრანგეთი)

*მესამე ხაზი* - რატი ურუშაძე (ენისეი, რუსეთი), ბესო უდესიანი (შალონი, საფრანგეთი), მამუკა გორგოძე (ლელო)

*შერკინების ნახევარმცველები* - ირაკლი აბუსერიძე (ორლეანი, საფრანგეთი), გიორგი კაჭარავა (უკლუბო)

*თავისუფალი ნახევარმცველები* - დავით კიკნაძე (იმედი L - აკადემია), ოთარ ბარკალაია (ლელო)

*სამმეოთხედელები* - თედო ზიბზიბაძე (გურდონი, საფრანგეთი), ირაკლი გიორგაძე (ბურგანბრესი, საფრანგეთი), ლექსო გუგავა (ლოკომოტივი), ბესიკ ხამაშურიძე (უკლუბო), ირაკლი მაჩხანელი (იმედი L - აკადემია)

*მცველი* - მახო ურჯუკაშვილი

დღეს საქართველოს ნაკრები "ტულუზის" ფედერალ 2-ის გუნდს ეთამაშება. ეს იქნება გენერალური რეპეტიცია შაბათის მატჩის წინ. ამდენი ტრავმის გადამკიდე, ღმერთმა ნუ ქნას, მაგრამ გამორიცხული არაა, ამ თამაშის მერეც გახდეს ვინმე შესაცვლელი. პორტუგალიაში ქართველები 4 თებერვალს ჩავლენ, საღამოს ივარჯიშებენ ლისაბონის უნივერსიტეტის სტადიონზე, მეორე დღეს კი იმავე სტადიონზე შეერკინებიან მასპინძლებს ევროპის ერთა თასზე.

მატჩის პირდაპირი რეპორტაჟის ამბავი საბოლოდ გადაწყდა - თამაშს ქართველი გულშემატკივარი საზოგადოებრივი ტელევიზიით იხილავს შაბათს, 6 საათზე.

კიდევ ერთი კარგი ამბავი რაგბის მოყვარულთათვის: რაგბის კავშირმა მიღწია შეთანხმებას საზოგადოებრივ ტელევიზიასთან, რომლის თანახმად გულშემატკივარი ბორჯღალოსანთა ყველა დარჩენილ მატჩს პირდაპირ ეთერში იხილავს. და კიდევ: როგორც ერთმა ჩემმა კოლეგამ თქვა, თურმე იმის შესაძლებლობაც კი ყოფილა, "ექვსი ერის" მატჩებს ვუყუროთ. ამისთვის თურმე 13000 ევროა საჭირო და თუ მოიძებნა...



ჭიდაობა

# ბერძენ-რომაელებს პატრონი დღეს გამოუჩნდა

ბიბა ბურასაშვილი

*ლევან თედიაშვილის სახელობის ოლიმპიური მზადების ცენტრში გუშინდელი თავყრილობის მიზეზი ბერძენ-რომაელთა საქართველოს ჩემპიონატი გახლდათ. თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ქართული სპორტისთვის საჭიდაო სახეობათა ეროვნულ პირველობებს, საკამათო არ არის ერთი მარტივი მიზეზის გამო: ჭიდაობა ის სახეობაა, რომელიც საერთაშორისო ასპარეზზე მედლებს იხვეჭს და შიგადაშიგ ჩემპიონებსაც გვჩუქნის.*



ლევან ხერხეულიძის ფოტო

*ბადრი ხასაია (მარცხნივ) ტრავმის შემდეგ გამარჯვებით დაბრუნდა.*

გუშინ დაწყებული ბერძენ-რომაელთა პირველობა იმითაა გამორჩეული, რომ ორთაბრძოლები ახალი წესებით მიმდინარეობს. საქმე ისაა, რომ საერთაშორისო ფედერაციამ, იმისთვის, რომ ჭიდაობა უფრო სანახაობრივი და დინამიკური გამხდარიყო, წესები მეტ-ნაკლებად გაამარტივა. ჩოქბჯენი გაუქმდა. პერიოდები სამიდან ორ წუთამდე შემცირდა. თითო მოგებული პერიოდის შედეგები ბათილდება და ინიშნება მესამე, დამატებითი შერკინება. იმ შემთხვევაში, თუ ერთ-ერთი ფალავანი მოიგებს ერთ პერიოდს, ხოლო მეორეს - მეორე, მიუხედავად იმისა, რომელ მათგანს რამდენი ქულა ჰქონდა დაგროვილი თითოეული შერკინებისას, ანგარიში ბათილდება და მესამე პერიოდი ინიშნება. თავდაპირველად ეჭვობდნენ, რომ ახალ წესებზე გადაწყობა გულშემატკივართა შორის გაუგებრობას გამოიწვევდა, მაგრამ საქართველოს ჩემპიონატის პირველმა დღემ ამ მხრივ მშვიდობიანად ჩაიარა. მოგვიანებით, როდესაც საქართველოს ჩემპიონატის მთავარ მსაჯს თეიმურაზ ყაზარაშვილს გავესაუბრეთ, გვითხრა: "იყო გარკვეული უკმაყოფილებები ამა თუ იმ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, მაგრამ ისეთი არაფერი. დროთა განმავლობაში ყველაფერი მოგვარდება და ახლებურად ჭიდაობას ალღოს აუღებენო".

საქართველოს ჩემპიონატის პირველი დღე ოთხ წონით კატეგორიას - 55, 66, 84 და მძიმეწონოსნებს დაეთმოთ. დილის ათ საათზე გახურებული ორთაბრძოლები საღამოს შვიდი საათისთვის დასრულდა და ჩემპიონებიც გამოვლინდნენ (სიახლეა ისიც, რომ ადრინდელთან შედარებით თითო წონაში ფინალები იმავე დღეს ინიშნება. ასე რომ, გუშინ ოთხი ჩემპიონი და პრიზიორები გამოვლინდნენ). ძიუდოს მსგავსად, ახალი წესებით ორი მესამე ადგილი თამაშდება. ტურნირში მონაწილეობდნენ ქუთაისის, ბათუმის, ოზურგეთის, წყალტუბოს, ხობის, გარდაბნის, ხარაგაულის, თერჯოლის, ბორჯომის, მარტყოფისა და თბილისის სკოლები, სულ 138 ბერძენ-რომაელი. დარბაზში მსოფლიო ჩემპიონი მუხრან ვახტანგაძე შევნიშნე, მაგრამ, ეტყობოდა, ჩემპიონატში გამოსვლას არ აპირებდა. როდესაც ვითარებაში გარკვევა ვთხოვე, მითხრა, მსოფლიოს ჩემპიონატისთვის ვემზადები, საქართველოს ჩემპიონატში კი არ გამოვდივარო. ძველი გვარდიიდან არც სიდნეის ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს პრიზიორი აკაკი ჩაჩუა ასპარეზობს. შესაძლოა, სპორტულ კარიერას თავი დაანებოსო.

გუნდის დაკომპლექტებასთან დაკავშირებით საქართველოს ნაკრების მთავარ მწვრთნელთან ბეგი დარჩიასთან გასაუბრებაც მინდოდა, მაგრამ არსად ჩანდა. ამიტომ ფედერაციის ახლად არჩეულ პრეზიდენტს ბაკურ გოგიტიძეს მივმართე. მან დეტალებზე საუბრისგან თავი შეიკავა. მხოლოდ ის მითხრა, რომ ფედერაციამ ახალი მთავარი მწვრთნელის თანამდებობა შემოიღო, რომელიც კურირებას გაუწევს ორივე სახეობას - ბერძენ-რომაელთა და თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა სამივე ასაკობრივ ჯგუფს. ახალი მთავარი მწვრთნელი კი ვანო ნიკოლაძეა, რომელიც გუშინწინ საღამოს დაინიშნა. შევიტყვეთ, რომ დიდების ნაკრებისთვის სამი კანდიდატურაა შეგულებული (ყოველ შემთხვევაში, გუშინ საღამომდე ასე იყო). თუ ვინ არიან ისინი, ამის თქმისგან ნიკოლაძემ თავი შეკავა: შესაძლოა, ვითარება კიდევ შეიცვალოსო.

**ტექნიკური შედეგები**

**55კგ.**
მირიან ნიშნიანიძე
ვაჟა ომანიძე
გიორგი გვენეტაძე
რეზო ლაშხი

**66კგ.**
ელიზბარ მაჭუტაძე
შმაგი გოქაძე
დავით შავაძე
მარად სურმანიძე

**84კგ.**
ბადრი ხასაია
ვლადიმერ გეგეშიძე
მიხეილ ქავთარაძე
შალვა გაბადაძე

**მძიმე წონა**
მირიან გიორგაძე
ოთარ ბოლქვაძე
ილია სამხარაძე
ზაზა სილაგაძე

ინფოთეკა

### აიალა ტრავმირებულია

ესპანური კლუბის "ვალენსიასა" და არგენტინის ნაკრების მცველი რობერტო აიალა ექიმებისგან განაჩენს ელოდება. საქმე ის გახლავთ, რომ ფეხბურთელმა "ატლეტიკოსთან" (2:2) თამაშის დროს ფეხის ტრავმა მიიღო. "როიტერსის" ცნობით, გუნდის სამედიცინო შტაბმა 31 წლის მცველს ცოტა ხნით დასვენება ურჩია, რის შემდეგაც განმეორებით სამედიცინო შემოწმებას გაივლის.

იმ შემთხვევაში, თუ ტრავმა სერიოზული აღმოჩნდება, დაახლოებით სამ კვირას ვერ შეძლებს თამაშს.

*მოამზადა ნინო ტიკარაძემ*

TV-სპორტი

**ოთხშაბათი. 2 თებერვალი**

**НТВ+ФУТБОЛ**
12:00 თავისუფალი დარტყმა
12:15 ინგლისის ჩემპიონატი. "არსენალი" - "მანჩესტერ იუნაიტედი"
14:00 საფრანგეთის ლიგის თასი. ნახევარფინალი. "სტრასბური" - "სენტ-ეტიენი"
15:45 თავისუფალი დარტყმა
16:00 ესპანეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
17:00 ლიბერტადორესის თასის წინ
17:30 იტალიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
18:25 განვლილი კვირის ჰიტ-ალუმი - იტალიის ჩემპიონატი. "მილანი" - "ბოლონია". შესვენებისას (19:15) - თავისუფალი დარტყმა
20:25 სახვალიო ტელეპროგრამა
20:30 ჩემპიონთა ლიგა. სეზონი 2004-2005. ცსკა - "ჩელსი"
22:25 იტალიის ჩემპიონატი. "ლეჩე" - "რომა". პირდაპირი ტრანსლაცია
00:20 თავისუფალი დარტყმა
00:35 საფრანგეთის ლიგის თასი. ნახევარფინალი. "კანი" - "მონაკო".

**НТВ+ПЛЮС**
10:00, 13:00 პრესცენტრი
10:20, 22:10 "ქრონიკა"
10:25, 13:15 "ჰარმონიის ფორმულა"
10:40 ხელბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი ტუნისში. ვაჟები. რუსეთი - საბერძნეთი. ძირითადი წრე
12:00 "ვარსკვლავური სამშაბათი"
13:30 "ჰოკეი-პლუს"
13:45 სნოუბორდი. მსოფლიო თასის ეტაპი რუსეთში
14:15 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია ჩემპიონატი. გადამწყვეტი მატჩები. ქალები. ნახევარფინალი. სერენა უილიამსი - მარია შარაპოვა. შესვენებისას (16:00) - პრესცენტრი
17:00 "ვატერპოლე"
17:30 კალათბურთი. NBA-ს ჩემპიონატი. "SACRAMENTO KINGS" - "SEATTLE SUPERSONICS". შესვენებისას (19:00) - პრესცენტრი
20:15 "სპორტისიმო"
21:00 "თოვლის სამყარო". ტელეჟურნალი
21:30 პრესცენტრი ბურთიანი ჰოკეის მსოფლიო ჩემპიონატზე
22:15 სახვალიო ტელეპროგრამა
22:20 "ჰოკეი-პლუს"
22:35 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია ჩემპიონატი. ქალები. ერთეულთა ფინალი. სერენა უილიამსი - ლინდსეი დევენპორტი
00:15 ახალი ამბები
00:30 ჰოკეი ბურთით. მსოფლიო ჩემპიონატი ყაზანში. რუსეთი - შვედეთი

**EUROSPORT**
10:30 ციგები. მსოფლიო თასის ეტაპი ავსტრიაში
11:00 ციგები. მსოფლიო თასის ეტაპი გერმანიაში
11:30 სამთო თხილამურები. მსოფლიო ჩემპიონატი იტალიაში
12:00 სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიო თასის ეტაპი იაპონიაში
13:30 მულტისპორტი. იტალია-2006
13:45 სამთო თხილამურები. მსოფლიო ჩემპიონატი იტალიაში. პირდაპირი ტრანსლაცია
15:00 სამთო თხილამურები. მსოფლიო ჩემპიონატი იტალიაში
16:00 მულტისპორტი - აი, მესმის!
16:30 კრივი. საერთაშორისო ასპარეზობა
17:30 სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიო თასის ეტაპი იაპონიაში
18:00 სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიო თასის ეტაპი იაპონიაში
19:00 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა
21:00 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგის კლასიკა. გერმანიისა და ინგლისის კლუბების საუკეთესო მატჩები
22:00 მულტისპორტი. იტალია-2006
22:15 ცხენოსნობა. მსოფლიო თასი ჰოლანდიაში
23:15 გოლფი
00:45 მულტისპორტი ოთხშაბათობით
01:00 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგის კლასიკა. გერმანიისა და ესპანეთის კლუბების საუკეთესო მატჩები
02:00 ახალი ამბები
02:15 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგის კლასიკა. საფრანგეთისა და ესპანეთის კლუბების საუკეთესო მატჩები
03:15 ახალი ამბები

## ნაცისტური ჯგუფები საბჭოთა კავშირში



შეიძლება ვიკითხოთ: როგორ იყო შესაძლებელი, რომ ჰიტლერიზმის მძლეველი ქვეყნის ქუჩებში ღიად დასეირნობდნენ ფიურერის თაყვანისმცემლები? უმრავლესობას ჰგონია, რომ რუსეთში ნაცისტები 1990-იანი წლების დასაწყისში გაჩდნენ არსაიდან. სინამდვილეში კი მათ წინამორბედები ჰყავდათ საბჭოთა კავშირში. რა თქმა უნდა, ისინი თავიანთ მოღვაწეობას დაფარულად აწარმოებდნენ და თანამედროვე ნაციონალისტური ჯგუფებისაგან განსხვავებით არც მემატიანე ჰყავდათ.

საბჭოთა ნაცისტებზე პირველი ცნობები 1950-იანი წლების მეორე ნახევრით თარიღდება. 1980-იანი წლების დასასრულამდე რამდენიმე ათეული ასეთი შემთხვევა შეინიშნება. საბჭოთა ნაცისტები პირობითად შეიძლება ორ ჯგუფად დავყოთ: "სტილიაგები" და "პოლიტიკოსები". "სტილიაგებს", რომლებიც უმრავლესობას წარმოადგენდნენ, მიეკუთვნებიან ნაცისტური ჯგუფების ის მონაწილეები, რომლებსაც იზიდავდა ნაცისტური ესთეტიკა, აღლუმები, ლამაზი სხეულის კულტი და ნეოკლასიცისტური არქიტექტურა.

აქედან გამომდინარე, პირველი ცნობილი ნაცისტური ჯგუფი, ასე ვთქვათ, "ჰიტლერობანას" თამაშით იყო დაკავებული. ეს იყვნენ კიეველი მოსწავლეები, რომელთაც ვინმე **იური იურჩენკო** ხელმძღვანელობდა. მაგრამ მოგვიანებით ისინი გაერთიანდნენ ფაშისტურ ორგანიზაციაში (იმხანად საბჭოთა კავშირში ვერავინ ასხვავებდა ფაშიზმსა და ნაციზმს) "ეს-ეს ვიკინგი". მათი მიზანი იყო საბჭოთა კავშირში ნაციონალისტური კომუნიზმისა და მთელ მსოფლიოში იძულებითი სოციალიზმის დამყარება. ჯგუფის მონაწილეები ჰიტლერს გენიალურ პიროვნებად მიიჩნევდნენ. 1957 წლის დეკემბერში მათ წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმე შეწყვეტილ იქნა, რადგან დამტკიცდა, რომ "ვიკინგის" წევრები თამაშის ფარგლებს არ გასცილებულან.

კიდევ ერთი პრონაცისტული ჯგუფი გაიხსნა 1960 წლის აპრილში ბაქოში. ისიც ორი ადგილობრივი სკოლის მეცხრეკლასელებისგან შედგებოდა. ეს ბავშვები თავიანთ შეხვედრებზე მსჯელობდნენ ნაციზმის "უპირატესობასა" და გერმანიის "შემთხვევით" დამარცხებაზე. მათი მშობლები საკმაოდ მაღალი საზოგადოებრივი ფენიდან იყვნენ (აზერბაიჯანის ადგილობრივი მრეწველობის მინისტრი, შინაგან სამინისტროს ცენტრალური აპარატის თანამშრომელი და ა. შ.). ჯგუფის წევრები სწავლობდნენ ჰიტლერის ბიოგრაფიას, აგროვებდნენ შესაბამის ფოტოსურათებს, მათ დაამზადეს ნაცისტური დროშაც. მაგრამ მხოლოდ ის გაბედეს, რომ 9 მაისის დღესასწაულზე სკოლაში პიჯაკებს შორის დამალული ნაცისტური სამკლავურებით გამოცხადდნენ.

განსაკუთრებით აყვავდა მოსწავლეთა შორის ნაცისტური განწყობები 1970-80-იან წლებში. მთელ საბჭოთა კავშირში სოკოებივით გამრავლდა საიდუმლო "ფაშისტური ორგანიზაციები". ამ საქმეს ძალიან შეუწყო ხელი ტელეფილმმა "გაზაფხულის ჩვიდმეტი გაელვება", სადაც საბჭოთა კინემატოგრაფში პირველად აისახა ნაციზმის "მაღალი სტილი" და მისმა წარმომადგენლებმა "ადამიანური სახე" მიიღეს. საბედნიეროდ, ხელისუფლება საკმაოდ მალე ჩაწვდა ამ სამოსწავლო გატაცების უწყინარობას. ამიტომ "ნაცისტ" მოსწავლეთა გამოვლენა და დასჯა ადგილობრივ პარტიულ და კომკავშირულ ხელმძღვანელობას გადააბარა. უფრო მკაცრი ზომები შემოიფარგლებოდა ეგრეთ წოდებული "პროფილაქტიკით", ანუ სუკ-ში დაბარებითა და ჭკუისსასწავლებელი საუბრით.

ამ ჯგუფების ერთ-ერთი უკანასკნელი წარმომადგენელი იყო ვინმე **შჩერბაევი**, რომელიც კრასნოდარში დააპატიმრეს 1985 წელს. ეს ყმაწვილი მძიმე როკით იყო გატაცებული და მიიჩნევდა, რომ ნაციზმი არის "თავისუფალთა მტრული კავშირი", რომელიც უპირისპირდებოდა "მონათა მეგობრულ კავშირს", ანუ საბჭოთა წყობილებას.

"სტილიაგებისაგან" განსხვავებით "პოლიტიკოსებს" ნაცისტური ესთეტიკა კი არ იზიდავდა, არამედ თვით ჰიტლერი. ესენი უკვე საკმაოდ მოწიფული ადამიანები იყვნენ და ბევრი მათგანი დისიდენტურ ჯგუფებშიც შედიოდა. "პოლიტიკოსები", ჩვეულებრივ, ძალიან ცუდად იცნობდნენ ნაციონალ-სოციალისტთა პროგრამას — მისი ტექსტის შოვნა, გასაგები მიზეზების გამო, ძალიან ძნელი იყო. ამიტომ, ნაციზმის მთელი იდეოლოგიიდან მხოლოდ ერთი ელემენტით იფარგლებოდნენ: ებრაელების განადგურებით. ამგვარად მოიქცა, მაგალითად, **ვიაჩესლავ სოლენევი**, რომელიც **ვიქტორ პოლენოვის** "რუსულ სახალხო-დემოკრატიულ" პარტიას გამოეყო და 1957 წელს "რუსული ნაციონალური პარტიის" პროგრამა დაწერა. თუმცა, პოლენოვის მოწმობით, შემოდგომში სოლენევის შეხედულებები დარბილდა და 1980-იანი წლების ბოლოსკენ ის უკვე ასხვავებდა მავნებელ და სასარგებლო ებრაელებს.

ასევე ნაცისტური განწყობით გამოირჩეოდა **ალექსი დობროვოლსკის** (დაიბადა 1939 წ.) ჯგუფი "რუსული ნაციონალ-სოციალისტური პარტია", რომელიც 1950-იანი წლების ბოლოს მოქმედებდა მოსკოვში. მართალია, 1990 წელს მიცემულ ინტერვიუში დობროვოლსკი უარყოფდა ჰიტლერის თაყვანისცემას, მაინც წამოსცდა, რომ მასზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა "ნაცისტურმა პარტიულმა ჟესტება და რიტუალებმა, გერმანულმა სიზუსტემ", მის მეგობრებს კი მოსწონდათ "მებრძოლი განწყობა, მკაფიო ფორმულები, დისციპლინა, მორჩილება, სიმბოლიკა და ნაცისტური ხელგაწვდილი სალამი". პარტიის წევრებს არ ანაღვლებდათ ნაცისტურ გერმანიასთან ახლახან დასრულებული ომი და ის, რომ ამ ომში მათი მამები და უფროსი ძმები დაიღუპნენ. დობროვოლსკი იგონებს, რომ დაღუპულთათვის პასუხი არც ჰიტლერმა და არც სტალინმა უნდა აგონ: ბრალი ვიღაც მესამეს მიუძღვის. როგორც ეტყობა უკვე მაშინ იწყებოდა იმ აზრის განვითარება, რომ ომი გააღვივა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ან "მსოფლიო ებრაელობამ".

ამ ყველაფერს აუცილებლად მოსდევდა ჰიტლერის პიროვნებით დაინტერესება. პირველი სასჯელი დობროვოლსკიმ მორდოვიაში მოიხადა 1958-1961 წლებში. იქ "ზონაში" მან რუსი ესესელები გაიცნო, რომლებმაც მას "ჰოლოკოსტის" უარყოფის ტენდენცია გააცნეს. ამასთან დაკავშირებით, დობროვოლსკი ნადანებით ამბობს, რომ ჰიტლერი "დიდი ლიბერალი იყო". დობროვოლსკის ნაციზმის "მაღალი სტილიც" იზიდავდა: ცნობილია ფოტოსურათი, რომელზედაც იგი სრულ ნაცისტურ ფორმაშია გამოწყობილი.

კიდევ ერთი ნაცისტური ჯგუფი უკვე სერიოზულად იყო განწყობილი ომისათვის. 1963 წელს, ვორონეჟში გახსნეს 17-19 წლის ახალგაზრდების ნაციონალ-სოციალისტური ჯგუფი. ესენი ყოველ წელს აღნიშნავდნენ ჰიტლერის დაბადების დღეს, ატარებდნენ ბრძოლის ველებზე ნაპოვნ ფაშისტურ სამკერდე ნიშნებს, იქვე აგროვებდნენ ვარგის იარაღს და ემზადებოდნენ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ომისთვის. ამ ჯგუფის შემდგომი ბედი უცნობია დოკუმენტების ნაკლებობის გამო.

1970-იან წლებში ხშირი იყო ნაცისტური შინაარსის პროკლამაციების გავრცელება, ცალკეული პირების, განსაკუთრებით კი პატიმრების მიერ "ნაცისტური პროგრამების" შექმნა, თუმცა ახლა ძნელია დადგენა, ეს იდეური იმპულსი იყო, თუ პატიმრების სურვილი, რომ ისინი "პოლიტზონაში" გადაეყვანათ.

1981 წელს მოსკოვის ოლქის ქალაქ კალინინგრადში ვინმე **ალექსი ვედენკინმა** შექმნა "რუსეთის ახალი ნაციონალისტური მუშათა პარტია". მისი წევრი იყო ვინმე ნიკოლოზ ბრაუნი (დაიბადა 1938 წელს), რომელიც ჯერ კიდევ 1969 წელს დააპატიმრეს ჰიტლერის დაბადების დღის აღნიშვნისთვის. ყველა ეს ადამიანი მოგვიანებით ამტკიცებდა, რომ ისინი უბრალოდ თამაშობდნენ, ასე ვთქვათ, "ბეწვის ხიდზე" დადიოდნენ, რაც რისკიანი სიამოვნების შეგრძნებას ანიჭებდათ. თუმცა ამ თვალსაზრისით, არც საბჭოთა სასამართლო იყო ნაკლებ ფანტასტიკური იდეების მომხრე: ბრაუნისა და ვედენკინის საქმეს "მიაკერეს" სრულიად არასერიოზული ბრალდება: ლენინის მავზოლეუმის აფეთქების მცდელობა.

ყოველივე ამის შემდეგ ისმის კითხვა: მაინც რატომ იქცა ჰიტლერი ამ ადამიანების კერპად?

შესაძლოა, რომ არჩევანი, ასე ვთქვათ, ნეგატიური იყო. საბჭოთა პროპაგანდა ყველას ერთიანად აცხებდა ჩირქს: ჰიტლერს, ტრუმენს, ტიტოს, 1956 წლის უნგრელ მეამბოხეებს და სხვებსაც. ამიტომ ადამიანები ბუნებრივად მიიჩნევდნენ ჰიტლერს კომუნიზმის მტრად, რომელსაც საბჭოთა ტოტალიტარულმა რეჟიმმა ცილი დასწამა. მაგალითად, ნაცისტური პროპაგანდისთვის 1957 წელს ჩარჯოუში დაპატიმრებული **მ. ჟიროხოვი** აყვანისას და შემდეგ მილიციის განყოფილებაში ყვიროდა: "გაუმარჯოს ჰიტლერს! გაუმარჯოს ფაშიზმს! გაუმარჯოს ამერიკას!". ასევე ყვიროდა სასამართლოზე 1958 წელს სხვა ბრალდებული: "გაუმარჯოს ეიზენჰაუერს, გაუმარჯოს ჰიტლერს!". ქალაქ ბაბუშკინში 1959 წელს დაპატიმრებული ერთი ცეცხლფარეში კი გულუბრყვილოდ ამტკიცებდა, რომ "ჰიტლერი იყო ჭკვიანი კაცი, რომელსაც რუსი ხალხის მონობისგან გათავისუფლება სურდა".

მონობას მიჩვეული ადამიანები ნაციზმს მარქსიზმის სრულფასოვან ალტერნატივად მიიჩნევდნენ. მონობას მიჩვეული მონობას ვერ ძლევს, საუკეთესო შემთხვევაში ის მხოლოდ ერთ რომელიმე ბატონის წინააღმდეგ ილაშქრებს, მაგრამ უჩვეულოდ გრძნობს თავს მრისხანე ბატონის გარეშე. ამიტომაც ხშირდება ქართულ რელიგიურ ლიტერატურაში თავისუფლებისა და აღვირახსნილობის თუ უზნეობის გაიგივება.

# ფაშიზმი და რელიგია I

უკანასკნელ წლებში აღმოსავლური ქრისტიანობის არეალში მკვეთრად გაიზარდა, ერთი მხრივ, გაბატონებული რელიგიური აღმსარებლობის მისწრაფება ოფიციალურ სახელმწიფო ეკლესიად გადაქცევისკენ, მეორე მხრივ კი, მისი სულ უფრო მჭიდრო კავშირი საზოგადოების რადიკალურად მემარჯვენე და ექსტრემისტულად განწყობილ ნაწილად. ამ ტენდენციათა ერთ-ერთი მკაფიო მაგალითია რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია.

ტელეცენტრ "ოსტანკინოსთან" 1997 წლის 9 ნოემბერს გამართული მასობრივი აქცია ეკლესიისა და ექსტრემისტ ნაციონალისტთა ურთიერთკავშირის აშკარა ნიმუში იყო. ეკლესია სულ უფრო იმსჭვალება ნაცისტური იდეებით, ახლად მოვლენილი ნაცისტები კი ფართოდ იყენებენ მართლმადიდებლურ ტერმინოლოგიისა და იდეოლოგიის ელემენტებს.



რა თქმა უნდა, ეს ურთიერთშეღწევა ხსენებული მასობრივი აქციით არ ამოიწურება, მაგრამ ამჯერად ამ ფენომენის ისტორიულ ასპექტს განვიხილავთ.

დღეისათვის საკმაოდ კარგადაა აღწერილი და შესწავლილი ფაშიზმის ისტორიული და სოციალურ-ფსიქოლოგიური საფუძვლები. მკვლევართა უმეტესობა ეთანხმება იმ აზრს, რომ ფაშიზმის წარმოშობა და ჩამოყალიბება დაკავშირებულია საზოგადოებრივი წყობის ფორმათა კრიზისთან, იმასთან, რასაც ჩვენში ასე ხალისით უწოდებენ გარდამავალ პერიოდს. ამ პირობებში ადამიანი განსაკუთრებით განწყობილია ირაციონალური სიმბოლოების მიმართ და ადვილად აღიარებს რადიკალურ იდეოლოგიებს.

მაგრამ ფაშიზმისა და ქრისტიანული რელიგიის ურთიერთობა არაა მარტივი. ფაშისტურ იდეოლოგიებს საფუძვლად ყოველთვის რაიმე მითი ან ტრადიცია უძევს. ტრადიციათა შესაფერი ერთობლიობა აუცილებლად უნდა შეიცავდეს მინიშნებებს რომელიმე ერის ისტორიული გამორჩეულობის, მისი განსაკუთრებული ისტორიული მისიის შესახებ. ევროპულმა ფაშიზმა თავის თავში გააერთიანა ოკულტიზმის ელემენტები, არიული მითოლოგია და აღმოსავლური მისტიკა, რითაც ფაშიზმი თვითონ აცხადებს პრეტენზიას, დაიკავოს ალტერნატიული რელიგიის ადგილი.

საწყის ეტაპზე ფაშისტები ყოველთვის ეძებდნენ ეკლესიის მხარდაჭერას, რადგან ეს ლეგიტიმაციისთვის სჭირდებოდათ. მაგრამ როგორც კი ძალაუფლება ჩაიგდეს ხელში, მაშინვე დაიწყეს ეკლესიაში თავიანთი, ქრისტიანობისათვის უცხო ღირებულებათა დანერგვა. სულ უფრო ცხადი ხდება, რომ ფაშიზმისთვის დამახასიათებელი ნაციონალისტურ-მისტიკური იდეები დიამეტრულად ეწინააღმდეგება ქრისტიანულ მრწამსს. ამას მოწმობს ფაშისტურ რეჟიმთა და ქრისტიანულ ეკლესიათა ისტორიული ურთიერთობის გამოცდილება.

### გერმანული ნაციზმი და რელიგია

კათოლიციზმი მკვეთრად ემიჯნება ნაციზმის რასისტულ იდეოლოგიას. თვითონ ჰიტლერი დაიბადა კათოლიკურ ოჯახში, მაგრამ აიდეალებდა ანტიკურ წარმართობას. ფიურერი რამდენიმე არგუმენტს ასახელებდა ქრისტიანობის წინააღმდეგ:

1) ქრისტიანობა იცავს სუსტებსა და დამცირებულებს;

2) ქრისტიანობას იუდაური საწყისები აქვს და ის აიძულებს ადამიანებს, "წელში მოიხარონ საეკლესიო ზარის ხმაზე და ხოხვით ეახლონ უცხო ღმერთის ჯვარს";

3) პირველი ქრისტიანები იყვნენ ავადმყოფი, დაუძლურებული და სასოწარკვეთილი ადამიანები, რომლებმაც სიცოცხლის რწმენა დაკარგეს;

4) ქრისტიანული დოგმატები ცოდვისაგან გამოსყიდვისა და მკვდრეთით აღდგომის შესახებ უაზრობაა.

5) ქრისტიანული თანალმობა საშიში და გამხრწნელია არიული სულისკვეთებისთვის;

6) მოყვასის სიყვარული სისულელეა, რადგან სიყვარული ადამბლავებს ადამიანს;

7) საყოველთაო თანასწორობის ქრისტიანული იდეა იცავს "რასობრივად არასრულყოფილ" და სუსტ ადამიანებს.

თავდაპირველად ნაცისტთა პარტიულ პროგრამაში იდეოლოგმა, ალფრედ როზენბერგმა ქრისტიანული მარცვალი შეიტანა. მაგრამ მოგვიანებით აშკარა გახდა, რომ მკაცრ რასისტულ პრინციპებთან მისი თანაარსებობა შეუძლებელი იქნებოდა. მალე ქრისტიანობა სრულიად განიდევნა "ნორდიკული" ღირებულებებისა და "ზეკაცის" კულტურის სასარგებლოდ.

1933 წელს, როცა ჰიტლერმა გერმანიის უმაღლესი სახელმწიფო პოსტი დაიკავა, მან განაცხადა, რომ რელიგიური ცხოვრებისთვის ხელსაყრელ პირობებს შექმნიდა და ეკლესიასთან მეგობრულ ურთიერთობას დაამყარებდა. გერმანელებმა გულწრფელად დაუჯერეს მის განცხადებას. მათ შორის იყვნენ უმაღლესი კათოლიკე იერარქები, რომლებიც მანამდე აკრიტიკებდნენ ნაცისტური პარტიის ლიდერს რასიზმისა და ნეოწარმართობისთვის. 1933 წლის 28 მარტის კონფერენციაზე გერმანელმა ეპისკოპოსებმა მრევლს ახალი ხელისუფლების მხარდასაჭერად მოუწოდეს. სამღვდელოების დასამშვიდებლად ჰიტლერმა იმავე წლის 20 ივლისს ვატიკანთან კონკორდატი გააფორმა. ამით ჰიტლერი საერთაშორისო საზოგადოებრიობის ლოიალობას გარანტირებას ცდილობდა.

კონკორდატის შინაარსი შემდეგი იყო: სახელმწიფო უზრუნველყოფდა კათოლიკური სამრევლოების, სკოლების, ახალგაზრდული ორგანიზაციებისა და კულტურული საზოგადოებების უსაფრთხოებას, თუ ისინი მონაწილეობას არ მიიღებენ პოლიტიკურ პროცესებში. მაგრამ ჯერ კიდევ დოკუმენტის მომზადების პროცესში გაუქმდა ბავარიის კათოლიკური სახალხო პარტია.

თუ კათოლიკეებთან ჰიტლერმა პირველ ხანებში მაინც შეძლო მშვიდობიანი თანაარსებობის ილუზიის შექმნა, პროტესტანტებთან ურთიერთობა თავიდანვე მტრული გამოდგა. ნაცისტები მოუწოდებდნენ პროტესტანტიზმის უარყოფასა და "ახალი გერმანული რელიგიის" შექმნას, რომელიც "სისხლისა და ნიადაგის" იდეას ემყარებოდა.

დაიწყო პროტესტანტი პასტორების მასობრივი დევნა. მაგალითად, უდიდესი თეოლოგი და გამოჩენილი სოციოლოგი **პაულ ტილიხი**, ევანგელურ-ლუთერანული ეკლესიის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, 1933 წელს ფრანკფურტის უნივერსიტეტიდან გააძევეს ნაცისტებისადმი წინააღმდეგობისათვის. პასტორი **ფრიდრიხ კარლ ოტო დიბელიუსი**, რომელიც 1925 წლიდან პრუსიის ლუთერანულ ეკლესიას ედგა სათავეში, იგივე მიზეზით გადააყენეს პოსტიდან. XX საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი თეოლოგი **კარლ ბარტი** გააძევეს ბონის უნივერსიტეტის კათედრიდან, როცა მან მკრეხელობად გამოაცხადა ღმერთის შესახებ ლექციების ფაშისტური მისალმებით დაწყება.

1934 წელს თეოლოგიის პროფესორმა ე. ბერგმანმა გამოაქვეყნა ახალი ნაცისტური "რელიგიის" 25 თეზისი. მათ შორის იყო შემდეგი დებულებები:

ებრაული ძველი აღთქმა გამოუსადეგარია ახალი გერმანიისთვის.

ქრისტე არ ყოფილა ებრაელი, არამედ არიელი მოწამე იყო, რომელიც ებრაელებმა მოკლეს, რადგან ამ მებრძოლს სურდა მსოფლიოს გადარჩენა ებრაული გავლენისგან.

ადოლფ ჰიტლერი ახალი მესიაა, რომელიც ამქვეყნად წარგზავნეს ებრაელთაგან გადასარჩენად.

გერმანული მიწა, სისხლი, სული და ხელოვნება გერმანული ქრისტიანობის საკრალური კატეგორიებია.

მთელი მსოფლიოს ქრისტიანები აღშფოთებულნი იყვნენ. გერმანიაში შეიქმნა პროტესტანტული პასტორების ასოციაცია "ბეკენტნისკირხე" (შემეცნების ეკლესია), რომელმაც განაცხადეს, რომ ქრისტიანობა შეუთავსებელია ნაციზმთან. გერმანიის 17 ათასი პასტორიდან 7 ათასმა მხარი დაუჭირა მეამბოხე პროტესტანტებს. ჰიტლერი ვერ აიტანდა რელიგიური ოპოზიციის არსებობას. მაშინვე გამოვიდა განკარგულება, რომლის მიხედვით პროტესტანტული ეკლესია სახელმწიფოს უნდა დამორჩილებოდა. იკეტებოდა საეკლესიო სკოლები, კონფისკაციას ექვემდებარებოდა საეკლესიო ქონება. მრავალი ღვთისმსახური დააპატიმრეს და საკონცენტრაციო ბანაკებში მოათავსეს. 1937 წელს ნაცისტებმა დააპატიმრეს ბერლინის ერთ-ერთი უბნის, დილემის პასტორი, მარტინ ნიმელერი — ცნობილი მქადაგებელი. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლომ გაამართლა პასტორი, ნაცისტებმა ხელმეორედ დააპატიმრეს ის და ბანაკში გააგზავნეს.

იმავდროულად გაძლიერდა კათოლიკური ეკლესიის წინააღმდეგ დევნაც. კონკორდატი მხოლოდ ილუზია აღმოჩნდა. სულ უფრო აშკარა ხდებოდა მისი დარღვევა ნაცისტური ხელისუფლების მხრიდან. მრავალი კათოლიკე მღვდელი დააპატიმრეს გერმანიიდან ოქროს კონტრაბანდის გამოგონილი ბრალდებით. კათოლიკურ გამოცემებს სასტიკი ცენზურა დაუწესეს, რელიგიური პროცესიები აიკრძალა და დაიშალა მონასტრები.

სხვათა შორის, პაპი პიუს XI თავდაპირველად იტალიაში ფაშისტური რეჟიმის დამყარების მომხრე იყო. იგი წერდა: "საკმარისია, ოდნავ დავფიქრდეთ, რომ მივხვდებით ამ სისტემის უპირატესობას: სოციალურ კლასთა მშვიდობიანი თანაარსებობა, სოციალისტური მოძრაობისა და მის ორგანიზაციათა დათრგუნვა, განსაკუთრებული სასამართლოს შემაკავებელი მოქმედება". თვითონ პაპი თავის შიდასაეკლესიო პოლიტიკაში ერთპიროვნული, თითქმის ტოტალიტარული მმართველობისკენ იხრებოდა, ყოველ შემთხვევაში, მართვის მართლაც რომ ავტორიტარული მაგალითი უჩვენა, მაგრამ ეს დიქტატორული ტენდენციები მხოლოდ იმ მომენტამდე გაგრძელდა, სანამ იტალიელ ფაშისტთა ლიდერის, **ბენიტო მუსოლინის** პოლიტიკა ვატიკანის სასიცოცხლო ინტერესებს არ შეეხო.

ფაშიზმის წინააღმდეგ პირველ გამოსვლად ბევრი მიიჩნევს 1931 წლის ენციკლიკას "არ გვესაჭიროება". აქ პაპი რეჟიმს ანტიკლერიკალური ვნებების გაღვივებაში ადანაშაულებს.

1937 წლის მარტში პაპმა პიუს XI-მ დაადანაშაულა ჰიტლერი ხელშეკრულების დარღვევასა და კათოლიკეთა დევნაში. პასუხად რეჟიმმა კიდევ უფრო გაამკაცრა პირობები. 1939 წლის 30 იანვარს, რაიხსტაგის სხდომაზე ჰიტლერმა განაცხადა, რომ არავინ უნდა გრძნობდეს სიბრალულს დევნილი სამღვდელოების მიმართ, რადგან ისინი გერმანული სახელმწიფოს მტრების ინტერესებს გამოხატავენ.

ომისათვის მზადების პერიოდში ჰიტლერმა დროებით შეწყვიტა აქტიური კონფრონტაცია კათოლიკურ ეკლესიასთან. ეკლესია ორ ცეცხლს შორის აღმოჩნდა: ერთი მხრივ, შიში ევროპის ბოლშევიზაციის წინაშე, მეორე მხრივ, ნაცისტთა ანტიქრისტიანული მოქმედება. მაგრამ ნაცისტთა მხეცურმა სისასტიკემ ომის დროს მრავალ კათოლიკე მღვდელს აიძულა მათ წინააღმდეგ ხმის ამაღლება. პაპმა პიუს XII-მ პროტესტი განაცხადა ნაცისტთა მიერ ებრაელთა გენოციდის წინააღმდეგ და მხარი დაუჭირა მღვდლებს, რომლებიც რეჟიმის წინააღმდეგ გამოდიოდნენ. 1941 წელს ნაცისტთა მიერ მძიმე ავადმყოფთა იძულებითი მოკვდინების წინააღმდეგ საჯაროდ გამოვიდა მიუნსტერის მთავარეპისკოპოსი **კლემენს ავგუსტ ფონ გალენი**. მან განაცხადა, რომ ამგვარი ქმედებები შეუთავსებელია ქრისტიანობასთან. 1941 წლის აგვისტოში კათოლიკე მღვდელმა **ბერნარდ ლიხტენბურგმა**, ბერლინის ერთ-ერთი ტაძრის წინამძღვარმა, გამოაქვეყნა საპროტესტო წერილი ფსიქიკურ ავადმყოფთა განზრახ განადგურების წინააღმდეგ. იგი დახაუს საკონცენტრაციო ბანაკში ჩააგდეს, სადაც 1943 წლის ნოემბერში გარდაიცვალა.

მრავალი სამღვდელო პირი მონაწილეობდა ანტიფაშისტურ წინააღმდეგობაში. ცნობილია პოლონელი მღვდლის, ფილოსოფიისა და თეოლოგიის დოქტორის, **მაქსიმილიან კოლბეს** გმირობა, რომელმაც 1939 წელს ვარშავის მიდამოებში მონასტერი დააარსა. ეს მონასტერი ლტოლვილთა თავშესაფრად იქცა. კოლბე ნაცისტებმა აუშვიცის საკონცენტრაციო ბანაკში ჩააგდეს, საიდანაც 1941 წლის ივლისში გაიქცა. ბანაკის ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ თუ მღვდელს ვერ იპოვნიან, დაიხვრიტება 600 მძევალი. ამ განცხადების შემდეგ კოლბე ნებაყოფლობით დაბრუნდა ბანაკში, სადაც სიკვდილით დასაჯეს.

1940 წლის ზაფხულისა და შემოდგომის განმავლობაში პოლონეთში პოლიტიკური მოღვაწეობის ბრალდებით 200-ზე მეტი მღვდელი დააპატიმრეს. 1942 წელს კი ანტიფაშისტურ მოძრაობას გერმანელი მღვდელი, **ალფრედ დელპი** შეუერთდა, რომელიც 1944 წელს შეიპყრეს და 1945 წლის თებერვალში ჩამოახრჩვეს.

ასევე აქტიურად გამოდიოდა ნაციზმის წინააღმდეგ გერმანელი პროტესტანტი პასტორი, თეოლოგიის დოქტორი და ცნობილი მწერალი **დიტრიხ ბონჰეფერი**. ის 1943 წელს დააპატიმრეს ჰიტლერის წინააღმდეგ შეთქმულების ბრალდებით და 1945 წლის აპრილში სიკვდილით დასაჯეს.

საზოგადოდ, ჰიტლერის პოლიტიკას ეკლესიის მიმართ შემდეგი შინაარსი ჰქონდა: გერმანელი დიქტატორი თავდაპირველად ცდილობდა, ეკლესია მოკავშირედ გაეხადა, შემდეგ კი დაემორჩილებინა და თავისი ზრახვების მორჩილ იარაღად ექცია. ყველაზე დიდი ზეწოლა ნაცისტური რეჟიმისაგან გერმანულმა ევანგელისტურ-ლუთერანულმა ეკლესიამ იგრძნო. მიუხედავად პასტორთა წინააღმდეგობისა, სასტიკი რეპრესიების წყალობით, ის საბოლოოდ დაიმორჩილეს და მესამე რაიხის ერთ-ერთ პოლიტიკურ ინსტიტუტად აქციეს.

კათოლიკური ეკლესიის მიმართ ჰიტლერი იძულებული იყო, გაცილებით უფრო ფაქიზი პოლიტიკა ეწარმოებინა. ამის მიზეზი კი ეკლესიის მსოფლიო გავრცელება და მისი სულიერი და იურიდიული ცენტრის გერმანიის გარეთ არსებობა იყო. დიქტატორი უფრთხოდა ვატიკანთან ღია კონფრონტაციას, რომელსაც კათოლიკე მასათა ერთიანი პროტესტი მოჰყვებოდა. თუმცა ღია ტერორი შეუძლებელი იყო, ჰიტლერს არასოდეს უთქვამს უარი ქრისტიანულ აღმსარებლობათა მოსპობასა და ახალი ნაცისტური რელიგიით მათ შეცვლაზე.

მიუხედავად გატარებული პოლიტიკის ერთგვარი ორაზროვნებისა, კათოლიკურმა ეკლესიამ მოახერხა სახის შენარჩუნება. ის ეწინააღმდეგებოდა გენოციდს, არ აღიარებდა ანტისემიტიზმსა და საზოგადოების მართვის ტოტალიტარულ პრინციპებს. ომის წლებში სიკვდილისაგან იფარავდა ადამიანებს მონასტრებსა და ტაძრებში. მაგალითად, იტალიაში დეპორტაციისაგან გადარჩენილ ებრაელთა 90 პროცენტზე მეტი თავის იღბალს კათოლიკურ ეკლესიას უნდა უმადლოდეს.

**ნოდარ ლადარია**
**ლეილა ბეზარაშვილი**

სახელი
გვარი
ასაკი
სიმაღლე
მისამართი
საკონტაქტო ტელეფონის ნომერი

1 ოჯახური მდგომარეობა :
დაქორწინებული
დაუქორწინებელი
განქორწინებული
ქვრივი

2 შვილები: (თუ გყავთ)

3 პროფესია :

4 სამუშაო ადგილი (მოკლედ აღწერეთ თქვენი საქმიანობა)

5 ადრე სად მუშაობდით? (მოკლედ აღწერეთ თქვენი საქმიანობა)

6 სხვა რომელ ტელეშოუებში გაქვთ მონაწილეობა მიღებული, სად და როდის?

7 სხვა რომელ არასატელევიზიო კონკურსებში და შეჯიბრებებში მიგიღიათ მონაწილეობა სად და როდის?

8 თქვენი ინტერესები

9 თქვენი ჰობი

10 თქვენი საყვარელი გადაცემა და ტელეშოუები ?

11 როგორ დახარჯავდით 8000 ლარს ერთ დღეში ? (პასუხი: ერთ დღეში ვერ დავხარჯავ არ მიიღება)

12 როგორ გრძნობთ თავს ჯანსაღი კონკურენციის პირობებში ? (ახსენით პასუხი)

13 როგორ წარმოგიდგენიათ თქვენი თავი გადაცემაში "სუსტი რგოლი" თამაშის დროს ? (ახსენით პასუხი)

ჩემი ხელმოწერით ვადასტურებ, რომ მოწოდებული ინფორმაცია არის ზუსტი და რომ არც მე და არც ჩემი ოჯახის წევრი არ მუშაობს სატელევიზიო კომპანია "რუსთავი 2"-ში.

ხელმოწერა______________________ თარიღი__________

ანკეტა ხელმოწერის გარეშე არ მიიღება !



გადაცემა
# სუსტი რგოლი

## მოთამაშის ანკეტა

გეხერხებათ კროსვორდების ამოხსნა?

გიყვართ ინტელექტუალური თამაშები?

არ გეშინიათ, გადაცემაში "სუსტი რგოლი" თამაში?

დაგვიკავშირდით, "რუსთავი 2" უქმნის ერუდირებულ, თამამ, მონებაზახსნილ კონკურსანტებს.

გადაცემაში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა გქონდეთ მხოლოდ ზოგადი განათლება, იუმორის გრძნობა და მოგების სურვილი.

თქვენი ფოტოსურათი

# TV პროგრამა

## 2 თებერვალი

### რუსთავი - 2

**07.30** დილა **08.00** ტელელიპუცები **10.00** სერიალი "ეკლები და ვარდები" **11.00** ღამის შოუ **12.00, 15.00, 17.00, 18.00, 21.00, 01.55** კურიერი **12.20** სერიალი "შეყვარებული ქალები" **13.30** მხ. ფილმი "ბოშათა ბანაკი ცას მიემგზავრება" (გ) **15.25** სერიალი "ბევერლი ჰილზი" **16.30** სერიალი "ეკლები და ვარდები" **17.25** ტელელიპუცები **18.30** პატრული **18.55** სერიალი "ნიკიტა" **19.55** სერიალი "შეყვარებული ქალები" **22.00** ფორტ-ბოიარდი **23.00** დოკ. ფილმი "შუასაუკუნოვანი გემის საიდუმლო" (ბი-ბი-სი) **00.00** მხ. ფილმი "ხელმოცარული ალფრედი" (გ) (პიერ რიშარი) **02.15** პატრული

### TV5

**06.00, 08.00,** 09.00(კანადა) **12.00,** 15.00(ბელგია) **16.00, 18.15, 20.00, 24.00, 02.15** (შვეიცარია), 02.40(აფრიკა), **04.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **08.30** ტელედილა. **10.30** გადაცემა: მოგზაურობა დიად ბუნებაში. **11.05** ის ვინც ყველაზე სუსტია. **12.20** გადაცემა: წითელი ფარდა. **15.30** ციფრები და ასოები. ტელეთამაში. **16.30** პირველი. ტელესერიალი. **18.30** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **20.30** სასამართლო პროცესი. დოკ. ფილმი. **23.00** მაო ძედუნის ფოტოები. **24.30** გადაცემა: ორმაგი მე. **04.20** სამძებრო პოლიცია. ტელესერიალი.

### პირველი არხი

**08.00** "ადრე" **10.00** დოკ. ფილმი "დღე, როცა დედამიწა კინაცამ დაიღუპა" **11.00** სერიალი "მემკვიდრე ლუნა" **12.00** "მთავარი" **12.20** ანიმაციური ფილმი "კლიფორდი" **12.45** ანიმაციური ფილმი "ციცქნა მოჩვენებანი" **13.00** "სარჩევი" **14.00** სერიალი "მაქსიმო ჩემი სიყვარული" **15.00** "მთავარი" სომხურ ენაზე **15.20** "მთავარი" რუსულ ენაზე **15.30** რაციო **16.30** "არტე" წარმოგიდგენთ-"საიდუმლო ადგილები"-სალსის ციხე-სიმაგრე **17.30** ვაკანსია **18.00** "მთავარი" რეგიონებიდან **18.30** სერიალი "ჯეტ ჯექსონი" **19.00** "ჰოლმარკი" წარმოგიდგენთ - "მის იტალია" მე-2ს. **20.00** "მთავარი" **20.45** "ბაბილინა" **21.00** სერიალი "მემკვიდრე ლუნა" **22.00** დოკ. ფილმი "ტერი ჯონსის შუა საუკუნეები" **23.00** ახალი პროექტი **23.30** კინოსამყარო "ოჯახური ისტორია" (გ) **02.10** საინფ. გამოშვება

### მზე

**08.30** მუსიკა მზეზე **09.00** ტელეჟურნალი "ჰოლივუდი დღეს" **09.30** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **10.00** სერიალი "სინიორ ვიანელო" **11.00** "აბა დამაცადე" **11.10** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **12.05** კრიმინ. დრამა "სთშ: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" **13.00, 14.00, 16.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **13.05** სერიალი "დიელი და პასკო" **14.15** არჩევანის ზღვარზე **15.10** შემეცნებითი პროგრამა "ყველაზე, ყველაზე" **16.00** მუსიკა **16.05** სერიალი "ველური მთვარე" **17.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **17.20** სერიალი "დიელი და პასკო" **18.20** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **18.50** მუსიკა **19.00** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **20.45** სერიალი "სინიორ ვიანელო" **21.45** კრიმინ. დრამა "სთშ: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" **22.45** არჩევანის ზღვარზე **00.00** მხ. ფილმი "უკანასკნელი გაქცევა" (15) (არმანდ ასანტე)

### მეორე არხი

**19.00** სერიალი "კარიბის გული" 1-ლი ს. **19.50** "ბაბილინა" **20.05** სერიალი "ჩემი საყვარელი ოჯახი" **20.30** სერიალი "უშიშარნი" **20.55** დოკ. ფილმი "სიკვდილს გადარჩენილნი" **21.45** მონოსპექტაკლი **22.55** კინოსეანსი "ინდოჩინეთის თოვლი"

### იმედი

**07.00** სერიალი "რელიქვიების მაძიებელი" **07.30** დოკ. სერიალი "ისტორიის ერთი კვირა" **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00** ქრონიკა **08.05** იმედის დილა **09.20** "დუბლიორი" **10.05** სერიალი "მოჯადოება" **11.15** სერიალი "კამენსკაია-6" **12.20, 17.10, 02.45** იმედის მელოდიები **12.40, 16.25, 02.15** ტვ-მარკეტი **13.15** მხ. ფილმი "დიდი ბეკე". 1-ლი ს. (ე. დელონი) **15.00, 17.00, 18.00, 19.00, 22.00, 02.05** ქრონიკა **15.20** სერიალი "ოცნების სანაპირო" **16.40** დოკ. სერიალი "ბრძოლა გადარჩენისთვის" **17.10, 23.45, 04.30** იმედის მელოდიები **17.20** არტ-ბულვარი **18.05** სერიალი "მოჯადოება" **19.55** სერიალი "ოცნების სანაპირო" **20.55** სერიალი "კამენსკაია-7" **22.30** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. პირდ. რეპ. **00.20** მხ. ფილმი "გაქცევა ელისეს მინდვრებიდან" (15) (ე. გარსია)

### აჭარა

**09.00** საინფ. დაიჯესტი **09.20** კომედია "ციხე-სიმაგრე" **10.50** მუსიკა **11.30, 14.30, 17.30, 20.30** საინფ. გამოშვება **11.45** ისტორიული დეტექტივი "მისიე ტ" **13.50** მუსიკა **14.45** მხ. ფილმი "რეზერვაცია" **16.15** მულტფილმი **17.45** მუსიკა **18.30** საინფ. გამოშვება "ნოვოსტი" **18.50** კომედია "შეშლილი სიყვარული" **21.00** თრილერი "მზის ცრემლები" **23.00** მუსიკა **23.30** საინფ. დაიჯესტი **23.50** მხ. ფილმი "ლორელ კანიონი" **01.35** მუსიკა

### კავკასია

**11.00** მხ. ფილმი "ცეცხლქვეშ" (გ) **13.00** ტუწ-ემ **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.20** ტუწ-ემ **19.20** სპექტრი **21.15** მხ. ფილმი "ეპიცენტრი" (გ) **00.30** ტუწ-ემ

### 202

**10.00** დებატები (განმ.) **12.00** მუსიკა **13.00** სერიალი "დიდი სახლი" (გან.) **14.00** მუსიკა **19.00** სერიალი "მუსკულები" (გან.) **19.30** სერიალი "დიდი სახლი" **22.30** მუსიკა **23.00** დებატები 202-ზე

### ОРТ

**06.00** "Доброе утро" **09.00, 12.00, 15.00, 18.00** Новости. **09.20, 21.30** Сериал **"БЛИЗНЕЦЫ". 10.30, 18.40** Сериал **"КЛОН". 11.30** Дисней-клуб: "Лило и Стич". **12.20** Сериал **"ЖЕНЩИНЫ В ЛЮБВИ". 13.20** Сериал **"ЛЮБИТЕЛЬНИЦА ЧАСТНОГО СЫСКА ДАША ВАСИЛЬЕВА-2". 14.30** "Угадай мелодию" с Валдисом Пельшем. **15.20** Сериал **"ДЕНЬ РОЖДЕНИЯ БУРЖУЯ". 16.30** "Пять вечеров". Среда. **17.30** Сериал **"ДВЕ СУДЬБЫ". 19.50** Сериал **"ЛЮБИТЕЛЬНИЦА ЧАСТНОГО СЫСКА ДАША ВАСИЛЬЕВА-2". 21.00** Время. **22.40** Спецназ. "В зоне огня". **23.30** Ночное "Время". **23.50** Теория невероятности. "Формула сексуальности". **00.20** "Крылья". "Гражданин Туполев". **00.50** Док. сериал "Оружие второй мировой войны". **1**-я часть. **01.20** Джессика Лэнг в фильме **"КУЗИНА БЕТТИ"**. После смерти сестры - женщины богатой и видной - бедная и одинокая 40-летняя швея Элизабет Фишер становится приживалкой в доме своего шурина, барона Гектора Халота. Кузина Бетти изо всех сил старается сыскать расположение высокомерного родственника и своей племянницы Хортенс, молча снося унижения и обиды. Бетти спасает от голодной смерти нищего красавца-скульптора, выхаживает его и возвращает к жизни. И вскоре влюбляется в него до безумия. А юноша проникается пылкой страстью к юной племяннице Бетти. И тогда брошенная и разочарованная женщина решает жестоко отомстить семейству, укравшему у нее единственную любовь... **03.20** Триллер **"ВДОВЫ". 2**-я серия.

### НТВ

**06.00** "Сегодня утром". **09.05** Детективный сериал **"ОНА НАПИСАЛА УБИЙСТВО: ВОЗВРАЩЕНИЕ ПРЕСТОНА ДЖАЙЛСА". 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 22.00, 00.00** "Сегодня" **10.15** Анатомия преступлений. **10.50** "Женский взгляд" Оксаны Пушкиной. **11.20** Кирилл Лавров в программе Павла Лобкова "Растительная жизнь". **11.55** Сериал **"ПАРНИ ИЗ СТАЛИ". 13.35** Сериал **"НА ВИРАЖЕ". 14.30** Сериал **"КАРУСЕЛЬ". 15.35** Чрезвычайное происшествие. **16.20** Ток-шоу "Принцип домино". **17.35** Сериал **"ЛИНИЯ ЗАЩИТЫ". 18.35** Чрезвычайное происшествие. **19.40** Сериал **"ПАРНИ ИЗ СТАЛИ". 20.45** Сериал **"КАРУСЕЛЬ". 21.50** Чрезвычайное происшествие. **22.40** Сериал **"ЛАНДЫШ СЕРЕБРИСТЫЙ". 23.45** Чрезвычайное происшествие. **00.15** Жан-Поль Бельмондо в фильме **"НА ПОСЛЕДНЕМ ДЫХАНИИ"**. Мишель, экстравагантный импульсивный молодой человек, которому ничего не стоит украсть у подружки деньги - ведь ему надо!, угнать авто - ему тоже надо, случайно застрелить полицейского - так случилось!..., влюбляется в Патрицию, начинающую американскую журналистку. Ему бы заниматься своими большими неприятностями, но он беззаботно проводит время с Патрицией и твердит ей о своей любви. А Патриция еще не разобралась со своими чувствами к Мишелю, возможно, что она его и не любит - вот и решила "выполнить свой гражданский долг", позвонив в полицию и сообщив о месте пребывания Мишеля. **02.10** Бильярд. **03.15** Сериал **"ЗАПАДНОЕ КРЫЛО". 04.10** Сериал **"ЗА ГРАНЬЮ ВОЗМОЖНОГО". 04.55** Остросюжетный сериал **"ОПЕРАТИВНИК". 05.40** Чрезвычайное происшествие.

# სკანვორდი



ილიას მამის სახელი

წინა სკანვორდის პასუხები:
ფსალმუნი; ნეაპოლი; შეჯიბრი; შხარა; ისტუეფი; ბესტი; ვიქტორინა; ლაპაროსკოპია; რუსთველოვა; შოტლანდია; მერი; ლიბრი; ალეჩანი; სალბუნი; ფრესკა; იონი; ნურეიდა; ეტრინა; გურია; ლიაჭვნები; არაჭინი; სრუტე; ინსინუაცია; მოგადიში; გარდემარინი; სლალომი; რეპლიკა; კუბტო; კურარე; ლაზარე; ბიუმე; ბაჟი; ტური; ქსენოფობია.

# ჰაროლდ ლოიდი ბრუნდება... შიშველი ქალების გარემოცვაში

მელორ სტურუა
საქ. კორ. აშშ-ში



ჰაროლდ ლოიდი - ჩარლი ჩაპლინთან და ბასტერ კიტონთან ერთად მუნჯი კინოს ტრიუმვირატის ლეგენდარული წევრი, ამ წყვილთან შედარებით შეიძლება ითქვას, ჩრდილშიც არის მოქცეული. არადა, საკვირველიც კია, ის 200 ფილმშია გადაღებული, რაც ორჯერ აღემატება ჩაპლინისა და კიტონის პროდუქციას ერათად აღებულს. ფინანსური თვალსაზრისით ხომ ორივეს ჯიბეში ჩაისვამდა. ლოიდის მიმართ ასეთი დამოკიდებულების მიზეზი, შეიძლება ითქვა, იგი თავად იყო. მან კატეგორიულად აკრძალა თავისი ფირების დაჭრა სატელევიზიო რეკლამების შესაბამისად.

დიდი მუნჯი კინოს ეპოქაში ლოიდი უბრალო ამერიკლების გულთა მპყრობელი გახლდათ. მეტიც, ეს უკანასკნელნი სიამოვნებით აიგივებდნენ საკუთარ თავს ამ პატარა კაცუნასთან, განუყრელი კანოტიეთი და უზარმაზარჩარჩოიანი სათვალით, რომელიც მუდმივად ეხვეოდა უჩვეულო ისტორიებში და, მიუხედავად იმისა, რომ გადარჩენის შანსი თითქმის არ არსებობდა, იგი ყოველთვის გამარჯვებას ზეიმობდა.

ჰაროლდ ლოიდს მუნჯი კინოს ტომ ჰენქსი შეიძლება ეწოდოს. მას სიტყვები, უბრალოდ, არც სჭირდებოდა, იმდენად მეტყველი იყო მისი სახე.

პატარა კაცუნა კარგი ცხოვრების დიდი მოყვარული გახლდათ. მან ბევერლი-ჰილზში 44 ოთახიანი ვილა აიშენა, ძალიან ბევრს მოგზაურობდა და უცნაური ინსტრუმენტები იზიდავდა. მაგრამ ყველაზე მეტად ლოიდს ქალები უყვარდა. 40-იანი წლების დასაწყისიდან სიკვდილამდე (1971 წლამდე) ლოიდმა 5 ათასი ქალის 100 ათასი ფოტო გადაიღო. და სწორედ ამით დაიწყო ლოიდის მეორედ მოსვლა, რომელსაც მისი შვილიშვილი სიუზენ ლოიდი ხელმძღვანელობს.

სულ ახლახანს გამომცემლობა "ბლექ დოგ ენდ ლევენტალმა" გამოსცა წიგნი სახელწოდებით "ჰაროლდ ლოიდის ჰოლივუდური ნუდი". მასში, სამწუხაროდ, ლურჯწვერას ფოტოიკონოგრაფიების მხოლოდ პატარა ნაწილი შევიდა. სამგანზომილებიანი ფოტოგრაფიით ლოიდი ჯერ კიდევ 1946 წელს დაინტერესდა, როდესაც საბოლოოდ დაემშვიდობა კინემატოგრაფს. ყველაფერი სრულიად შემთხვევით დაიწყო. ვიღაცამ ლოიდს მახინჯი მოპსის სტერეოსკოპიული ფოტოგრაფია აჩვენა. ლოიდი გამოსახულების ცოცხალთან მსგავსებამ აღაფრთოვანა და ამ იდეით დაავადდა. თუმცა მახინჯი მოპსების ნაცლად მშვენიერი ქალების ფოტოგრაფირება დაიწყო. ზემოთ ნახსენებ წიგნში ჩვენ ქერათმიან ქალღმერთებს ვაწყდებით - მერლინ მონროსა და ჯეინ მენსფილდს, ბევრ სხვა, ნაკლებად ცნობილ ლამაზ ქალებსაც. წიგნის დათვალიერება მხოლოდ 3-D (სამგანზომილებიანი) სათვალითაა შესაძლებელი. სხვანაირად ვარსკვლავთა მოცულობა სრულ სიამოვნებას ვერ განგაცდევინებთ. ლოიდის ფოტოებისთვის გემოს ჩასატანებლად ცხვირზე სათვალის ჩამოცმისას კი უნებურად მუნჯი მექალთანის უზარმაზარი სათვალეები გახსენდება. და ესეც ჰაროლდ ლოიდის მეორედ მოსვლის განსახორციებლად აუცლებელი სარეკლამო ტრიუკის ნაწილი გახლავთ.

დიდებული კინომსახიობის შვილიშვილი, როგორც ჩანს, კარგად გრძნობს დროის მოთხოვნებს და თავის ბაბუას ამერიკის მასებში ხელახლა სექსის საშუალებით ამკვიდრებს. კერძოდ, მან წიგნი არ იკმარა და ბაბუის ფოტოჰარემის 100 ცალი 3-D სლაიდი ნიუ იორკში, მანჰეტენზე ახლახანს გახსნილ სექსის მუზეუმს უძღვნა, რაც მოცემულ შემთხვევაში შესანიშნავი კატაპულტი იქნება პოპულარობის ასაღორძინებლად. სხვათა შორის, იდეებს თავად ლოიდიც არავისგან სესხულობდა. იგი თავისი ფილმების პროდიუსერიც იყო და მფლობელიც, რითიც კარგი ფული იშოვა. რომანტიკული კომედიის მამა, სპეცეფექტებისა და განათების დარგში კინემატოგრაფიის ნოვატორადაც მიიჩნევა. მან ერთ-ერთმა პირველმა დაიწყო მაყურებელზე, როგორც საცდელ ბოცვერებზე თავისი ფილმების სხვადასხვა ვარიანტების მოსინჯვა. ცოტა ვინმემ თუ იცის, რომ ლოიდის სხეული უნაკლო სულაც არ გახლდათ. მეტიც, მას მარჯვენა ხელის ნაწილი ამპუტირებული ჰქონდა, 1919 წელს, გადასაღებ მოედანზე მომხდარმა აფეთქებამ კი მხედველობა სერიოზულად დაუზიანა. და, მიუხედავად ყველაფრისა, მან თავი უძღვნა "ფიზიკურ ლირიკულ კომედიას" და გასაოცარ ტრიუკებს ისე ასრულებდა, კასკადიორის დახმარება არასდროს მოუთხოვია.

ამ კინო-ენციკლოპედისტის იმიჯის აღორძინების ჩარჩოში ჯდება კინოკომპანია "სონი ფიქჩერსის" განცახდება იმის თაობაზე, რომ აპირებენ ლოიდის, შეიძლება თამამად ითქვას, ყველაზე პოპულარული ფილმის - "საბოლოოდ უსაფრთხოდაა" - რიმეიკის გადაღებას. ამას გარდა სხვადასხვა კინოთეატრებში სხვა მის ფილმებს გაუშვებენ, ოღონდ ახალი ორკესტრირებით. ლოიდის ფილმების დიდი ნაწილი კი ციფრულ DVD ფორმატში გამოიცემა. მოკლედ, 2005 წელს შეგვიძლია თავისუფლად ვუწოდოთ "ჰაროლდ ლოიდის დაბრუნების წელი".

მას შემდეგ, რაც იჯარის ვადა ამოიწურა "ტაიმ-ლაიფის" ხელთ არსებული ლოიდის ყველა ფილმსა და ფოტოზე ყველა უფლება მისმა ოჯახმა დაიბრუნა, ლოიდის შვილიშვილი მთელი დატვირთვით შეუდგა თავისი ჩანაფიქრის განხორციელებას. ქალბატონ ლოიდის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან მთელი თავისი სიცოცხლე ბაბუის ფილმებისა და ფოტოების კატალოგიზაციასა და მის შესახებ დოკუმენტური ფილმების გადაღებასა და წიგნების წერას მიუძღვნა.

"კინომცოდნეებმა კარგად იციან ჰაროლდ ლოიდის შემოქმედება, - ამბობს იგი, - მე კი მსურს, რომ ის ამერიკელთა ოჯახებს, ბავშვებს, ჩვეულებრივ ადამიანებს დავუბრუნო".

შვილიშვილს სულაც არ ეუხერხულება, რომ "ამერიკელთა ოჯახებისთვის, ბავშვებისთვის" ლოიდის "დაბრუნება", მართალია, მსუბუქი, მაგრამ მაინც სტერესკოპული პორნოს საშუალებით ხდება. სხვათა შორის, გამოჩნდნენ ისეთებიც, ვინც სიუზენ ლოიდს ბაბუის იმიჯის შელახვაში ადანაშაულებენ. "მან ლოიდი სექსუალურად ჩაციკლული მსახიობების პანთეონში გააწევრიანა, რომელსაც საფუძველი ჩაუყარა როსკო ერბაკლმა, უფრო თავისი მეტსახელით - "ფეტ"-ით (სქელი) ცნობილმა", - წერს "ნიუ იორკ თაიმსის" კინოკრიტიკოსი დევიდ კერი. ვინც არ იცის, განვუმარტავ. არბაკლი ლოიდის თანამედროვე გახლდათ. მისი სამსახიობო კარიერა კი მკვლელობით დასრულებულმა სექს-სკანდალმა შეწყვიტა. "პანთეონის" მეორე ცნობილი წევრი მსახიობი ბობ კრეინი იყო, იგი მთავარ როლებს ასრულებდა სერიალებში, საბოლოოდ კი, პორნოგრაფიის ნიადაგზე შეიშალა.

ლოიდის შვილიშვილი ირწმუნება, რომ მისი ბაბუა ამ "პანთეონის" მკვიდრთაგან განსხვავებით, სულ სხვა ყალიბის ფოტოგრაფია. ერთ-ერთ ამასწინანდელ ინტერვიუში მან თქვა: "ბაბუას ხელი ბევრ ლამაზ ქალზე მიუწვდებოდა, მას ისინი უყვარდა და გარდა ამისა, მახვილი კინემატოგრაფიული თვალიც ჰქონდა". გასაგებია, მაგრამ არა დამაჯერებელი.

ლოიდი მიიჩნევდა, რომ მომავალი სამგანზომილებიან ფოტოს ეკუთვნის და მის განვითარებასა და რეკლამირებაში მილიონები ჩადო. 1950 წელს კი "ჰოლივუდის სტერეოსკოპული საზოგადოება ჩამოაყალიბა", რომელშიც ბევრი ცნობილი ვარსკვლავი გაერთიანდა. ცხადია, უმეტესად მამაკაცები.

წიგნში მოდელების უმეტესობა ფოტოსტუდია "გრინეიკერსშია" გადაღებული. ეს სტუდია ლოიდის კიდევ ერთ ვილაზე იყო განლაგებული. ამ ვილას შვიდი ბაღი, 12 შადრევანი და გოლფის სათამაშო მინდორი ამშვენებდა. სტილისტიკით ფოტოები ერთმანეთისგან განსხვავდება - კიტჩურით დაწყებული (მოდელი თავის მშვენიერ უკანალს ვეფხვს ადებს თავზე), სიურეალიზმით დამთავრებული (მოდელი ცეკვავს პა-დე-დეს ეშმაკთან ერთად). ერთადერთი, რაც მათ აერთიანებს, ეს ლოიდის იუმორია. ტყუილიად კი არ არის, რომ ფოტოების უმეტესობა გვაგონებს კადრებს მისი ფილმებიდან, "საბოლოოდ უსაფრთხოდაას" ჩათვლით. სხვათა შორის, ეს ფილმი (1923 წელი) შეიცავს ყველაზე მნიშვნელოვან, კანონიკურად ქცეულ ლოიდისეულ კადრს - მსახიობის აკრობატიკას ნიუ იორკის ცათამბჯენის გიგანტურ საათზე. ზედმეტი არ არის იმის გახსენება, რომ პატარა კაცუნა ცათამბჯენის საათზე აძვრა, თავისი სიცოცხლე საფრთხეში ჩაიგდო, რომ საყვარელი ქალის კეთილგანწყობა მოეპოვებინა. აი, ასეა, სიყვარული ლოიდის გმირებსაც კი უგონოდ მამაცებად ხდის. "ასეთი ფილმები აღარ არსებობს, - ამბობს ფილმის რიმეიკის პროდიუსერი ჯენიფერ დანა, - ეს ძველმოდური ფილმია, ასე ვთქვათ, სასიყვარულო ბარათი ნიუ იორკს. "სონიმ" სასწრაფოდ იყიდა ეს ფირი".

ლოიდის შვილიშვილი დარწმუნებულია, რომ ბაბუის მის მიერ წამოწყებული აღორძინება "მის სახელს კვლავაც შეიტანს ამერიკისა და მსოფლიოს კულტურულ რუკაზე... ბაბუაჩემი ვარსკვლავი იყო, მას უყვარდა მუშაობა შემოქმედებით ზღვარზე. ის თავისი ტრიუკებით ხალხს აშინებდა. შიშველი მოდელების ფოტოგრაფირებაც უკიდურესობა გახლდათ". მართალია, რისი უკიდურესობა, სიუზენი არ ამბობს. ჰოდა, ეგეც არაფერი. ნუ ჩავუკეტავთ სამოთხის კარს ჰაროლდ ლოიდს თავის ჰოლივუდელ ჰურიებთან ერთად. პატარა მამაცმა კაცუნამ ეს დაიმსახურა!

# ფანები კერპებს იცავენ



მუსიკალურმა ფანებმა ნამდვილი დემოკრატიის სურნელი იყნოსეს. "ბლექ საბათის" თაყვანისმცემლების პეტიციის შემდეგ - ჯგუფიდან გაერიცხათ ოზი ოსბორნი, ამავე მეთოდის გამოყენებას ცდილობენ "მეტალიკას" ფანები. თაყვანისმცემელთა საინიციატივო ჯგუფმა დაიწყო ხელმოწერების შეგროვება მოთხოვნით - დაითხოვონ "მეტალიკას" პროდიუსერი ბობ როკი, ვისი მუშაობის წყალობითაც, ჯგუფის ფანების აზრით, კოლექტივის შემოქმედება მკვეთრად გაუარესდა.

"ჩვენ, ჯგუფის თაყვანისმცემლები ველოდებით ცვლილებებს. მიგვაჩნია, რომ ჯგუფმა უარი უნდა თქვას ბობ როკის დახმარებაზე. გვესმის, რომ ხანდახან ისიც სასარგებლო იყო მუსიკოსებისთვის. მაგრამ არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ მისი მოსვლის შემდეგ, ჯგუფის შემოქმედება მნიშვნელოვნად გაუარესდა. ჩვენ ეჭვი არ გვეპარება მის პროფესიონალიზმში, უბრალოდ, მას მიაჩნია, რომ არჩეული გზა სწორია", - წერია ღია წერილში.

ხელმომწერებს მიაჩნიათ, რომ რაც უფრო აქტიურადაა ჩართული პროდიუსერი ჯგუფის ჩანაწერების მზადებაში, მით უარესია შედეგი. მაგალითად მოყავთ "მეტალიკას" უკანასკნელი ალბომი - St. Anger (რომელიც ბობ როკის პირმშოდაა ცნობილი), რაც ჯგუფის დისკოგრაფიაში ყველაზე სუსტ ჩანაწერად არის აღიარებული. "ჩვენ მოუთმენლად ველით ახალ ალბომს და იმედი გვაქვს, რომ ეს იქნება "მეტალიკას" ახალი ერის დასაწყისი. მაგრამ, ამისათვის პირველ რიგში, ჯგუფს უნდა ჩამოშორდეს ბობ როკი", - ამბობენ ჯგუფის ფანები. ჯერჯერობით უცნობია, რას აპირებენ ამ ყველაფერთან დაკავშირებით ჯგუფის წევრები.




საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი „მზიური“ გთავაზობთ:
კომპიუტერის შემსწავლელ კურსს თემებით:
- კლავიატურაზე ბეჭდვის ათთითიანი მეთოდი,
- საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება – MS Word,
- აღრიცხვა,საბუღალტრო-ეკონომიკური ამოცანები – MS Excel.
- ლოკალური ქსელი,ინტერნეტი,ელ-ფოსტა,
- ოპერაციული სისტემა Windows.
ცენტრში მოქმედებს სხვა კურსებიც.
მისამართი: ღ.ჟღენტის N70 ტელ:29-48-61
ვებ-გვერდი: WWW.mziuri.ge

თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში
20-24-04
20-00-24

## წამალი "სალხინო"
### ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.